

ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სქესობრივი გზით გადამდები დაავადებების ეპიდემიოლოგია

მაღალი რისკის ჯგუფში მსმ-ში საქართველოში

შალვა კველიშვილი

დისერტაცია მედიცინის დოქტორის აკადემიური

ხარისხის მოსაპოვებლად

თბილისი 2024

ნაშრომი შესრულებულია ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დერმატოლოგიისა და ვენეროლოგიის ბაზაზე.

სამეცნიერო ხელმძღვანელი: მედიცინის დოქტორი, პროფესორი თინა ქიტუაშვილი

თანახელმძღვანელი: მედიცინის დოქტორი, გიორგი გალდავა

ექსპერტები

დისერტაციის წინასწარი განხილვა (აპრობაცია) შედგა

დისერტაციის გაცნობა შესაძლებელია ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში (თბილისი,).

დისერტაციის დაცვა შედგება 20___ წლის _____ _____ სთ-ზე

ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ კორპუსში, I სართულის სააქტო დარბაზში (თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ.).

სარჩევი

დისერტაციაში გამოყენებული შემოკლებების ნუსხა	2
შესავალი	3
თავი I. ლიტერატურის მიმოხილვა	10
1.1. სქესობრივი გზით გადამდები ინფექციების ეპიდემიოლოგია	14
1.2. მამაკაცები, რომლებსაც აქვთ სექსი მამაკაცებთან და სგგი	45
1.3. სგგი-ის პრევენცია და მკურნალობა მსმ-ჯგუფში	66
თავი II. კვლევის მასალა და მეთოდები	74
თავი III. კვლევის შედეგები	79
3.1. სგგდ-ის პრევალენტობა და ინციდენტობა მსმ-ჯგუფში	79
3.2. გამოკითხულთა განათლების დონის ზეგავლენა სგგდ-ის ინციდენტობაზე მსმ-ჯგუფში	91
3.3. გამოკითხულთა ეკონომიკური შემოსავლის ზეგავლენა სგგდ-ის ინციდენტობაზე მსმ-ჯგუფში	95
3.4. გამოკითხულთა ინფორმირებულობის ზეგავლენა სგგდ-ის ინციდენტობაზე და ინფორმაციის სანდო წყაროები მსმ-ჯგუფში	99
3.5. სგგდ-ის ინციდენტობა მსმ-ჯგუფში თბილისში და რეგიონებში	109
თავი IV. მიღებული შედეგების განხილვა	113
დასკვნები და პრაქტიკული რეკომენდაციები	124
გამოყენებული ლიტერატურა	127
მოკლე რეზიუმე ინგლისურ ენაზე	151

დისერტაციაში გამოყენებული შემოკლებების ნუსხა

აივ	ადამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსი
მსმ	„მამაკაცები, ვისაც აქვთ სექსი მამაკაცებთან“
რნმ	რიბონუკლეინის მჟავა
სგგდ	სქესობრივი გზით გადამდები დაავადებები
სგგი	სქესობრივი გზით გადამდები ინფექციები
შიდსი	შემენილი იმუნოდეფიციტის სინდრომი
ჯანმო	ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია
95%CI	95% Confidence Intervals – 95%-იანი სანდოობის ინტერვალები
ASR	Age Standardized Rate - ასაკით სტანდარტიზებული მაჩვენებელი
CDC	Centers for Disease Control and Prevention - დაავადების კონტროლისა და პრევენციის ცენტრები
CT	Chlamydia trachomatis
DARE	Digital Ano-Rectal Examination - დიგიტალური ანორექტალური გამოკვლევა
EAPC	Estimated annual percentage change - შეფასებული წლიური პროცენტული ცვლილება
HAV	Hepatitis A virus - A ჰეპატიტის ვირუსი
HBV	Hepatitis B virus - B ჰეპატიტის ვირუსი
HCV	Hepatitis C virus - C ჰეპატიტის ვირუსი
HRA	High Resolution Anoscopy - მაღალი რეზოლუციის ანოსკოპია
IBBS	Integrated Bio-Behavioral Supervision - ინტეგრირებული ბიო-ქცევითი ზედამხედველობა
IFA	immunofluorescence analysis - იმუნოფლუორესცენციული ანალიზი
LGV	Lymphogranuloma venereum - ლიმფოგრანულომა ვენერომა
NAAT	Nucleic Acid Amplification Test - ნუკლეინის მჟავას ამპლიფიკაციის ტესტი
OR	Odds Ratio - შანსების ფარდობა
PCR	Polymerase Chain Reaction - პოლიმერაზა-ჯაჭვური რეაქცია
PEP	Postexposure Prophylaxis - ექსპოზიციის შემდგომი პროფილაქტიკა
PrEP	Pre-Exposure Prophylaxis - წინასწარი ექსპოზიციის პროფილაქტიკა
RPR	Rapid Plasma Regain - პლაზმის სწრაფი აღდგენა
SD	Standard Deviation - სტანდარტული გადახრა
SDI	Socio-Demographic Index - სოციალურ-დემოგრაფიული ინდექსი
SSR	Standardized Rate Ratio - სტანდარტიზებული მაჩვენებლების ფარდობა
TPHA	Treponema pallidum Haemagglutination Test - Treponema pallidum ჰემაგლუტინაციის ტესტი
UNAIDS	United Nations Programme on HIV/AIDS - გაეროს პროგრამა აივ/შიდსი

შესავალი

თემის აქტუალობა

სქესობრივი გზით გადამდები დაავადებები (სგგდ) მოიცავს სხვადასხვა სახის კლინიკურ მდგომარეობებს და ინფექციებს, რომლებიც გამოწვეულია შესაბამისი პათოგენებით და გადაეცემა ერთი ადამიანიდან მეორეს სქესობრივი გზით.

სქესობრივი გზით გადამდები ინფექციების მაღალი დონე კვლავ რჩება მსოფლიოში ჯანდაცვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემად. სგგი-ს გავრცელების დონე პირდაპირ კავშირშია ქვეყნის სოციალურ და ეკონომიკურ მდგომარეობასთან და რაც უფრო მეტია სოციალურ-ეკონომიკური რყევები ქვეყანაში, მით უფრო აქტუალური ხდება აღნიშნული პრობლემა.

ექიმები და ჯანდაცვის სხვა პროვაიდერები გადამწყვეტ როლს ასრულებენ სგგდ-ის პრევენციისა და მკურნალობის საქმეში.

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის (**ჯანმო**) მიერ შემუშავებულ და დამტკიცებულ იქნა სგგდ-ის (2005-2015) პრევენციისა და კონტროლის გლობალური სტრატეგია, რომელიც, თავის მხრივ, მოიცავს მოსახლეობის ეფექტიან გაფრთხილებას, ინფორმირებას, განათლების დონის ამაღლებას და დაავადებათა მკურნალობას [1]. ყოველივე ამის განხორციელება შესაძლებელია კომპლექსური ღონისძიებების ერთობლიობით:

1. უსაფრთხო სექსუალური ქცევის პროპაგანდა.
2. ადრეული ან დროული სამედიცინო დახმარებაში ხელშეწყობა.
3. სგგდ-ს მკურნალობის ან პროფილაქტიკის ჩართვა პირველადი ჯანდაცვის პროგრამებში.

იმის გათვალისწინებით, რომ სგგდ-ის რეგიონალური და ასაკობრივი თავისებურებები შეიძლება განსხვავდებოდეს, ჯანმო-ს მიერ შემოთავაზებულია პრიორიტეტული ფოკუსირება სგგდ-ის შესახებ უფრო ზუსტი მონაცემების მოპოვებისაკენ ასაკობრივი და

რისკ-ჯგუფების მიხედვით, რათა შეფასდეს პროგრესი სგგდ-ის კონტროლის მიმართულებით.

მსოფლიოში 2000 წლიდან 2019 წლამდე სგგდ ოთხი დაავადების ახალი შემთხვევების გამოვლენისა და მის დინამიკის სტატისტიკა ტალღისებურია და რეგიონ-დამოკიდებულია. კონკრეტულად, 2019 წელს ახალი შემთხვევების გამოვლენის თვალსაზრისით პირველ ადგილს ორი ქვეყანა იკავებს - ინდოეთი და ჩინეთი [2]. 204 ქვეყნიდან ან ტერიტორიიდან 163 (79.90%) ქვეყანა ან ტერიტორია აღნიშნავდა სიფილისის რაოდენობის დადებით ზრდას; ქლამიდიური შემთხვევების ზრდას - 168 (82.35%), გონოკოკური შემთხვევების ზრდას - 149 (73.04%), ტრიქომონიაზის შემთხვევების ზრდას - 189 (92.65%) და გენიტალური ჰერპესის შემთხვევების ზრდას - 161 (78.92%). ყატარს ჰქონდა ახალი შემთხვევების ყველაზე დიდი ზრდა ხუთ სგგდ-ს შორის 1990 წლიდან 2019 წლამდე.

ბოლო წლებში საქართველოშიც აღინიშნება სგგდ-ის შემთხვევათა რაოდენობის მატება საუკუნის დასაწყისის მაჩვენებლებთან შედარებით. შემთხვევათა ყველაზე დიდი რაოდენობით გამოირჩევა ტრიქომონიაზი, ქლამიდიოზი და სიფილისი, რომელთაც მოყვება გენიტალური ჰერპესი და გონორეა [3]. თუმცა, ამ მიმართულებით მონაცემები მწირია. ჩვენს მიერ მოძიებულ იქნა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის 2019 წლის სტატისტიკურ ცნობარში მოყვანილი მონაცემები მხოლოდ 2017-2019 წლების მიხედვით. ეს მონაცემები გაცილებით დაბალია გლობალურ მაჩვენებლებთან შედარებით.

სგგდ-ის გავრცელების მაჩვენებელში განსაკუთრებული ადგილი უკავია მაღალი რისკის ჯგუფებს, რომელთა შორისაა მამაკაცების ჰეტეროგენული ჯგუფი - „მამაკაცები, ვისაც აქვთ სექსი მამაკაცებთან“ (მსმ) [4]. მსმ ხასიათდება ქცევის, იდენტობის მრავალფეროვანი გამოვლინებით და ჯანდაცვის საჭიროებათა სპეციფიურობით. ზოგიერთი მსმ შიდს-ით, სხვა ვირუსული და ბაქტერიული სგგდ-ით დაინფიცირების მაღალი რისკის მატარებელია, რადგან დაკავებული არიან ანალური სექსით, რექტალური ლორწოვანი გარსი კი ძალზე მგრძობიარეა გარკვეული სგგდ პათოგენების მიმართ. საშიში სექსუალური კავშირებისა

და ბაქტერიული სგდ-ით დაინფიცირების მაჩვენებლები მსმ ჯგუფში არსებითად შემცირდა გასული საუკუნის 80-იან და 90-იან წლებში. თუმცა 21-ე საუკუნის უკანასკნელ ათწლეულში მკვეთრად მოიმატა სიფილისის (პირველადი, მეორეული ან ადრეული ლატენტური), გონორეისა და ქლამიდიური ინფექციების ახალმა შემთხვევების რაოდენობამ აშშ-ში და ყველა განვითარებულ ქვეყნებში [5].

აშშ-ში პირველადი და მეორეული სიფილისის ყველა დიაგნოსტიკურულ შემთხვევათა დაახლოებით ორი მესამედი მოდის მსმ ჯგუფზე. სიფილისის სკრინინგული პროგრამების რაოდენობის მატებამ ამ ჯგუფში გააორმაგა ადრეული სიფილისის აღმოჩენა. სიფილისით დაინფიცირების მაჩვენებლის მატების განმაპირობებელ ფაქტორებს შორისაა ნარკოტიკების (მაგ., მეტამფეტამინი) მოხმარება, მრავალი ანონიმური პარტნიორი და სექსუალური პარტნიორების ძიება ინტერნეტის მეშვეობით [6]. ერთ-ერთი კვლევის მონაცემებით, მსმ ჯგუფში შემთხვევათა 5,9%-ში ადგილი აქვს პირველადი და მეორეული სიფილისის რეინფიცირებას საწყისი დაინფიცირებიდან 2 წლის შემდეგ; ასეთი რეინფიცირების განმაპირობებელ ფაქტორებს მიეკუთვნება შიდს-ის ინფექცია, შავკანიანი რასა და 10-ზე მეტი სექსუალური პარტნიორი [7]. იგივე რისკ-ფაქტორები იქნა ნანახი გონოკოკური ინფექციებისთვისაც. საქართველოში ასეთი მონაცემები არ მოიპოვებოდა.

კვლევის მიზანი

სგდ-ის - გონორეა, სიფილისი, ქლამიდიოზი და ტრიქომონიაზის გავრცელების ეპიდემიოლოგიის შესწავლა მაღალი რისკის ჯგუფში (მსმ-ში), როგორც რეგიონების მიხედვით, ისე მთელი საქართველოს მასშტაბით 2015-2019 წლების განმავლობაში; დინამიკის მიხედვით მეცნიერულად დასაბუთებული დასკვნების გაკეთება, პრევენციისა და პროფილაქტიკისათვის კომპლექსური მეთოდების შემუშავება.

კვლევის ამოცანები

ამ მიზნის მისაღწევად დავისახეთ კვლევის ამოცანები

1. შევისწავლოთ 2015-2019 წლების განმავლობაში სგგი-ს - გონორეა, სიფილისი, ქლამიდიოზისა და ტრიქომონიაზის ეპიდემიოლოგია მსმ-ში რეგიონებში და ქვეყნის მასშტაბით მოვიყვანოთ ერთიან სისტემაში.
2. შევისწავლოთ 2015-2019 წლების განმავლობაში სგგი-ს - გონორეა, სიფილისი, ქლამიდიოზისა და ტრიქომონიაზის გავრცელების დინამიკა მსმ-ში რეგიონებსა და მთელი საქართველოს მასშტაბით.
3. მოვახდინოთ 2015-2019 წლების განმავლობაში სგგი-ს - გონორეა, სიფილისი, ქლამიდიოზისა და ტრიქომონიაზის სტატისტიკური მონაცემების შედარება მსმ-სა და ჰეტეროსექსუალ მამაკაცებს შორის რეგიონებსა და ქვეყნის მასშტაბით.
4. მიღებული შედეგების ანალიზით გამოვიტანოთ შესაბამისი დასკვნები, რომლის საფუძველზე შემუშავებული იქნება ეფექტიანი პრევენციული და პროფილაქტიკური ღონისძიებების კომპლექსი, რომელიც ხელს შეუწყობს აღნიშნულ ჯგუფში სგგდ-ის შემცირებას საქართველოში.

ნაშრომის სამეცნიერო სიახლე

ნაშრომის უპირველეს სამეცნიერო სიახლედ უნდა ჩაითვალოს საქართველოში სგგდ მაღალი რისკის ჯგუფის მსმ-ის ეპიდემიოლოგიური მაჩვენებლებისა და ქვეყნის მაჩვენებლებში ამ ჯგუფის წილის დადგენა:

1. მსმ-ჯგუფს წამყვანი ადგილი უკავია სგგდ-ის სტრუქტურაში საქართველოში 2015-2019 წლების ეპიდემიოლოგიურ მაჩვენებლებში; მსმ-ჯგუფში სარწმუნოდ სჭარბობს სიფილისისა და ქლამიდიური სგგდ-ის პრევალენტობის მაჩვენებლები, შემდეგ კი მოდის გონოკოკური სგგდ. თუმცა, თუ შევხედავთ მთლიან სურათს, დავინახავთ

მაღზე თვალსაჩინო სავალალო შედეგს - გამოკვლეული მსმ-პირების 70-80%-მდე რაიმე სგგდ-ით არის დაავადებული.

2. ოთხი სგგდ-ის (სიფილისი, გონოკოკური სგგდ, ქლამიდიური სგგდ, ტრიქომონიაზი) გავრცელება სარწმუნოდ მაღალია ყველაზე ახალგაზრდა (18-29 წწ.) და უფროს ასაკობრივ ჯგუფებში (55-65 წწ.). სიფილისის შემთხვევაში წამყვან ასაკობრივ ჯგუფებს ემატება 30-34 წწ. ასაკობრივი ჯგუფიც.
3. სიფილისის შემთხვევაში მსმ-ჯგუფის ახალი შემთხვევების ასაკით სტანდარტიზებულ მაჩვენებელს (20.9 100,000 ადამიანზე) ძირითადი წილი აქვს საქართველოს საერთო ასაკით სტანდარტიზებულ მაჩვენებელში (საქართველო 28.5 100,000 ადამიანზე); იგივე ტენდენციას აქვს ადგილი გონოკოკური სგგდ-ის შემთხვევაშიც კი (მსმ-ჯგუფში 16.1 100,000 ადამიანზე - საქართველოში 19.8 100,000 ადამიანზე). შედარებით დაბალია მსმ ჯგუფის წილი ქლამიდიური სგგდ-ის ახალ შემთხვევებში (მსმ-ჯგუფში 17.8 100,000 ადამიანზე - საქართველოში 43.0 100,000 ადამიანზე); და კიდევ უფრო დაბალი ტრიქომონიაზის ახალ შემთხვევებში (მსმ-ჯგუფში 8.1 100,000 ადამიანზე - საქართველოში 118.9 100,000 ადამიანზე).
4. თბილისში მცხოვრები მსმ-პირები გამოირჩევიან გავრცელებისა და ახალი შემთხვევების უფრო მაღალი მაჩვენებლებით, ვიდრე რეგიონებში მცხოვრებნი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ რეგიონებში ძირითადად გავრცელებულია ტრიქომონიაზი, ხოლო თბილისში - სიფილისი, გონოკოკური და ქლამიდიური სგგდ. სგგდ-ის სიხშირე უკუკორელაციურ კავშირშია განათლების დონესთან. ე.ი. განათლების დონის მატებასთან ერთად კლებულობს სგგდ-ის გამოვლენის მაჩვენებლები. ეკონომიკური შემოსავლის დონის მატებასთან ერთად სარწმუნოდ შემცირდა სიფილისისა და გონოკოკური სგგდ-ის შანსები. ამ ჯგუფში სიფილისის გავრცელების მაღალი მაჩვენებლების რისკს წარმოადგენს სგგდ-ის შესახებ ინფორმირებულობის დონეც.
5. 2015-დან 2019 წწ.-მდე პერიოდში ინფორმაციის სარწმუნო წყაროს სტატუსი შეუმცირდა სოციალურ და ელექტრონულ მედიას და ლგბტ და არასამთავრობო ორგანიზაციებს; ეს კი მოხდა ძირითადად სამედიცინო მუშაკებისაგან

კვალიფიციური ინფორმაციის მიღებისა და სქესობრივი პარტნიორების მიმართ სანდოობის მაღალი ხარისხის გამო.

ნაშრომის პრაქტიკული ღირებულება

- საქართველოში, სადაც განსაკუთრებით მაღალი ხარისხით ვლინდება სიღარიბე, სერვისების არარსებობა ან მიუწვდომლობა, მაღალი დანახარჯები, პოლიტიკური კონტექსტი და პრიორიტეტები, შესაბამისი ინტერვენციების დაფინანსება, განათლება - სტრუქტურულ და ინსტიტუციურ რისკ/ფაქტორებზე მეტად განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სოციუმთან დაკავშირებულ, ინტერპერსონალურ და ინდივიდუალურ რისკ-ფაქტორებს, რომელთა შორის განსაკუთრებით გასათვალისწინებელია სოციუმში არსებული სტიგმის შეფასება და გათვალისწინებაც.
- სგგდ-ის გავრცელებისა და ახალი შემთხვევების პრევენციისა და პროფილაქტიკის ერთ-ერთ მიზეზად შესაძლოა დასახელდეს სგგდ-ის შესახებ ინფორმირებულობის დაბალი ხარისხი და სკრინინგ-პროგრამების მიუწვდომლობა. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ ინფორმაციის მიღების სანდო წყაროს სტატუსი მოემატა სამედიცინო მუშაკებსა და პარტნიორებს, ხოლო ელექტრონულ მედიას ჯერ კიდევ რჩება მაღალი რეიტინგი, საჭიროა ამ რესურსების გამოყენება სკრინინგ-პროგრამების დაგეგმვაში.

სადისერტაციო ნაშრომის სტრუქტურა და მოცულობა

დისერტაცია წარმოდგენილია 170 გვერდზე კომპიუტერული წესით დაბეჭდილი ტექსტით, რომელიც შედგება შემდეგი თავებისგან: შესავალი, ლიტერატურის მიმოხილვა, კვლევის მასალა და მეთოდები, მიღებული შედეგები, მათი განხილვა, დასკვნები, პრაქტიკული რეკომენდაციები, გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა, რომელშიც შედის 225 წყარო. ტექსტი ილუსტრირებულია 1 სურათით, 22 ცხრილითა და 32 დიაგრამით.

თავი 2. ლიტერატურის მიმოხილვა

2.1. სქესობრივი გზით გადამდები ინფექციების ეპიდემიოლოგია

სქესობრივი გზით გადამდები ინფექციები (სგგი), მათ შორის სიფილისი, ქლამიდია, გონორეა, ტრიქომონიაზი და გენიტალური ჰერპესი, გლობალურად არის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის მთავარი პრობლემა. *Chlamydia trachomatis* და *Neisseria gonorrhoeae* (*N. gonorrhoeae*) ინფექციებს მეტად დიდ საზიანო ზეგავლენა აქვს ჯანმრთელობაზე, მათ შორის დისემინირებული ინფექციის, მილაკების უნაყოფობის, მენჯის ანთების და საშვილოსნოსგარე ორსულობის სახით [8-11]. მნიშვნელოვნად იზრდება ადამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსის (აივ) ინფექციის შემდგომ ან გადაცემის რისკი სგგი-ის ფონზე [10]. ზოგადად, სგგი სერიოზულად ზეგავლენას ახდენს ცხოვრების ხარისხზე, რასაც თან ახლავს ფიზიკური, ფსიქოლოგიური და სოციალური შედეგები [10]. მიუხედავად იმისა, რომ ბაქტერიული (ქლამიდია, გონორეა და სიფილისი) და პარაზიტული სგგი (ტრიქომონიაზი) განკურნებადია არსებული მედიკამენტოზური სქემების გამოყენებით, ზოგიერთ შემთხვევაში წამლის მიმართ განვითარებულმა რეზისტენტობამ შესაძლოა საფრთხე შეუქმნას განკურნებასაც [8]. მაგალითად, გაურთულებელი გონოკოკური ინფექციები შეიძლება გახდეს განუკურნებელი, როდესაც დომინანტური ხდება მულტი- და ფართო წამალრეზისტენტობის მქონე შტამები [9]. გარდა ამისა, ანტივირუსული პრეპარატები თამაშობენ მხოლოდ მედიატორის როლს და არ კურნავენ გენიტალური ჰერპესის ინფექციებს [8].

ამიტომ, სასურველია ჩამოყალიბდეს სგგი-ის საწინააღმდეგო პრევენციული მიდგომები [8]. პრიორიტეტულია ვაქცინების შემუშავებაც, მაგრამ ვაქცინაცია ჯერ არ არის ხელმისაწვდომი [9]. 2016 წელს ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის (WHO) ჯანდაცვის მსოფლიო სტრატეგიის სექტორმა სქესობრივი გზით გადამდები ინფექციების შესახებ მიუთითა, რომ *N. gonorrhoeae* ინფექციები საჭიროებს დაუყოვნებლივ პასუხს განუკურნებელი გონორეისა და სხვა სგგი-ისთან კოინფექციის რისკის გაზრდის გამო [10]. ამ მოხსენებამ ასევე აღიარა ქლამიდიური ინფექციის მზარდი მაჩვენებელი მოზარდებში

[10]. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ ხაზი გაუსვა 2030 წლის მიზანს სგგი-ის ეპიდემიების დასრულების შესახებ, მათ შორის ძირითადი სამიზნეებს წარმოადგენენ *Treponema pallidum* (*T. pallidum*) სიხშირის 90%-იანი და *N. gonorrhoeae*-ის სიხშირის სრულად (2018 წლის გლობალური საწყისიდან) შემცირება [12]. იმის გათვალისწინებით, რომ სგგი ტვირთის რეგიონალური და ასაკობრივი თავისებურებები შეიძლება განსხვავდებოდეს, ჯანმო-ს მიერ შემოთავაზებულია პრიორიტეტული ფოკუსირება სგგი-ის ტვირთის შესახებ უფრო ზუსტი მონაცემების მოპოვებისაკენ ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით, რათა შეფასდეს პროგრესი სგგი-ის კონტროლის მიმართულებით [12]. უფრო მეტიც, სგგი-ის უზარმაზარი ტვირთი შეიძლება არაპროპორციულად გადაწილდეს გეოგრაფიულ და ასაკობრივ დონეზე შემოსავლის, ჯანდაცვის სერვისების, მკურნალობის ნაკლებობისა და სტიგმატიზაციის გამო [8]. თუმცა, მონაცემები სგგი-ის უახლესი ტენდენციის მახასიათებლების შესახებ გეოგრაფიულ და ასაკობრივ დონეზე ძალზე მწირია.

მოქმედების პრიორიტეტული სფეროების დასადგენად, შედარებით კარგადაა აღწერილია 5 სგგი-ის ამჟამინდელი ეპიდემიური სტატუსი და მახასიათებლები, მათ შორისაა სიფილისი, ქლამიდია, გონორეა, ტრიქომონიაზი და გენიტალური ჰერპესი. ერთ-ერთ კვლევაში კარგადაა გაანალიზებული დროითი ტენდენციები 1990 წლიდან 2019 წლამდე გეოგრაფიული რეგიონებისა (გლობალურ, რეგიონულ და ეროვნულ დონეზე) და ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით 2019 წლის დაავადებათა გლობალური ტვირთის (GBD) კვლევის მონაცემების გამოყენებით [13]. ეს კვლევა ცდილობდა შეემუშავებინა ყოვლისმომცველი პერსპექტიული მიდგომები მიზნობრივი კონტროლის სტრატეგიებისათვის, სგგი-ის სიხშირის გლობალური, რეგიონული და ასაკობრივი თავისებურებების ლანდშაფტისა და გრძელვადიანი ტენდენციების შესახებ.

სგგი ინციდენტობის გლობალური და ნაციონალური ტენდენციები

გლობალურად 5 სგგი-სთვის ახლად გამოვლენილი შემთხვევების რაოდენობა და პოზიტიური ზრდა 1990 წლიდან 2019 წლამდე ნაჩვენებია ცხრილში 1-4 [2].

კონკრეტულად, 2019 წელს ინციდენტობის შემთხვევების თვალსაზრისით პირველ ადგილს ორი ქვეყანა იკავებს - ინდოეთი და ჩინეთი. 204 ქვეყნიდან ან ტერიტორიიდან 163 (79.90%) ქვეყანა ან ტერიტორია აღნიშნავდა სიფილისის რაოდენობის დადებით ზრდას; ქლამიდიური შემთხვევების ზრდას - 168 (82.35%), გონოკოკური შემთხვევების ზრდას - 149 (73.04%), ტრიქომონიაზის შემთხვევების ზრდას - 189 (92.65%) და გენიტალური ჰერპესის შემთხვევების ზრდას - 161 (78.92%). ყატარს ჰქონდა ინციდენტების შემთხვევების ყველაზე დიდი ზრდა ხუთ სგგი-ს შორის 1990 წლიდან 2019 წლამდე.

სიფილისის, ქლამიდიის, გონორეის, ტრიქომონიაზის და გენიტალური ჰერპესის გლობალური ASR იყო, შესაბამისად, 178.48, 2883.87, 1124.39, 4327.29 და 1021.68 1000,000 ადამიანზე. გლობალურად, თავდაპირველად 1990-დან 2000 წლამდე იყო სიფილისის ASR-ის ზრდის ტენდენცია. შემდგომში ის შემცირდა 2000 წლიდან 2010 წლამდე; თუმცა, გასულ ათწლეულში ის გაიზარდა საშუალოდ 1,25%-ით (95% CI 1,06–1,45%) წელიწადში 159,41-დან 100,000 ადამიანზე (2010 წ.) 178,48-მდე 100,000 ადამიანზე (2019 წ.; ცხრილი 1). ქლამიდიის ASR-ის ტენდენცია (2010-2019: EAPC, 0.40%; 95% CI 0.36-0.44%) 1990 წლიდან 2019 წლამდე სიფილისის მსგავსი იყო (ცხრილი 2). მიუხედავად იმისა, რომ ადგილი ჰქონდა გონოკოკური ინფექციების ASR-ის კლების ტენდენციას 2010 წლიდან 2019 წლამდე, აღმავალი ტენდენცია დაფიქსირდა 2017-დან 2019 წლამდე 2019 წელი (ცხრილი 3). ტრიქომონიაზის ASR გაიზარდა 2000-დან 2010 წლამდე, წლიური მატება შეადგენდა საშუალოდ 0.27%-ს (95% CI 0.03–0.52%) წელიწადში; რიცხოვნობად კი - 4232.24-დან (2010 წ.) 4327.29-მდე 100 000 ადამიანზე (2019 წ.) მსოფლიოში (ცხრილი 4).

ცხრილი 1. სივილისის ASR მსოფლიოში 100,000 ადამიანზე 2000, 2010 და 2019, პერიოდული გლობალური ტენდენციები [2].

მახასიათებელი	ASR 100,000 ადამიანზე			შეფასებული წლიური პროცენტული ცვლილება - Estimated annual percentage change (EAPC)	
	2000 (95% CI)	2010 (95% CI)	2019 (95% CI)	EAPC (95% CI) 2000–2010	EAPC (95% CI) 2010–2019
გლობალური	166.27 (125.58, 213.78)	159.41 (121.81, 205.63)	178.48 (134.94, 232.34)	- 0.46 (- 0.59, - 0.33)	1.25 (1.06, 1.45)
სქესი					
მდედრობითი	123.28 (93.98, 157.74)	104.90 (81.64, 132.72)	124.98 (96.68, 160.25)	- 1.69 (- 1.99, - 1.39)	1.85 (1.61, 2.10)
მამრობითი	208.66 (157.31, 272.68)	213.38 (161.03, 279.86)	231.31 (171.88, 305.30)	0.21 (0.16, 0.27)	0.94 (0.75, 1.14)
რეგიონები, სოციალურ-დემოგრაფიული განვითარების ინდექსის მიხედვით					
დაბალი	408.24 (317.03, 512.29)	373.06 (293.80, 466.79)	372.53 (287.40, 475.57)	- 0.92 (- 1.00, - 0.85)	- 0.06 (- 0.24, 0.12)
დაბალი-საშუალო	228.72	203.86	214.66	- 1.19 (- 1.54,	0.61 (0.39,

მახასიათებელი	ASR 100,000 ადამიანზე			შეფასებული წლიური პროცენტული ცვლილება - Estimated annual percentage change (EAPC)	
	2000 (95% CI)	2010 (95% CI)	2019 (95% CI)	EAPC (95% CI) 2000–2010	EAPC (95% CI) 2010–2019
	(171.63, 295.61)	(153.43, 264.27)	(160.77, 280.80)	– 0.84)	0.84)
საშუალო	124.45 (93.46, 162.90)	116.52 (87.37, 152.69)	130.13 (96.65, 171.91)	– 0.68 (– 0.75, – 0.62)	1.26 (1.15, 1.36)
მაღალი-საშუალო	85.37 (64.10, 112.78)	81.58 (62.10, 105.68)	90.96 (68.81, 118.20)	– 0.49 (– 0.74, – 0.24)	1.11 (0.81, 1.40)
მაღალი	72.67 (54.73, 97.16)	73.13 (55.00, 97.19)	74.05 (55.61, 98.92)	0.04 (– 0.24, 0.32)	0.15 (0.12, 0.17)
გეოგრაფიული რეგიონი					
ანდების ლათინური ამერიკა	231.87 (181.22, 298.52)	212.91 (167.45, 267.34)	207.84 (158.51, 270.68)	– 0.88 (– 0.98, – 0.77)	– 0.26 (– 0.41, – 0.10)
ავსტრალია-აზია	65.15 (48.70, 86.86)	63.91 (47.51, 84.28)	64.07 (47.75, 85.84)	– 0.20 (– 0.26, – 0.13)	0.04 (0.01, 0.08)
კარიბის ზღვის აუზი	175.76 (134.33, 227.29)	185.51 (152.20, 230.58)	191.99 (156.21, 235.61)	0.53 (0.17, 0.88)	0.31 (0.15, 0.47)

მახასიათებელი	ASR 100,000 ადამიანზე			შეფასებული წლიური პროცენტული ცვლილება - Estimated annual percentage change (EAPC)	
	2000 (95% CI)	2010 (95% CI)	2019 (95% CI)	EAPC (95% CI) 2000–2010	EAPC (95% CI) 2010–2019
ცენტრალური აზია	55.81 (42.53, 73.31)	51.99 (40.35, 67.92)	52.10 (40.26, 67.34)	- 0.75 (- 0.79, - 0.71)	- 0.02 (- 0.07, 0.04)
ცენტრალური ევროპა	42.88 (32.62, 56.88)	42.96 (32.80, 56.18)	43.28 (32.96, 56.54)	0.02 (- 0.07, 0.10)	0.12 (0.06, 0.18)
ცენტრალური ლათინური ამერიკა	116.20 (87.60, 152.30)	111.23 (85.79, 142.84)	111.77 (86.08, 145.02)	- 0.48 (- 0.85, - 0.11)	- 0.03 (- 0.13, 0.07)
ცენტრალური სუბ-საჰარას აფრიკა	1159.65 (878.24, 1470.11)	1107.12 (887.02, 1363.33)	1048.40 (803.52, 1344.82)	- 0.48 (- 0.79, - 0.16)	- 0.69 (- 0.89, - 0.48)
აღმოსავლეთ აზია	87.51 (65.45, 116.19)	84.94 (63.67, 111.98)	93.43 (69.27, 123.92)	- 0.31 (- 0.75, 0.13)	0.82 (0.39, 1.26)
აღმოსავლეთ ევროპა	53.09 (40.96, 68.94)	47.19 (36.45, 61.64)	47.97 (37.05, 62.56)	- 1.27 (- 1.39, - 1.14)	0.21 (0.12, 0.29)
აღმოსავლეთ სუბ-საჰარას აფრიკა	581.30 (465.28, 718.82)	468.94 (371.65, 583.69)	492.63 (386.33, 619.27)	- 2.19 (- 2.40, - 1.98)	0.52 (0.29, 0.75)
მაღალშემოსავლიანი	75.79 (57.24, 94.34)	79.38 (59.37, 99.39)	81.36 (60.92, 101.80)	0.48 (0.40, 0.56)	0.33 (0.24, 0.42)

მახასიათებელი	ASR 100,000 ადამიანზე			შეფასებული წლიური პროცენტული ცვლილება - Estimated annual percentage change (EAPC)	
	2000 (95% CI)	2010 (95% CI)	2019 (95% CI)	EAPC (95% CI) 2000–2010	EAPC (95% CI) 2010–2019
წყნარი ოკეანის აზია	101.33)	106.03)	109.14)	0.56)	0.41)
მაღალშემოსავლიანი ჩრდ. ამერიკა	73.46 (55.70, 97.50)	71.22 (54.17, 93.80)	71.76 (54.06, 95.06)	- 0.38 (- 1.31, 0.55)	0.11 (0.08, 0.14)
ჩრდ.აფრიკა და ახლო აღმოსავლეთი	81.84 (61.87, 106.20)	83.58 (63.19, 109.66)	84.20 (62.65, 111.70)	0.21 (- 0.06, 0.47)	0.22 (- 0.07, 0.51)
ოკეანეთი	483.40 (365.20, 613.56)	415.00 (310.55, 544.19)	415.80 (301.62, 551.31)	- 1.60 (- 2.22, - 0.98)	- 0.11 (- 0.28, 0.07)
სამხრეთ აზია	228.99 (168.89, 302.01)	190.05 (140.16, 251.93)	190.99 (140.95, 254.13)	- 1.88 (- 2.66, - 1.08)	0.04 (- 0.32, 0.41)
სამხრეთ-აღმოსავლეთ აზია	103.49 (77.69, 136.06)	101.44 (75.73, 133.27)	99.61 (73.45, 131.74)	- 0.20 (- 0.30, - 0.11)	- 0.14 (- 0.29, 0.02)
სამხრეთ ლათინური ამერიკა	116.11 (90.76, 146.47)	127.42 (105.05, 152.95)	131.89 (106.80, 163.69)	0.99 (0.22, 1.76)	0.08 (- 0.28, 0.44)
სამხრეთ სუბ-	628.79	545.88	665.35	- 1.37 (- 1.72,	2.50 (2.00,

მახასიათებელი	ASR 100,000 ადამიანზე			შეფასებული წლიური პროცენტული ცვლილება - Estimated annual percentage change (EAPC)	
	2000 (95% CI)	2010 (95% CI)	2019 (95% CI)	EAPC (95% CI) 2000–2010	EAPC (95% CI) 2010–2019
საჰარას აფრიკა	(491.31, 792.21)	(421.45, 698.25)	(496.08, 872.21)	- 1.01)	2.99)
ტროპიკული ლათინური ამერიკა	123.86 (91.26, 166.52)	86.45 (68.59, 107.11)	139.68 (109.18, 174.26)	- 3.92 (- 6.76, - 0.99)	5.72 (5.11, 6.33)
დასავლეთ ევროპა	67.68 (50.38, 90.60)	67.39 (50.28, 90.33)	67.63 (50.12, 90.19)	- 0.05 (- 0.06, - 0.04)	0.07 (0.04, 0.11)
დასავლეთ სუბ-საჰარას აფრიკა	440.34 (336.85, 558.49)	427.84 (322.78, 551.62)	427.97 (318.21, 556.32)	- 0.30 (- 0.35, - 0.25)	0.08 (- 0.05, 0.21)

ცხრილი 2. ქლამიდური სგგი-ის ASR მსოფლიოში 100,000 ადამიანზე 2000, 2010 და 2019, პერიოდული გლობალური ტენდენციები [2].

მახასიათებელი	ASR 100,000 ადამიანზე			შეფასებული წლიური პროცენტული ცვლილება - Estimated annual percentage change (EAPC)	
	2000 (95% CI)	2010 (95% CI)	2019 (95% CI)	2000 (95% CI)	2010 (95% CI)
გლობალური	3083.25 (2319.33, 4006.82)	2767.15 (2088.69, 3618.82)	2883.87 (2161.21, 3762.80)	- 1.13 (- 1.48, - 0.77)	0.29 (0.04, 0.54)
სქესი					
მდედრობითი	2779.49 (2122.28, 3604.37)	2526.31 (1930.64, 3269.70)	2677.33 (2027.51, 3505.38)	- 1.00 (- 1.35, - 0.65)	0.47 (0.18, 0.77)
მამრობითი	3381.46 (2515.44, 4448.60)	3005.84 (2239.03, 3952.39)	3088.09 (2286.90, 4039.30)	- 1.22 (- 1.58, - 0.86)	0.14 (- 0.07, 0.35)
რეგიონები, სოციალურ-დემოგრაფიული განვითარების ინდექსის მიხედვით					
დაბალი	2308.12 (1749.61, 3006.30)	2331.70 (1757.81, 3047.03)	2359.48 (1770.16, 3098.25)	0.10 (- 0.02, 0.21)	0.18 (0.06, 0.30)
დაბალი-საშუალო	2624.46 (1979.48, 3269.44)	2438.40 (1836.01, 3040.79)	2524.34 (1894.78, 3153.90)	- 0.78 (- 0.86, - 0.69)	0.29 (0.16, 0.42)

მახასიათებელი	ASR 100,000 ადამიანზე			შეფასებული წლიური პროცენტული ცვლილება - Estimated annual percentage change (EAPC)	
	2000 (95% CI)	2010 (95% CI)	2019 (95% CI)	2000 (95% CI)	2010 (95% CI)
	3412.47)	3172.65)	3281.85)		
საშუალო	3770.57 (2837.26, 4896.10)	3375.38 (2557.28, 4396.95)	3477.61 (2601.94, 4553.28)	- 1.16 (- 1.58, - 0.73)	0.17 (- 0.09, 0.43)
მაღალი-საშუალო	3540.95 (2659.46, 4617.09)	3001.79 (2256.41, 3935.33)	3262.50 (2430.97, 4273.94)	- 1.69 (- 2.26, - 1.12)	0.60 (0.08, 1.12)
მაღალი	1183.75 (894.38, 1549.34)	1161.48 (887.98, 1507.09)	1241.28 (936.52, 1617.46)	- 0.22 (- 0.26, - 0.18)	0.53 (0.29, 0.77)
გეოგრაფიული რეგიონი					
ანდების ლათინური ამერიკა	2601.00 (2007.77, 3307.74)	2642.91 (1998.76, 3426.46)	2520.26 (1870.63, 3304.31)	0.17 (0.11, 0.22)	- 0.20 (- 0.63, 0.23)
ავსტრალია-აზია	977.68 (753.29, 1252.00)	985.92 (771.49, 1230.37)	1051.10 (784.76, 1364.78)	0.11 (0.06, 0.15)	0.74 (0.48, 1.00)
კარიბის ზღვის აუზი	4379.71 (3271.68,	4369.90 (3279.83,	4340.05 (3228.30,	- 0.02 (- 0.03, - 0.02)	- 0.06 (- 0.08,

მახასიათებელი	ASR 100,000 ადამიანზე			შეფასებული წლიური პროცენტული ცვლილება - Estimated annual percentage change (EAPC)	
	2000 (95% CI)	2010 (95% CI)	2019 (95% CI)	2000 (95% CI)	2010 (95% CI)
	5704.71)	5704.69)	5660.33)		- 0.05)
ცენტრალური აზია	5331.46 (3994.38, 6919.09)	5276.06 (3993.52, 6850.22)	5271.28 (3946.14, 6857.60)	- 0.11 (- 0.13, - 0.09)	- 0.01 (- 0.05, 0.03)
ცენტრალური ევროპა	3324.84 (2502.79, 4375.42)	3312.67 (2459.05, 4356.74)	3308.59 (2464.68, 4333.19)	- 0.04 (- 0.04, - 0.03)	0.00 (- 0.02, 0.02)
ცენტრალური ლათინური ამერიკა	3855.76 (2909.64, 5035.82)	4059.99 (3077.44, 5321.02)	3850.00 (2903.85, 5041.57)	0.53 (0.35, 0.72)	- 0.36 (- 0.68, - 0.04)
ცენტრალური სუბ-საჰარას აფრიკა	2127.03 (1594.66, 2789.84)	2135.70 (1590.05, 2831.89)	2111.27 (1568.66, 2799.00)	0.04 (- 0.01, 0.09)	- 0.08 (- 0.20, 0.04)
აღმოსავლეთ აზია	4718.45 (3538.74, 6159.79)	3528.61 (2665.50, 4618.89)	4128.96 (3082.92, 5375.67)	- 2.92 (- 4.06, - 1.76)	1.09 (0.05, 2.14)
აღმოსავლეთ ევროპა	3653.06 (2719.44, 4788.43)	3626.07 (2707.62, 4722.05)	3625.05 (2701.70, 4753.04)	- 0.08 (- 0.09, - 0.07)	0.02 (- 0.01, 0.05)

მახასიათებელი	ASR 100,000 ადამიანზე			შეფასებული წლიური პროცენტული ცვლილება - Estimated annual percentage change (EAPC)	
	2000 (95% CI)	2010 (95% CI)	2019 (95% CI)	2000 (95% CI)	2010 (95% CI)
აღმოსავლეთ სუბ-საჰარას აფრიკა	3262.62 (2483.19, 4208.26)	3247.74 (2450.72, 4253.65)	3223.05 (2422.13, 4236.64)	- 0.05 (- 0.05, - 0.04)	- 0.05 (- 0.16, 0.06)
მაღალშემოსავლიანი წყნარი ოკეანის აზია	1030.44 (773.81, 1346.38)	1028.94 (790.04, 1323.87)	1025.36 (767.38, 1355.75)	- 0.03 (- 0.10, 0.03)	- 0.10 (- 0.22, 0.02)
მაღალშემოსავლიანი ჩრდ. ამერიკა	867.76 (657.02, 1140.15)	643.55 (489.35, 838.99)	740.09 (554.75, 968.78)	- 3.16 (- 3.71, - 2.61)	1.23 (0.73, 1.73)
ჩრდ.აფრიკა და ახლო აღმოსავლეთი	3495.74 (2682.90, 4517.80)	3431.73 (2619.81, 4453.92)	3264.95 (2470.04, 4246.76)	- 0.18 (- 0.39, 0.03)	- 0.51 (- 0.57, - 0.44)
ოკეანეთი	3831.27 (2924.20, 4862.43)	3666.20 (2903.32, 4526.87)	3701.31 (2826.22, 4759.19)	- 0.46 (- 0.56, - 0.35)	0.05 (- 0.04, 0.14)
სამხრეთ აზია	1612.88 (1202.99, 2108.48)	1570.86 (1173.82, 2051.51)	1711.93 (1270.93, 2239.34)	- 0.29 (- 0.46, - 0.13)	0.83 (0.65, 1.01)
სამხრეთ-	4251.31	4275.19	4252.09	0.06 (0.03,	- 0.10

მახასიათებელი	ASR 100,000 ადამიანზე			შეფასებული წლიური პროცენტული ცვლილება - Estimated annual percentage change (EAPC)	
	2000 (95% CI)	2010 (95% CI)	2019 (95% CI)	2000 (95% CI)	2010 (95% CI)
აღმოსავლეთ აზია	(3200.02, 5557.87)	(3216.34, 5592.15)	(3180.39, 5558.88)	0.09	(- 0.17, - 0.02)
სამხრეთ ლათინური ამერიკა	886.82 (672.61, 1145.16)	902.80 (675.47, 1179.79)	908.41 (686.00, 1182.24)	0.18 (0.06, 0.30)	0.04 (0.02, 0.07)
სამხრეთ სუბ-საჰარას აფრიკა	5890.00 (4593.74, 7540.13)	6053.46 (4671.09, 7788.73)	5324.43 (4039.48, 6940.61)	0.32 (- 0.09, 0.73)	- 0.98 (- 1.62, - 0.34)
ტროპიკული ლათინური ამერიკა	4311.13 (3250.51, 5635.92)	3908.58 (2956.68, 5120.29)	4102.22 (3075.72, 5393.45)	- 1.03 (- 1.14, - 0.91)	0.68 (0.26, 1.10)
დასავლეთ ევროპა	434.50 (335.70, 560.53)	437.91 (341.46, 554.49)	429.93 (327.62, 559.92)	0.08 (- 0.05, 0.22)	- 0.27 (- 0.43, - 0.12)
დასავლეთ სუბ-საჰარას აფრიკა	2307.63 (1760.38, 2997.46)	2549.90 (1935.86, 3323.90)	2316.40 (1741.46, 3047.29)	1.04 (0.58, 1.50)	- 0.66 (- 1.31, - 0.01)

ცხრილი 3. გონოკოკური სგგი-ის ASR მსოფლიოში 100,000 ადამიანზე 2000, 2010 და 2019, პერიოდული გლობალური ტენდენციები [2].

მახასიათებელი	ASR 100,000 ადამიანზე			შეფასებული წლიური პროცენტული ცვლილება - Estimated annual percentage change (EAPC)	
	2000 (95% CI)	2010 (95% CI)	2019 (95% CI)	2000 (95% CI)	2010 (95% CI)
გლობალური	1171.43 (910.47, 1519.18)	1165.77 (902.49, 1511.66)	1124.39 (872.97, 1441.08)	-0.04 (-0.24, 0.16)	-0.51 (-0.79, -0.24)
სქესი					
მდედრობითი	828.37 (643.70, 1076.90)	768.22 (588.52, 1016.10)	746.62 (573.55, 970.89)	-0.76 (-0.97, -0.54)	-0.45 (-0.61, -0.29)
მამრობითი	1508.73 (1172.48, 1962.99)	1557.15 (1204.37, 2036.79)	1494.21 (1154.10, 1922.58)	0.33 (0.12, 0.53)	-0.56 (-0.93, -0.20)
რეგიონები, სოციალურ-დემოგრაფიული განვითარების ინდექსის მიხედვით					
დაბალი	1166.82 (935.68, 1459.39)	1176.01 (928.73, 1513.26)	1121.20 (876.87, 1461.59)	0.08 (-0.05, 0.21)	-0.62 (-0.96, -0.28)
დაბალი-საშუალო	1191.93 (924.61, 1459.39)	1239.01 (951.61, 1526.41)	1141.32 (883.23, 1400.41)	0.41 (0.12, 0.70)	-1.09 (-1.59, -0.59)

მახასიათებელი	ASR 100,000 ადამიანზე			შეფასებული წლიური პროცენტული ცვლილება - Estimated annual percentage change (EAPC)	
	2000 (95% CI)	2010 (95% CI)	2019 (95% CI)	2000 (95% CI)	2010 (95% CI)
	1539.36)	1640.00)	1474.10)		- 0.59)
საშუალო	1274.29 (981.92, 1686.96)	1257.37 (965.23, 1652.80)	1225.96 (936.47, 1618.37)	- 0.14 (- 0.33, 0.05)	- 0.36 (- 0.57, - 0.14)
მაღალი-საშუალო	1263.43 (961.25, 1672.92)	1188.51 (915.23, 1581.35)	1167.61 (896.78, 1523.30)	- 0.62 (- 0.77, - 0.47)	- 0.31 (- 0.46, - 0.16)
მაღალი	460.13 (365.01, 577.98)	462.08 (364.66, 590.01)	458.63 (365.83, 581.52)	0.07 (0.03, 0.11)	- 0.27 (- 0.51, - 0.03)
გეოგრაფიული რეგიონი					
ანდების ლათინური ამერიკა	245.05 (179.18, 335.93)	258.33 (183.00, 362.86)	254.51 (180.90, 363.56)	0.55 (0.23, 0.87)	- 0.19 (- 0.21, - 0.16)
ავსტრალია-აზია	315.24 (240.84, 418.93)	310.52 (235.06, 414.23)	306.23 (230.23, 408.85)	- 0.14 (- 0.26, - 0.02)	- 0.23 (- 0.32, - 0.14)
კარიბის ზღვის აუზი	1263.01 (869.10,	1181.67 (813.27,	1199.47 (829.79,	- 0.70 (- 0.74, - 0.66)	0.11 (- 0.14, 0.35)

მახასიათებელი	ASR 100,000 ადამიანზე			შეფასებული წლიური პროცენტული ცვლილება - Estimated annual percentage change (EAPC)	
	2000 (95% CI)	2010 (95% CI)	2019 (95% CI)	2000 (95% CI)	2010 (95% CI)
	1904.58)	1764.55)	1791.33)		
ცენტრალური აზია	2494.48 (1716.54, 3708.69)	2311.97 (1606.38, 3398.98)	2269.24 (1542.52, 3364.37)	- 0.80 (- 0.93, - 0.68)	- 0.30 (- 0.41, - 0.18)
ცენტრალური ევროპა	1892.05 (1434.88, 2528.26)	1836.45 (1390.90, 2457.00)	1816.54 (1375.73, 2454.40)	- 0.30 (- 0.35, - 0.26)	- 0.24 (- 0.40, - 0.09)
ცენტრალური ლათინური ამერიკა	791.13 (615.74, 1012.26)	771.55 (601.30, 994.23)	772.79 (604.45, 993.38)	- 0.27 (- 0.29, - 0.25)	0.01 (- 0.07, 0.08)
ცენტრალური სუბ-საჰარას აფრიკა	1240.68 (892.67, 1744.89)	1228.93 (881.89, 1747.13)	1187.74 (842.19, 1721.81)	- 0.10 (- 0.14, - 0.05)	- 0.45 (- 0.56, - 0.34)
აღმოსავლეთ აზია	1159.74 (822.14, 1624.76)	1076.75 (761.02, 1511.46)	1088.78 (765.14, 1508.29)	- 0.74 (- 0.88, - 0.59)	0.00 (- 0.18, 0.18)
აღმოსავლეთ ევროპა	2186.94 (1573.90, 3078.48)	2088.52 (1507.23, 2915.64)	2115.43 (1511.49, 2972.55)	- 0.48 (- 0.50, - 0.46)	- 0.02 (- 0.31, 0.28)

მახასიათებელი	ASR 100,000 ადამიანზე			შეფასებული წლიური პროცენტული ცვლილება - Estimated annual percentage change (EAPC)	
	2000 (95% CI)	2010 (95% CI)	2019 (95% CI)	2000 (95% CI)	2010 (95% CI)
აღმოსავლეთ სუბ-საჰარას აფრიკა	1439.49 (1167.23, 1797.00)	1403.81 (1095.47, 1833.70)	1363.62 (1054.26, 1804.90)	- 0.26 (- 0.46, - 0.05)	- 0.39 (- 0.54, - 0.23)
მაღალშემოსავლიანი წყნარი ოკეანის აზია	672.03 (533.51, 839.84)	677.88 (535.85, 851.64)	671.08 (530.73, 845.19)	0.09 (0.03, 0.15)	- 0.18 (- 0.28, - 0.07)
მაღალშემოსავლიანი ჩრდ. ამერიკა	337.54 (252.09, 454.62)	337.54 (249.57, 451.52)	375.03 (277.70, 501.02)	0.00 (- 0.17, 0.17)	0.77 (0.12, 1.41)
ჩრდ.აფრიკა და ახლო აღმოსავლეთი	1225.85 (933.31, 1655.77)	1184.24 (871.00, 1643.77)	1164.03 (853.33, 1642.04)	- 0.35 (- 0.47, - 0.22)	- 0.18 (- 0.22, - 0.15)
ოკეანეთი	1750.69 (1202.14, 2571.57)	1881.77 (1281.88, 2824.04)	1693.15 (1139.36, 2590.01)	0.75 (0.47, 1.03)	- 0.44 (- 1.36, 0.48)
სამხრეთ აზია	1174.18 (856.28, 1634.05)	1300.55 (915.31, 1834.15)	1134.27 (814.83, 1598.03)	1.07 (0.63, 1.51)	- 1.77 (- 2.60, - 0.93)
სამხრეთ-	1375.22	1333.75	1335.19	- 0.32 (- 0.48,	0.04 (- 0.07,

მახასიათებელი	ASR 100,000 ადამიანზე			შეფასებული წლიური პროცენტული ცვლილება - Estimated annual percentage change (EAPC)	
	2000 (95% CI)	2010 (95% CI)	2019 (95% CI)	2000 (95% CI)	2010 (95% CI)
აღმოსავლეთ აზია	(1096.70, 1731.81)	(1060.26, 1671.92)	(1061.49, 1687.72)	- 0.15)	0.14)
სამხრეთ ლათინური ამერიკა	436.87 (314.28, 613.75)	431.22 (308.17, 609.46)	430.95 (309.16, 610.91)	- 0.13 (- 0.22, - 0.05)	- 0.06 (- 0.17, 0.05)
სამხრეთ სუბ-საჰარას აფრიკა	4515.26 (3453.11, 5939.45)	4175.61 (3174.47, 5507.98)	3869.55 (2945.69, 5086.97)	- 0.79 (- 1.17, - 0.41)	- 0.69 (- 0.99, - 0.39)
ტროპიკული ლათინური ამერიკა	1027.67 (707.44, 1473.02)	855.73 (600.57, 1207.29)	912.93 (631.86, 1293.01)	- 1.98 (- 2.19, - 1.76)	0.73 (0.47, 0.99)
დასავლეთ ევროპა	134.69 (107.29, 171.12)	128.75 (101.92, 163.61)	130.45 (104.25, 165.78)	- 0.46 (- 0.57, - 0.34)	- 0.01 (- 0.22, 0.19)
დასავლეთ სუბ-საჰარას აფრიკა	1394.78 (1130.39, 1732.43)	1346.86 (1073.43, 1706.65)	1318.35 (1046.77, 1674.62)	- 0.37 (- 0.38, - 0.35)	- 0.31 (- 0.50, - 0.12)

ცხრილი 4. ტრიკომონიაზის ASR მსოფლიოში 100,000 ადამიანზე 2000, 2010 და 2019, პერიოდული გლობალური ტენდენციები [2].

მახასიათებელი	ASR 100,000 ადამიანზე			შეფასებული წლიური პროცენტული ცვლილება - Estimated annual percentage change (EAPC)	
	2000 (95% CI)	2010 (95% CI)	2019 (95% CI)	2000 (95% CI)	2010 (95% CI)
გლობალური	4186.35 (3083.69, 5458.95)	4232.24 (3112.87, 5529.40)	4327.29 (3176.53, 5645.76)	0.11 (0.06, 0.17)	0.27 (0.03, 0.52)
სქესი					
მდედრობითი	3526.77 (2562.30, 4650.06)	3608.56 (2616.58, 4769.16)	3781.34 (2719.77, 5010.59)	0.24 (0.15, 0.33)	0.61 (0.03, 1.20)
მამრობითი	4843.00 (3586.19, 6349.38)	4860.24 (3590.68, 6370.79)	4879.67 (3610.00, 6366.99)	0.03 (0.01, 0.06)	0.03 (0.00, 0.05)
რეგიონები, სოციალურ-დემოგრაფიული განვითარების ინდექსის მიხედვით					
დაბალი	5540.55 (4147.65, 7180.19)	5632.89 (4192.13, 7352.95)	5748.06 (4236.67, 7502.65)	0.18 (0.07, 0.28)	0.28 (0.21, 0.36)
დაბალი-საშუალო	3959.13 (2933.69, 5458.95)	3983.53 (2945.85, 5458.95)	4051.78 (2978.09, 5458.95)	0.07 (0.01, 0.12)	0.17 (- 0.05, 0.39)

მახასიათებელი	ASR 100,000 ადამიანზე			შეფასებული წლიური პროცენტული ცვლილება - Estimated annual percentage change (EAPC)	
	2000 (95% CI)	2010 (95% CI)	2019 (95% CI)	2000 (95% CI)	2010 (95% CI)
	5145.98)	5204.16)	5277.78)		
საშუალო	4194.99 (3072.36, 5464.94)	4226.63 (3091.59, 5510.28)	4267.97 (3116.15, 5565.46)	0.07 (– 0.02, 0.16)	0.15 (– 0.23, 0.53)
მაღალი-საშუალო	3758.28 (2749.51, 4933.69)	3778.10 (2759.45, 4945.88)	3829.67 (2796.45, 4987.86)	0.06 (– 0.03, 0.14)	0.19 (– 0.18, 0.56)
მაღალი	3390.04 (2488.12, 4442.00)	3435.48 (2531.95, 4500.49)	3481.39 (2552.86, 4554.16)	0.14 (0.13, 0.14)	0.15 (0.12, 0.17)
გეოგრაფიული რეგიონი					
ანდების ლათინური ამერიკა	4409.82 (3281.53, 5701.06)	4416.95 (3282.09, 5783.87)	4490.13 (3298.29, 5860.57)	0.02 (– 0.01, 0.05)	0.27 (0.12, 0.42)
ავსტრალია-აზია	2810.75 (2081.79, 3694.06)	2800.73 (2106.70, 3638.95)	2803.25 (2080.30, 3648.48)	– 0.03 (– 0.13, 0.06)	0.00 (– 0.06, 0.07)
კარიბის ზღვის აუზი	5078.91 (3766.07,	5119.07 (3811.77,	5228.27 (3855.21,	0.08 (0.07, 0.10)	0.35 (0.15, 0.55)

მახასიათებელი	ASR 100,000 ადამიანზე			შეფასებული წლიური პროცენტული ცვლილება - Estimated annual percentage change (EAPC)	
	2000 (95% CI)	2010 (95% CI)	2019 (95% CI)	2000 (95% CI)	2010 (95% CI)
	6603.44)	6655.74)	6815.48)		
ცენტრალური აზია	3944.22 (2947.10, 5122.80)	3992.17 (2955.47, 5189.20)	3954.09 (2912.62, 5161.83)	0.13 (0.00, 0.25)	- 0.15 (- 0.38, 0.07)
ცენტრალური ევროპა	3392.01 (2515.84, 4402.16)	3426.77 (2541.46, 4479.62)	3463.90 (2553.06, 4533.86)	0.11 (0.01, 0.20)	0.08 (- 0.04, 0.19)
ცენტრალური ლათინური ამერიკა	6252.66 (4613.33, 8102.32)	6360.64 (4688.26, 8240.41)	6519.08 (4766.17, 8493.79)	0.18 (0.10, 0.26)	0.40 (0.20, 0.61)
ცენტრალური სუბ-საჰარას აფრიკა	5399.63 (4023.69, 7068.97)	5496.66 (4097.74, 7186.84)	5500.77 (4075.69, 7157.30)	0.19 (0.15, 0.24)	0.04 (- 0.03, 0.10)
აღმოსავლეთ აზია	4338.44 (3155.02, 5683.44)	4351.29 (3144.73, 5706.38)	4403.83 (3195.76, 5762.80)	0.04 (- 0.13, 0.21)	0.22 (- 0.46, 0.91)
აღმოსავლეთ ევროპა	3119.98 (2253.81, 4096.27)	3112.86 (2249.59, 4069.94)	3170.49 (2289.66, 4152.30)	- 0.03 (- 0.13, 0.08)	0.18 (0.16, 0.21)

მახასიათებელი	ASR 100,000 ადამიანზე			შეფასებული წლიური პროცენტული ცვლილება - Estimated annual percentage change (EAPC)	
	2000 (95% CI)	2010 (95% CI)	2019 (95% CI)	2000 (95% CI)	2010 (95% CI)
აღმოსავლეთ სუბ-საჰარას აფრიკა	10,094.23 (7664.31, 12,884.63)	9874.58 (7306.38, 12,767.00)	10,014.29 (7336.36, 12,908.25)	- 0.23 (- 0.25, - 0.21)	0.23 (0.14, 0.32)
მაღალშემოსავლიანი წყნარი ოკეანის აზია	3172.89 (2336.66, 4167.99)	3194.38 (2356.89, 4183.53)	3247.76 (2375.14, 4239.47)	0.07 (- 0.02, 0.17)	0.19 (0.15, 0.22)
მაღალშემოსავლიანი ჩრდ. ამერიკა	4235.13 (3067.24, 5535.79)	4222.63 (3069.95, 5530.79)	4224.42 (3049.86, 5536.13)	- 0.03 (- 0.05, - 0.01)	0.00 (- 0.06, 0.05)
ჩრდ.აფრიკა და ახლო აღმოსავლეთი	3887.06 (2933.92, 4956.65)	3749.78 (2798.51, 4820.06)	3633.77 (2699.73, 4675.87)	- 0.38 (- 0.41, - 0.34)	- 0.32 (- 0.41, - 0.22)
ოკეანეთი	7012.73 (5245.51, 9124.38)	7438.01 (5725.31, 9515.68)	7046.62 (5258.47, 9082.33)	0.61 (0.34, 0.88)	- 0.53 (- 0.73, - 0.32)
სამხრეთ აზია	3050.51 (2233.86, 3995.18)	2998.82 (2201.06, 3932.54)	2989.08 (2182.21, 3904.48)	- 0.17 (- 0.22, - 0.12)	- 0.13 (- 0.45, 0.19)
სამხრეთ-	4424.34	4465.33	4455.60	0.10 (0.01,	- 0.09

მახასიათებელი	ASR 100,000 ადამიანზე			შეფასებული წლიური პროცენტული ცვლილება - Estimated annual percentage change (EAPC)	
	2000 (95% CI)	2010 (95% CI)	2019 (95% CI)	2000 (95% CI)	2010 (95% CI)
აღმოსავლეთ აზია	(3261.56, 5793.71)	(3286.15, 5855.01)	(3257.20, 5836.66)	0.19	(- 0.21, 0.02)
სამხრეთ ლათინური ამერიკა	2922.52 (2188.21, 3790.97)	2945.02 (2179.04, 3856.93)	2963.95 (2200.04, 3863.44)	0.08 (0.06, 0.10)	0.08 (0.06, 0.11)
სამხრეთ სუბ-საჰარას აფრიკა	7869.53 (5829.00, 10,111.74)	7377.11 (5434.66, 9545.41)	7838.36 (5733.84, 10,163.46)	- 0.67 (- 0.88, - 0.46)	0.88 (0.57, 1.20)
ტროპიკული ლათინური ამერიკა	5719.73 (4146.26, 7461.74)	5722.70 (4207.23, 7461.10)	5889.37 (4255.92, 7701.51)	0.01 (0.00, 0.02)	0.41 (0.15, 0.68)
დასავლეთ ევროპა	2386.75 (1779.99, 3115.39)	2414.84 (1787.52, 3153.00)	2404.86 (1790.97, 3136.99)	0.13 (0.11, 0.15)	- 0.05 (- 0.09, - 0.01)
დასავლეთ სუბ-საჰარას აფრიკა	7524.26 (5616.51, 9763.05)	7585.92 (5625.56, 9895.69)	7656.26 (5652.53, 9981.63)	0.10 (- 0.01, 0.20)	0.16 (0.05, 0.26)

უფრო მეტიც, 2019 წელს ცალკეული ქვეყნების მიხედვით სიფილისის ინციდენტობის მაჩვენებლით პირველ ადგილს იკავებს ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკა, ქლამიდიური ინფექციების კუთხით - სამხრეთ აფრიკა, გონოკოკური ინფექციების ინციდენტობის მაჩვენებლით - ისევ სამხრეთ აფრიკა, ტრიქომონიაზის კუთხით - ტანზანიის რესპუბლიკა, ხოლო გენიტალური ჰერპესის კუთხით - ზიმბაბვე. სიფილისის ASR-ის ზრდის ტენდენცია ნანახი იქნა 109 ქვეყანაში; ქლამიდიური ინფექციების ASR-ის ზრდის ტენდენცია - 51-ში; გონოკოკური ინფექციების ASR-ის ზრდის ტენდენცია - 15-ში; ტრიქომონიაზის ASR-ის ზრდის ტენდენცია - 71-ში; და გენიტალური ჰერპესის ASR-ის ზრდის ტენდენცია - 204-ში. სიფილისის ინციდენტობის ASR-ის ყველაზე მაღალი პროცენტული ზრდა დაფიქსირდა ბრაზილიაში (EAPC, 6.23; 95% CI 5.51–6.92), ქლამიდიური ინფექციების ინციდენტობის ASR-ის ყველაზე მაღალი პროცენტული ზრდა - მარშალის კუნძულებზე (EAPC, 9.85; 95% CI 8.26–11.48), გონოკოკური ინფექციების ინციდენტობის ASR-ის ყველაზე მაღალი პროცენტული ზრდა - გაერთიანებულ სამეფოში (EAPC, 1.93; 95% CI 0.71–3.16), ტრიქომონიაზის ინციდენტობის ASR-ის ყველაზე მაღალი პროცენტული ზრდა - ლიბანში (EAPC, 2.29; 95% CI 1.49–3.10); და გენიტალური ჰერპესის ინციდენტობის ASR-ის ყველაზე მაღალი პროცენტული ზრდა - ეთიოპიაში (EAPC, 3.05; 95% CI 1.60–4.53).

3 რეგიონი, სადაც გაიზარდა 5 სგგი-ის ახალი შემთხვევების რიცხვი, მოიცავდა დაბალ, დაბალ-საშუალო და საშუალო სოციალურ-დემოგრაფიული ინდექსის რეგიონებს. სიფილისის, ტრიქომონიაზის და გენიტალური ჰერპესის ASR ყველაზე მაღალი იყო დაბალი სოციალურ-დემოგრაფიული ინდექსის რეგიონებში 1990 წლიდან 2019 წლამდე (სიფილისი, 372,53 100,000 ადამიანზე; ტრიქომონიაზი, 5748,06 100,000 ადამიანზე 100,000 ადამიანზე. 20320 ადამიანზე, 201 გენიტალური 9), ხოლო ქლამიდიისა და გონორეის ინფექციების ASRs ყველაზე მაღალი იყო საშუალო სოციალურ-დემოგრაფიული ინდექსის რეგიონებში 1990 წლიდან 2019 წლამდე (ქლამიდია, 3477.61 100000 ადამიანზე; გონორეა 1225.96 100000 ადამიანზე 2019 წელს). 2010 წლიდან 2019 წლამდე სოციალურ-დემოგრაფიული ინდექსის რეგიონებიდან ASR-ის ყველაზე დიდი ზრდის ტენდენციით სიფილისისთვის (EAPC, 1.26; 95% CI 1.15-1.36) ლიდერობს საშუალო, ქლამიდიისათვის

(EAPC, 0.60; 95% CI 0.08-1.12) - მაღალი-საშუალო, ტრიქომონიაზისათვის (EAPC; 95% 0.021-0.36) - დაბალი და გენიტალური ჰერპესისათვის (EAPC, 0.53; 95% CI 0.36-0.69) იყო მაღალი-საშუალო სოციალურ-დემოგრაფიული ინდექსის რეგიონები [2].

სიფილისის ახალი შემთხვევების რაოდენობა ყველაზე მეტი იყო სამხრეთ აზიაში (3.73 მლნ.); ქლამიდიური ინფექციების ახალი შემთხვევების რაოდენობა - აღმოსავლეთ აზიაში (69.21 მლნ.); გონოკოკური ინფექციების ახალი შემთხვევების რაოდენობა - სამხრეთ აზიაში (22.79 მლნ.); ტრიქომონიაზის ახალი შემთხვევების რაოდენობა - აღმოსავლეთ აზიაში (81.21 მლნ.); გენიტალური ჰერპესის ახალი შემთხვევების რაოდენობა - ასევე აღმოსავლეთ აზიაში (12.10 მლნ.) [2].

გეოგრაფიული რეგიონებიდან ლიდერის პოზიციები სიფილისის ASR-ის მაჩვენებლით უკავია ცენტრალურ სუბ-საჰარას აფრიკას (1048.40 100,000 ადამიანზე); ქლამიდიური ინფექციების ASR-ის მაჩვენებლით - სამხრეთ სუბ-საჰარას აფრიკას (5324.43 100,000 ადამიანზე); გონოკოკური ინფექციების ASR-ის მაჩვენებლით - ისევ სამხრეთ სუბ-საჰარას აფრიკას (3869.56 100,000 ადამიანზე); ტრიქომონიაზის ASR-ის მაჩვენებლითაც - სამხრეთ სუბ-საჰარას აფრიკას (2275.42 100,000 ადამიანზე). 2010 წლიდან 2019 წლამდე 11 რეგიონში დაფიქსირდა სიფილისის ASR-ის ზრდის ტენდენცია, 6 რეგიონში - ქლამიდიური ინფექციების ASR-ის ზრდის ტენდენცია, 2 რეგიონში - გონოკოკური ინფექციების ASR-ის ზრდის ტენდენცია, 10 რეგიონში - ტრიქომონიაზის ASR-ის ზრდის ტენდენცია, და 5 რეგიონში - გენიტალური ჰერპესის ASR-ის ზრდის ტენდენცია. მათ შორის ყველაზე მაღალი პროცენტული ზრდა სიფილისის შემთხვევებისათვის დარეგისტრირდა ტროპიკულ ლათინურ ამერიკაში (EAPC, 5.72; 95% CI 5.11–6.33); ქლამიდიის ინფექციებისათვის კი გამორჩეულია მაღალ-შემოსავლიანი ჩრდილოეთ ამერიკა (EAPC, 1.23; 95% CI 0.73–1.73), სამხრეთ სუბ-საჰარას აფრიკას ჰქონდა ტრიქომონიაზის ASR-ის ყველაზე მაღალი პროცენტული ზრდა (EAPC, 0.88; 95% CI 0.57–1.20) (Table (Table44 and Fig. 2D), და აღმოსავლეთ აზია ლიდერობდა გენიტალური ჰერპესის ASR-ის პროცენტული მატების მაჩვენებლით (EAPC, 1.44; 95% CI 0.83–2.06) [2].

ბოლო წლებში, სიფილისის ყველაზე მაღალი სიხშირის მქონე ასაკობრივი ჯგუფი გლობალურად უფრო გაახალგაზრდავდა (25-29 წწ. 2010 წელს vs. 20-24 წწ. 2019 წელს) [14], მაგრამ უფრო ხანდაზმული გახდა ჩრდილოეთ აფრიკასა და ახლო აღმოსავლეთში (20-24 წწ. 2010 წელს vs. 25-29 წწ. 2019 წელს). გარდა ამისა, ქლამიდიასთან დაკავშირებით, მოსახლეობა უფრო ხანდაზმული გახდა სამხრეთ სუბ-საჰარის აფრიკაში (25-29 წწ. 2010 წელს vs. 30-34 წწ. 2019 წელს), მაგრამ უფრო გაახალგაზრდავდა ავსტრალიაში (40-44 წწ. 2010 წელს vs. 25-29 წწ. 2019 წელს). გონორეისა და ტრიქომონიაზის შემთხვევებს შორის ასაკის მახასიათებლები არ იყო დაფიქსირებული. გენიტალური ჰერპესით დაავადებული მოსახლეობა უფრო ხანდაზმული გახდა მაღალშემოსავლიან ჩრდილოეთ ამერიკაში (20-24 წწ. 2010 წელს vs. 25-29 წწ. 2019 წელს) და სამხრეთ აზიაში (25-29 წწ. 2019 წელს vs. 30-34 წწ. 2019 წელს) [14].

ჰეტეროსექსუალურ ქალებთან 1/253-მდე [106]. ამ უთანასწორობას კიდევ უფრო ამძაფრებს რასობრივი და ეთნიკური წარმომავლობა, აფროამერიკელი/შავკანიანი და ესპანური/ლათინო მსმ-პირის აივ ინფექციის რისკი შეადგენს 1/2-სა და 1/4-ს, შესაბამისად. აივ-ისთვის გადაცემა ბევრად უფრო ადვილად ხდება ანალური სექსით, ვიდრე პენის-ვაგინალური სექსით [107]. სხვა სგგი-ის მსგავსად, მრავალი პარტნიორი, ანონიმური პარტნიორი, სექსი პრეზერვატივი და ნარკოტიკების გამოყენება დაკავშირებულია აივ ინფექციასთან [108-111]. მნიშვნელოვანია, რომ სხვა სგგი-მა ასევე შეიძლება მნიშვნელოვნად გაზარდოს აივ ინფექციის რისკი [112-114]. ახალი აივ-ინფექციების დაახლოებით 10% განპირობებულია ქლამიდიური ან გონოკოკური ინფექციებით [115].

მსმ-პირების მნიშვნელოვანმა რაოდენობამ არ იცის მათი აივ დიაგნოზის შესახებ [116]. კლინიკური დახმარება, რომელიც მოიცავს აივ ინფექციის მქონე მსმ-პირებს, უნდა მოიცავდეს კითხვას სგგი-თან დაკავშირებული რისკ-ფაქტორების და რუტინული სგგი-ტესტირების შესახებ. კლინიცისტებმა რეგულარულად უნდა ჰკითხოთ მსმ-პირებს მათი სექსუალური ქცევებისა და იმ სიმპტომების შესახებ, რომლებიც შეესაბამება საერთო სგგი-ს; მათ შორის შარდსაწვეთის გამონადენი, დიზურია, წყლულები, გამონაყარი, ლიმფადენოპათია და ანორექტალური სიმპტომები, რომლებიც შეიძლება შეესაბამებოდეს პროქტიტს (მაგ., გამონადენი, რექტალური სისხლდენა, ტკივილი დეფეკაციის დროს, ან ტკივილი ანალური სექსის დროს). თუმცა, ზოგიერთი სგგი უსიმპტომოა, განსაკუთრებით რექტალურ და ფარინგეალურ უბნებზე და რეკომენდებულია რუტინული ტესტირება. გარდა ამისა, კლინიცისტებმა უნდა უზრუნველყონ განათლება და კონსულტაცია მტკიცებულებებზე დაფუძნებული უსაფრთხო სექსის მიდგომებთან დაკავშირებით, რომლებმაც აჩვენეს ეფექტურობა სგგი-ის შემთხვევების შესამცირებლად.

აივ პრევენციისთვის წინასწარი ექსპოზიციის პროფილაქტიკა (Pre-Exposure Prophylaxis – PrEP) არის მედიკამენტების გამოყენება ინფექციის პრევენციისთვის ექსპოზიციამდე. კვლევებმა აჩვენა, რომ ყოველდღიური პერორალური მედიკამენტი TDF/FTC ეფექტურია აივ-ის პრევენციისთვის, განსაკუთრებით მსმ-პირებში [117-119]. PrEP გაიდლაინები

გვაწვდის ინფორმაციას სქესობრივად აქტიური პირების შესახებ, რომლებიც იმყოფებიან აივ ინფექციის მნიშვნელოვანი რისკის ქვეშ (ჰქონდათ ანალური ან ვაგინალური სექსი წინა 6 თვის განმავლობაში აივ ინფექციით დაავადებულ პარტნიორთან, ბაქტერიული სგგი ბოლო 6 თვის განმავლობაში, ან არათანმიმდევრული ან პრეზერვატივის არგამოყენება სქესობრივ პარტნიორთან) ან პირები, რომლებიც მოიხმარენ ნარკოტიკებს (ინექციური პარტნიორი აივ ინფექციით ან საინექციო აღჭურვილობის გაზიარება) [120]. ეს გაიდლაინები გვაწვდის ინფორმაციას ყოველდღიური PrEP გამოყენების შესახებ ან TDF/FTC (მამაკაცები ან ქალები) ან ტენოფოვირ-ალაფენამიდი და ემტრიციტაბინი მსმ-პირებისთვის. ბაქტერიული სგგი-ს სკრინინგი უნდა ჩატარდეს მინიმუმ ყოველ 6 თვეში ერთხელ ყველა სქესობრივად აქტიური პაციენტისთვის და ყოველ 3 თვეში მსმ-პირებს შორის ან მუდმივი რისკის მქონე პაციენტებში. მსმ-პირის მიერ PrEP-ის მიღებამ შესაძლოა აივ ინფექციის შემცირებულ რისკის კომპენსირება მოახდინოს პრეზერვატივის ნაკლებად გამოყენებით ან მათი ქცევის სხვა გზით შეცვლით [121-122]. თუმცა, მონაცემები ამ ქცევის შესახებ არათანმიმდევრულია. კვლევებმა აჩვენა, რომ მსმ-პირები, რომლებიც იღებენ PrEP-ს, აქვთ სგგი-ის მაღალი მაჩვენებელი და ხშირი სკრინინგი გამართლებულია [123-125].

NAAT-ით გონორეისა და ქლამიდიის რექტალური და ფარინგეალური ტესტირება აღიარებულია, როგორც სექსუალური ჯანმრთელობის მნიშვნელოვანი საკითხი მსმ-პირისთვის. რექტალური გონორეა და ქლამიდია ასოცირდება აივ ინფექციასთან [126,127], ხოლო მამაკაცები, რომლებსაც განმეორებითი რექტალური ინფექციები აქვთ, შეიძლება იყვნენ აივ-ის არსებითად მაღალი რისკის ქვეშ [128]. ფარინგეალური ინფექციები გონორეით ან ქლამიდიით შეიძლება იყოს ურეთრის ინფექციების ძირითადი წყარო [129-131]. კვლევებმა აჩვენა, რომ მსმ-პირებს შორის, რექტალური გონორეისა და ქლამიდიის პრევალენტობა მერყეობს 0.2%-დან 24%-მდე და 2.1%-დან 23%-მდე, შესაბამისად, ხოლო ფარინგეალური გონორეისა და ქლამიდიის პრევალენტობა მერყეობს 0.5%-დან 16.5%-მდე და 0%-მდე [132]. გონოკოკური და ქლამიდიური ინფექციების დაახლოებით 70% შეიძლება გამოგვრჩეს, თუ ტარდება მხოლოდ უროგენიტალური ტესტირება მსმ-პირებს შორის [133,134]. რადგან ფარინგეალური და რექტალური ინფექციების უმეტესობა უსიმპტომოა.

ცნობილია, რომ თვითშეგროვებული ნაცხი არის ფარინგეალური და რექტალური ნიმუშების შეგროვების მისაღები საშუალება [135,136], რომელსაც შეუძლია აამაღლოს პაციენტის კომფორტი და შეამციროს კლინიკური დატვირთვა.

დეტალური სქესობრივი ისტორია უნდა იქნას შესწავლილი ყველა მსმ-პირისთვის, რათა დადგინდეს ანატომიური მდებარეობები, რომლებიც ექვემდებარება სკრინინგს. კლინიკებმა, რომლებიც უზრუნველყოფენ მომსახურებას მაღალი რისკის მქონე მსმ-პირებისთვის, უნდა განიხილონ რუტინული ექსტრაგენიტალური სკრინინგი N. gonorrhoeae და C. trachomatis ინფექციებისთვის, რაც სავარაუდოდ იქნება ეფექტური [137].

სგგი სკრინინგის რეკომენდაციები

აღრე მსმ-პირებს შორის სკრინინგი არაოპტიმალური იყო. აშშ-ში მსმ-პირების ჯვარედინ ნიმუშში, დაახლოებით ერთმა მესამედმა განაცხადა, რომ არ ჰქონდა ჩატარებული სგგი ტესტი წინა 3 წლის განმავლობაში და მრავალი სქესობრივი პარტნიორის მქონე მსმ-პირს ჩაუტარდა ნაკლებად ხშირი სგგი-სკრინინგი [138]. აივ ინფექციის მქონ მსმ-პირები, რომლებიც მკურნალობენ, ასევე აღნიშნავდნენ სგგი-ტესტირების არაოპტიმალურ მაჩვენებლებს [139]. შეზღუდული მონაცემები არსებობს მსმ-პირებს შორის გონორეის, ქლამიდიისა და სიფილისის სკრინინგის ოპტიმალური სიხშირის შესახებ, მტკიცებულებების უმეტესობა გამომდინარეობს მათემატიკური მოდელირებიდან. ავსტრალიის მოდელმა აჩვენეს, რომ სიფილისის წელიწადში ორჯერადი სკრინინგის სიხშირის გაზრდა წელიწადში ოთხჯერადამდე გამოიწვევდა პიკური პრევალენტობის 84%-ით შემცირებას [140]. კანადის სხვადასხვა პოპულაციისთვის გამოყენებულ მოდელში, სიფილისის კვარტალურმა სკრინინგმა თავიდან აიცილა სიფილისის შემთხვევების ორჯერ მეტი რაოდენობა, 6-თვიან სკრინინგთან შედარებით [141].

გარდა ამისა, პოპულაციაში სიფილისის აღმოსაფხვრელად საჭირო მსმ-პირების წლიური სკრინინგის შეცვლამ კვარტალური სკრინინგით პრევალენტობა არსებითად შეამცირა 62%-დან 23%-მდე [142,143]. მსმ-პირების გადაცემის მოდელში, რომელიც იკვლევდა აივ PrEP-

ის გამოყენების გავლენას სგგი-ის გავრცელებაზე, ქლამიდიის და გონორეის კვარტალური სკრინინგი დაკავშირებული იყო სიხშირის 83%-ით შემცირებასთან [124]. ერთადერთი ხელმისაწვდომი ემპირიული მონაცემი, რომელიც იკვლევდა სკრინინგის სიხშირის გავლენას, მომდინარეობს მსმ-პირების დაკვირვების კოჰორტაზე, რომელიც იყენებს აივ PrEP-ს, რომელშიც კვარტალური სკრინინგმა გამოავლინა მეტი ბაქტერიული სგგი, ხოლო ნახევარწლიური სკრინინგის შედეგად გამოვლინდა სგგი ინფექციების 35%-ის დაგვიანებული მკურნალობა [125]. გარდა ამისა, მოხსენებული იქნა, რომ კვარტალური სკრინინგმა თავიდან აიცილა სგგი-ის გამოვლენა მედიანურად სამი სქესობრივი პარტნიორის ყოველ სგგი ინფექციაზე [125]. არსებული მტკიცებულებების საფუძველზე, გონორეის, ქლამიდიისა და სიფილისის კვარტალურ სკრინინგს გარკვეული სქესობრივად აქტიური მსმ-ებისთვის შეუძლია გააუმჯობესოს შემთხვევების აღმოჩენა, რამაც შეიძლება შეამციროს ინფექციის ხანგრძლივობა პოპულაციის დონეზე, შეამციროს მიმდინარე გადაცემა და, საბოლოოდ, გავრცელება ამ პოპულაციაში [144].

პრევენციული სკრინინგი საერთო სგგი-ებისთვის ნაჩვენებია ყველა მსმ-პირისთვის. შემდეგი სკრინინგის რეკომენდაციები უნდა ითვალისწინებდეს სახელმწიფო სააგენტოების და USPSTF კლინიკური პრევენციის გაიდლაინებს მსმ-პირისთვის და უნდა ჩატარდეს ყოველწლიურად მაინც.

აივ ინფექციისათვის აივ-სეროლოგიური ტესტირება ნაჩვენებია, თუ აივ-ის სტატუსი უცნობია ან თუ აივ უარყოფითია და პაციენტს ან მის სქესობრივ პარტნიორს ჰყავდა ერთზე მეტი სქესობრივი პარტნიორი აივ-ის ბოლო ტესტის შემდეგ.

სიფილისის სეროლოგიური ტესტირება ნაჩვენებია იმის დასადგენად, არიან თუ არა ნამკურნალევი სიფილისის მქონე პირები, ნაწილობრივ მკურნალობდნენ სიფილისს, ან წინა თერაპიამ აჩვენა ნელი ან არაადეკვატური სეროლოგიური პასუხი.

გონორეა და ქლამიდიისათვის მსმ-პირისთვის რეკომენდებულია შემდეგი ტესტები:

- ტესტი ურეთრული ინფექციისთვის; *N. gonorrhoeae*-ის და *C. trachomatis*-ის მქონე მამაკაცებში, რომლებსაც ჰქონდათ ინერტული სქესობრივი კავშირი წინა წლის განმავლობაში (სასურველია შარდის NAAT).
- ტესტი რექტალური ინფექციისთვის; *N. gonorrhoeae*-ის და *C. trachomatis*-ის მქონე მამაკაცებში, რომლებსაც ჰქონდათ რეცეპტიული ანალური სქესობრივი აქტი წინა წლის განმავლობაში (სასურველია რექტალური NAAT).
- ტესტი ფარინგეალური ინფექციისთვის; *N. gonorrhoeae*-ის მქონე მამაკაცებში, რომლებსაც ჰქონდათ რეცეპტიული ორალური აქტი წინა წლის განმავლობაში (სასურველია ფარინგეალური NAAT).
- *C. trachomatis* ფარინგეალური ინფექციის ტესტირება არ არის რეკომენდებული.

მხოლოდ ანამნეზზე დაფუძნებული სკრინინგის პრაქტიკა შეიძლება არაოპტიმალური იყოს, რადგან პროვაიდერები არაკომფორტულად გრძნობდნენ თავს დეტალური სექსუალური ისტორიის აღებისას [145], მამაკაცებს ასევე შეიძლება უხერხულად იგრძნონ თავი პირადი სექსუალური ინფორმაციის გაზიარებისას და რექტალური და ფარინგეალური ინფექციების იდენტიფიცირება შესაძლებელია სარისკო ქცევების მოხსენებული არარსებობის შემთხვევაშიც კი [132]. გარდა ამისა, ნერწყვის, კოცნისა და ორალურ-რექტალური კონტაქტის როლი *N. gonorrhoeae*-სა და *C. trachomatis*-ის გადაცემაში კარგად არ არის შესწავლილი [146,147].

რექტალური და ფარინგეალური ტესტირება (პროვაიდერის მიერ შეგროვებული ან თვითშეგროვებული ნიმუშები) უნდა ჩატარდეს ყველა მსმ-პირისთვის, ვინც აღნიშნავს ექსპოზიციას ამ ადგილებში. ტესტირება შეიძლება შეეთავაზოს მსმ-პირებს, რომლებიც არ აცხადებენ ექსპოზიციის შესახებ ამ ადგილებში დეტალური ახსნის შემდეგ, რისკის ქცევის ცნობილი არასაკმარისი მოხსენების გამო. აივ-ინფექციით დაავადებული ყველა მსმ უნდა შემოწმდეს გონორეასა და ქლამიდიაზე ზემოქმედების შესაბამის ანატომურ ადგილებში, ასევე სიფილისზე.

უფრო ხშირი სგგი სკრინინგი (ანუ სიფილისის, გონორეისა და ქლამიდიისთვის) 3-დან 6 თვემდე ინტერვალით ნაჩვენებია მსმ-პირისთვის; მათ შორის, ვინც იღებენ PrEP-ს და აივ ინფექციით დაავადებულებს, თუ რისკის ქცევები შენარჩუნებულია ან თუ მათ ან მათ სქესობრივ პარტნიორებს ჰყავთ მრავალი პარტნიორი. გარდა ამისა, პროვაიდერებს შეუძლიათ განიხილონ აივ ინფექციის უფრო ხშირი სკრინინგის შეთავაზება (მაგ., ყოველ 3-6 თვეში) მსმ-პირებისთვის აივ ინფექციის გაზრდილი რისკის გამო.

ყველა მსმ-პირი უნდა შემოწმდეს HBsAg, HBV ბირთვის ანტისხეულებით და HBV ზედაპირული ანტისხეულების ტესტირებით HBV ინფექციის გამოსავლენად [148]. როგორც HAV, ასევე HBV წინააღმდეგ ვაქცინაცია რეკომენდებულია ყველა მსმ-პირისთვის, ვისთვისაც წინა ინფექცია ან ვაქცინაცია არ არის დოკუმენტირებული. სეროლოგიური ტესტირება შეიძლება ჩაითვალოს ვაქცინაციამდე, თუ პაციენტის ვაქცინაციის ისტორია უცნობია; თუმცა, ვაქცინაცია არ უნდა გადაიდოს. იმ პირთა ვაქცინაცია, რომლებსაც ჰქონდათ წინა ინფექცია ან ვაქცინაცია, არ ზრდის ვაქცინასთან დაკავშირებული გვერდითი მოვლენების რისკს.

CDC რეკომენდაციას უწევს HCV სკრინინგს ერთხელ მაინც ≥ 18 წელზე უფროსი ასაკის ყველა ზრდასრული ადამიანისთვის, გარდა იმ გარემოებისა, სადაც HCV ინფექციის პრევალენტობა (HCV რნმ-დადებითი) არის $< 0.1\%$ [149]. აშშ-ის ღვიძლის დაავადებების/ინფექციური დაავადებების შესწავლის ასოციაციის სახელმძღვანელო მითითებები რეკომენდაციას უწევს აივ ინფექციით დაავადებულ ყველა მსმ-პირს სკრინინგი HCV-ზე პირველად ჩაუტარდეს აივ შეფასების დროს და ყოველწლიურად მაინც (<https://www.hcvguidelines.org>). უფრო ხშირი სკრინინგი დამოკიდებულია მუდმივ სარისკო ქცევებზე, მაღალი რისკის სექსუალურ ქცევაზე და თანმხლებ წყლულოვან სგგი-ზე ან სგგი-სთან დაკავშირებულ პროქტიტზე. HCV-ის სქესობრივი გზით გადაცემა შეიძლება მოხდეს და ყველაზე ხშირია აივ ინფექციით დაავადებული მსმ-პირებს შორის [150,151]. HCV-ის სკრინინგი ამ სიტუაციაში მეტად ეფექტურია [152]. სკრინინგი უნდა ჩატარდეს HCV ანტისხეულების ანალიზის გამოყენებით, რასაც მოჰყვება HCV რნმ-

ტესტირება ანტისხეულების დადებითი ტესტის მქონე ადამიანებისთვის. HCV მწვავე ინფექციაზე ექვის შემთხვევაში (მაგ. ჰეპატიტის კლინიკური მტკიცებულება და რისკის ქცევები) უნდა გავითვალისწინოთ HCV რნმ-ის ტესტირება, მიუხედავად ანტისხეულების უარყოფითი ტესტისა.

ადამიანის პაპილომავირების HPV ინფექცია და მასთან დაკავშირებული პირობები (მაგ., ანოგენიტალური მეჭეჭები და ანალური ბრტყელქვეშა ინტრაეპითელური დაზიანება) ძალიან გავრცელებულია მსმ-პირებში. HPV ვაქცინაცია რეკომენდებულია ყველა მამაკაცისთვის, მათ შორის მსმ-პირებში და ტრანსგენდერი პირებისთვის ან იმუნოდეფიციტის მქონე მამაკაცებისთვის, მათ შორის აივ ინფექციით, 26 წლამდე [153]. დამატებითი ინფორმაცია ხელმისაწვდომია <https://www.cdc.gov/hpv/downloads/9vhpv-guidance.pdf>.

დიგიტალური ანორექტალური გამოკვლევა (DARE) უნდა ჩატარდეს ანალური კიბოს ადრეული გამოვლენისთვის აივ-ით და მსმ-ის მქონე პირებში აივ-ის გარეშე, მაგრამ იმათთვის, რომლებსაც აქვთ რეცეფციული ანალური სქესობრივი აქტის ისტორია. მონაცემები არასაკმარისია ანალური კიბოს რუტინული სკრინინგისთვის ანალური ციტოლოგიით რეკომენდაციისთვის ანალური კიბოს რისკის მქონე პოპულაციებში (იხ. ანალური კიბო). ჯანდაცვის ცენტრებმა, რომლებიც იწყებენ ციტოლოგიაზე დაფუძნებული სკრინინგის პროგრამას, ეს უნდა გააკეთონ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ხელმისაწვდომია მაღალი რეზოლუციის ანოსკოპიისა (HRA) და ბიოფსიის ჩატარება.

მარტივი ჰერპეს ვირუსი-2 (HSV-2) ინფექციის შეფასება ასევე შეიძლება ჩაითვალოს ტიპ-სპეციფიკური სეროლოგიური ტესტებით, თუ ინფექციის სტატუსი უცნობია გენიტალური ტრაქტის ადრე არადიაგნოსტირებული ინფექციის მქონე პირებში.

ექსპოზიციის შემდგომი პროფილაქტიკის (Postexposure Prophylaxis – PEP) და PrEP-ის სგგი პრევენციაზე ზეგავლენის შესწავლისთვის ჩატარებულმა კვლევებმა აჩვენა, რომ სარგებელი შეიძლება იყოს PEP და PrEP სგგი პრევენციისთვის. ერთმა კვლევამ აჩვენა, რომ

აზითრომიცინის 1-გ დოზის ყოველთვიური პერორალური მიღება ამცირებს *N. gonorrhoeae*-ის და *C. trachomatis*-ის ინფექციას, მაგრამ არ ამცირებს აივ-ის გადაცემის სიხშირეს [154]. მსმ-პირებს შორის, დოქსიციკლინმა, რომელიც მიღებულ იქნა PEP-ის სახით ერთჯერადი პერორალური დოზით სქესობრივი კავშირიდან ≤ 24 საათის შემდეგ, ამცირებს ინფექციას *Treponema pallidum*-ით და *C. trachomatis*-ით; თუმცა, არსებითი ეფექტი არ დაფიქსირებულა *N. gonorrhoeae*-ით ინფექციაზე [155]. დოქსიციკლინმა, რომელიც მიღებულ იქნა სგგი PrEP-ის სახით 100 მგ პერორალურად დღეში ერთხელ, ასევე აჩვენა გონორეის, ქლამიდიის და სიფილისის არსებითი შემცირება მსმ-ებს შორის [156]. თუმცა, ამ კვლევებს ჰქონდა შეზღუდვები ნიმუშის მცირე ზომის, თერაპიის მოკლე ხანგრძლივობისა და ანტიბიოტიკების რეზისტენტობის შესახებ არსებული მონაცემების გამო, კონკრეტულად *N. gonorrhoeae*-სთან დაკავშირებით [157]. საჭიროა შემდგომი კვლევა PrEP ან PEP ანტიმიკრობული საშუალებების გამოყენების ეფექტურობის დასადგენად.

სგგი-ის პრევენციის სტრატეგიებში განსაკუთრებული ადგილი უკავია კონსულტაციისა და განათლების მიდგომებს, სხვადასხვა კონსულტაციებსა და მსმ-პირების სხვადასხვა ჯგუფების ეფექტურად ჩართვას ამ პროცესში. რისკის ქვეშ მყოფი მსმ-პირების ჩართვა სოციალური მედიის, კონკრეტულად ონლაინ კავშირის საიტების საშუალებით, არის მნიშვნელოვანი ღონისძიება. ინტერნეტ საიტებისა და მობილური ტელეფონის აპლიკაციები ამ ჯგუფში გამოიყენება ძალზე ხშირად. ინტერნეტის გამოყენებამ შესაძლოა ხელი შეუწყოს სექსუალურ შეხვედრებს და სგგი-ს გადაცემას მსმ-ებს შორის, და ბევრი მამაკაცი აღნიშნავს, რომ იყენებს საიტებს პარტნიორებთან შესახვედრად [158,159]. პარტნიორებთან ონლაინ შეხვედრის სიმარტივემ და ხელმისაწვდომობამ შესაძლოა შეამციროს სტიგმა და ბარიერები სხვა პარამეტრების მეშვეობით. უფრო მეტიც, ეს საიტები სთავაზობენ სგგი-ის პრევენციის ეფექტური შეტყობინებების გაგზავნის შესაძლებლობას [160], თუმცა ღირებულება შეიძლება ყველასთვის არ იყოს მისაღები [161]. მსმ-პირების სხვადასხვა ჯგუფმა შეიძლება გამოიყენოს სხვადასხვა საიტი და ძალისხმევა უნდა იყოს მიმართული იქითკენ, რომ მსმ-პირების განსწავლა მოხდეს ამ ინსტრუმენტების მეშვეობით, რაც ხელს შეუწყობს სგგი-ს პრევენციას [162].

ნაწლავური პათოგენების სქესობრივი გზით გადაცემის მნიშვნელობა მსმ-პირებს შორის აღიარებულია 1970-იანი წლებიდან, მას შემდეგ, რაც სან-ფრანცისკოში მოხსენებულ იქნა მსმ-თან ასოცირებული შიგელოზის პირველი ანგარიში [163,164]. ბოლო დროს დაფიქსირდა შიგელოზის სიხშირის გლობალური მატება ზრდასრულ მსმ-პირებს შორის [165,166]. *Shigella sonnei*-სა და *Shigella flexneri*-ის სპორადული აფეთქებები დაფიქსირდა მსმ-ებს შორის [167,168]. გადაცემა ხდება ორალურ-ანალური კონტაქტით ან სქესობრივი კონტაქტით, ხოლო გადაცემის ეფექტურობა გაუმჯობესებულია როგორც ბიოლოგიური, ისე მასპინძელი და ქცევითი ფაქტორებით. აივ ვირუსის დათრგუნვის გარეშე შეიძლება იყოს დამოუკიდებელი რისკ-ფაქტორი, რომელსაც შეუძლია ხელი შეუწყოს გადაცემას ნაწლავის პათოგენის გამოყოფის გაზრდით, მასპინძლის მგრძობელობის გაზრდით, ან ორივე ერთად [167,169]. 2004-2015 წლებში ინგლისში ჩატარებულმა კვლევის მონაცემებმა აჩვენა, რომ მსმ-პირებს შორის არამოგზაურობასთან დაკავშირებული შიგელას დიაგნოზის 21% იყო აივ ინფექციით დაავადებულ პირებს შორის [167].

სხვა ნაწლავურმა ორგანიზმებმა შესაძლოა ასევე გამოიწვიონ დაავადება მსმ-პირებში სექსუალური აქტივობებით, რაც გამოიხატება ორალურ-ანალური კონტაქტით, მათ შორისაა ისეთი ბაქტერიები, როგორცაა *Escherichia coli* [170] და *Campylobacter jejuni* ან *Campylobacter coli* [171,172]; ისეთი ვირუსები, როგორცაა HAV [173]; და პარაზიტები, როგორცაა *Giardia lamblia* ან *Entamoeba histolytica* [174,175]. ნაწლავური ინფექციების სქესობრივი გზით გადაცემასთან დაკავშირებული ქცევითი მახასიათებლები ძირითადად მსგავსია სხვა სგგი-ებთან (მაგ. გონორეა, სიფილისი და ლიმფოგრანულომა ვენერომა). ეს მოიცავს მრავალ სქესობრივ პარტნიორს და ონლაინ კავშირის საიტებს, რომლებიც ზრდის სექსუალური ქცევის შესაძლებლობებს, რამაც შეიძლება შექმნას მდგრადი სექსუალური ქსელები, რაც ხელს უწყობს სგგი-ს გადაცემას მსმ-პირებს შორის [176]. მსმ-პირებს შორის სქესობრივი გზით გადამდები ნაწლავის ინფექციებთან დაკავშირებული სპეციფიკური ქცევები მოიცავს სექს-წვეულებებზე დასწრებას და ნარკოტიკების რეკრეაციულ გამოყენებას, მათ შორის ქიმიურ სექსს (ანუ კრისტალური მეტამფეტამინის, გამა-ბუტიროლაქტონის ან მეფედრონის გამოყენება სექსის წინ ან მის დროს), რამაც შეიძლება

ხელი შეუწყოს პრეზერვატივის გარეშე სექსს, ჯგუფურ სექსს, სექს-სათამაშოების გამოყენებას და სკატ-თამაშებს [166,172].

სქესობრივი გზით გადამდები ნაწლავური ინფექციების მზარდი რაოდენობა შეიძლება ნაწილობრივ გამოწვეული იყოს ანტიმიკრობული რეზისტენტობით. ეს კარგად არის მოხსენებული შიგელას სახეობებთან დაკავშირებით, რომლებისთვისაც ახლახან დაფიქსირდა *S. flexneri* 3a ხაზის სწრაფი ინტერკონტინენტური გავრცელება აზითრომიცინის მიმართ მაღალი დონის რეზისტენტობით მსმ-პირებს შორის სქესობრივი გზით გადაცემის გზით [178] და მულტირეზისტენტული შიგელას შემთხვევების კლასტერები მსმ-ებს შორის [179]. ასევე დადასტურებულია მულტირეზისტენტული *Campylobacter*-ის სახეობები [180,181]. დიარეის მქონე მსმ-პაციენტებისთვის, კლინიცისტებმა უნდა მოითხოვონ ლაბორატორიული გამოკვლევები, მათ შორის განავლის კულტურალური გამოკვლევა; გაუწიონ კონსულტაცია სქესობრივი აქტივობის დროს (ორალურ-ანალური, ორალურ-გენიტალური, ანალ-გენიტალური და დიგიტალურ-ანალური კონტაქტი) ნაწლავური პათოგენებით ინფექციის რისკის შესახებ; და მკურნალობის არჩევა, საჭიროების შემთხვევაში, ანტიმიკრობული წამლის მგრძობელობის მიხედვით.

თავი II. კვლევის მასალა და მეთოდები

კვლევის მიზნის მისაღწევად დასახული ამოცანების გადასაწყვეტად გამოვიყენეთ შემდეგი მეთოდოლოგია.

კვლევა ჩატარდა საქართველოს 5 რეგიონის ძირითად ურბანულ დასახლებებში (თბილისი, ბათუმი, ქუთაისი, ზუგდიდი, თელავი). ლესბოსელი, გეი, ბისექსუალი და ტრანსგენდერი (ლგბტ) თემთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან მჭიდრო კოოპერაციისა და ელექტრონული და ბეჭდური საშუალებებით გავრცელებული ინფორმაციის შედეგად 2015-2019 წლებში შევეცადეთ მაქსიმალურად მოგვეზიდა მსმ პირები სგდ-ზე სკრინიგული კვლევების ჩასატარებლად. კვლევაში მონაწილეობის ერთ-ერთი ძირითადი მოტივატორი იყო დაავადების გამოვლენის შემთხვევაში უფასო მკურნალობა, რომელიც მხარდაჭერილი იყო სახელმწიფო პროგრამით.

კვლევაში ჩართვის კრიტერიუმები იყო შემდეგი:

- მსმ პირები;
- ინფორმირებული თანხმობა კვლევაში მონაწილეობაზე;

კვლევიდან გამორიცხვის კრიტერიუმები კი იყო შემდეგი:

- ბისექსუალები;
- უარი კვლევაში მონაწილეობაზე.

კვლევის ფარგლებში წლების მიხედვით გამოკვლეულთა განაწილება ასაკობრივი ჯგუფების, საცხოვრებელი ადგილის, განათლების დონისა და ეკონომიკური შემოსავლის შესაბამისად მოყვანილია ცხრილში 10-14.

ცხრილი 10. გამოკვლევულ მსმ-პირთა განაწილება წლებისა და ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით.

წელი	გამოკვლევული მსმ-პირები	
	n=	%
2015	1213	15.2%
2016	1634	20.4%
2017	1695	21.2%
2018	1764	22.0%
2019	1698	21.2%
სულ	8004	100.0%

ცხრილი 11. გამოკვლევულ მსმ-პირთა განაწილება წლებისა და ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით.

ასაკი	2015		2016		2017		2018		2019		სულ	
	n=	%	n=	%	n=	%	n=	%	n=	%	n=	%
18-24 წწ.	280	23.1%	320	19.6%	318	18.8%	322	18.3%	308	18.1%	1548	19.3%
25-29 წწ.	234	19.3%	341	20.9%	349	20.6%	362	20.5%	344	20.3%	1630	20.4%
30-34 წწ.	191	15.7%	282	17.3%	312	18.4%	348	19.7%	325	19.1%	1458	18.2%
35-39 წწ.	185	15.3%	267	16.3%	294	17.3%	294	16.7%	294	17.3%	1334	16.7%
40-44 წწ.	184	15.2%	239	14.6%	241	14.2%	244	13.8%	245	14.4%	1153	14.4%
45-54 წწ.	130	10.7%	164	10.0%	161	9.5%	171	9.7%	164	9.7%	790	9.9%
55-65 წწ.	9	0.7%	21	1.3%	20	1.2%	23	1.3%	18	1.1%	91	1.1%
სულ	1213	100.0%	1634	100.0%	1695	100.0%	1764	100.0%	1698	100.0%	8004	100.0%

ცხრილი 12. გამოკვლეულ მსმ-პირთა განაწილება წლებისა და საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

#	ასაკობრივი ჯგუფი	თბილისი	ბათუმი	ქუთაისი	ზუგდიდი	თელავი	რეგიონები ჯამურად
		n (%*)	n (%*)	n (%*)	n (%*)	n (%*)	n (%*)
	გამოკითხულთა რაოდენობა	5632 (70.4%)	940 (11.7%)	1169 (14.6%)	247 (3.1%)	16 (0.2%)	2372 (29.6%)

ცხრილი 13. გამოკვლეულ მსმ-პირთა განაწილება წლებისა და განათლების დონის მიხედვით.

#	განათლების დონე	2015 წ.	2016 წ.	2017 წ.	2018 წ.	2019 წ.
		n (%*)	n (%*)	n (%*)	n (%*)	n (%*)
1	არასრული საშუალო	128 (10.6%)	212 (13.0%)	246 (14.5%)	279 (15.8%)	259 (15.3%)
2	საშუალო	768 (63.3%)	984 (60.2%)	995 (58.7%)	1009 (57.2%)	988 (58.2%)
3	არასრული უმაღლესი	199 (16.4%)	273 (16.7%)	286 (16.9%)	297 (16.8%)	279 (16.4%)
4	უმაღლესი	118 (9.7%)	165 (10.1%)	168 (9.9%)	179 (10.2%)	172 (10.1%)

ცხრილი 14. გამოკვლეულ მსმ-პირთა განაწილება წლებისა და ეკონომიკური შემოსავლის მიხედვით.

#	შემოსავალი	2015 წ.	2016 წ.	2017 წ.	2018 წ.	2019 წ.
		n (%*)	n (%*)	n (%*)	n (%*)	n (%*)
1	დაბალი	911 (75.1%)	1337 (81.8%)	1420 (83.8%)	1495 (84.8%)	1453 (85.6%)
2	საშუალო	274 (22.6%)	285 (17.4%)	240 (14.2%)	255 (14.5%)	240 (14.1%)

სიფილისის, გონორეის, ქლამიდიოზისა და ტრიქომონიაზის დასადასტურებლად საკვლევი პირებს ჩაუტარდათ სკრინინგული ტესტები:

- სისხლის,
- რექტალური და
- ურეთრული ნაცხის ნიმუშებში.

სიფილისის კვლევის მეთოდს წარმოადგენდა - RPR (*rapid plasma regain* - პლაზმის სწრაფი აღდგენა) და TPHA (*Treponema pallidum haemagglutination test* - *Treponema pallidum* ჰემაგლუტინაციის ტესტი).

გონოკოკური ინფექციის კვლევის მეთოდად გამოყენებულ იქნა რექტალური და ურეთრული ექსუდატის გრამური შეღებვა, აგრეთვე პოლიმერაზა-ჯაჭვური რეაქცია (*polymerase chain reaction* - PCR).

ქლამიდიური ინფექციის კვლევის მეთოდად კი გამოყენებულ იქნა იმუნოფლოუორესცენციული ანალიზი (*immunofluorescence analysis* - IFA) და პოლიმერაზა-ჯაჭვური რეაქცია (PCR).

სპეციალურად შემუშავებული კითხვარის მეშვეობით შესწავლილ იქნა ასევე კვლევაში მონაწილე პირთა:

- ასაკი,
- განათლების დონე (არასრული საშუალო, საშუალო, არასრული უმაღლესი, უმაღლესი),
- ეკონომიკური შემოსავალი (უმწეო, დაბალი, საშუალო, მაღალი),
- ინფორმირებულობა სგგდ-ის შესახებ (კი/არა),
- ინფორმაციის მიღების წყაროები (სამედიცინო მუშაკი, ინტერნეტი/მედია, სქესობრივი პარტნიორი, არასამთავრობო ორგანიზაცია/ლგბტ თემი, სხვა),
- უსაფრთხო სექსის სიხშირე (უკანასკნელი 6 თვის განმავლობაში პრეზერვატივის გამოყენება),
- სქესობრივი პარტნიორების რაოდენობა (>3) და ა.შ.

სტატისტიკა

სტატისტიკური დამუშავებისთვის გამოყენებულ იქნა კომპიუტერული პროგრამა SPSS software, version 21.0 (IBM).

თითოეული სგდ-ისთვის მსმ-ჯგუფში დადგინდა პრევალენტობა და ინციდენტობა. ინციდენტობის მაჩვენებლისათვის გამოთვლილ იქნა ასაკით სტანდარტიზებული მაჩვენებელი (Age-Standardized Rate - ASR) და მისი შესაბამისი 95%-იანი სანდოობის ინტერვალები (95% Confidence Intervals – 95%CI).

- ასაკით სტანდარტიზებული მაჩვენებელი (Age-Standardized Rate - ASR) გამოთვლილი იქნა ფორმულით:

$$ASR = \frac{\sum_i a_i w_i}{\sum_i w_i}$$

სადაც a_i იყო ასაკისათვის სპეციფიური მაჩვენებელი, w_i - i ასაკობრივი ჯგუფისათვის სტანდარტული (მსოფლიო სტანდარტი) პოპულაციის რაოდენობა.

- ასაკით სტანდარტიზებული მაჩვენებლის სარწმუნოობის 95%-იანი ინტერვალი (95% CI ASR) 95% CI ASR გამოთვლა მოხდა შემდეგი ფორმულით:

$$95\% \text{ CI ASR} = ASR \pm 1.96 * SE (ASR)$$

სადაც SE – სტანდარტული ცდომილებაა (Standard Error) - გამოთვლილი იქნა ფორმულით:

$$SE (ASR) = \frac{\sum_i (a_i * w_i^2 * 100,000 / n_i)}{\sum_i w_i^2}$$

რიცხოობრივი შედეგები გამოსახულია საშუალო მაჩვენებელს \pm სტანდარტული გადახრით (Standard Deviation - SD). სტატისტიკური განსხვავება განისაზღვრა two-tailed Student's t -ტესტით.

თვისობრივი პარამეტრები წარმოდგენილია პროცენტული მაჩვენებლებით. ასეთ პარამეტრებს შორის სხვაობა ჯგუფებში შეფასდა χ^2 -განაწილებისა და ფიშერის ზუსტი ტესტის საშუალებით.

სგდ-ის რისკ-ფაქტორები შეფასდა ტეტრაქორული ცხრილების შექმნით, შანსების ფარდობის (Odds Ratio - OR) და მათი შესაბამისი 95%CI-ის გამოთვლით.

ნულოვანი ჰიპოთეზის უარყოფის კრიტერიუმად გამოყენებულ იქნა $p < 0.05$, ასეთ შემთხვევაში ჯგუფებს შორის განსხვავება ჩაითვალა სტატისტიკურად სარწმუნოდ.


თავი III. მიღებული შედეგები

3.1. სგგდ-ის პრევალენტობა და ინციდენტობა მსმ-ჯგუფში

სიფილისი

სიფილისის გავრცელების მაჩვენებლები საქართველოში მსმ-ჯგუფში 2015-2019 წწ. მოყვანილია დიაგრამაზე 1 და ცხრილში 11.

დიაგრამა 1. სიფილისის გავრცელების მაჩვენებლები საქართველოში მსმ-ჯგუფში 2015-2019 წწ.




ცხრილი 11. სიფილისის გავრცელების მაჩვენებლები საქართველოში მსმ-ჯგუფში 2015-2019 წწ.

სგგდ	2015 წ.	2016 წ.	2017 წ.	2018 წ.	2019 წ.
	n (%)	n (%)	n (%)	n (%)	n (%)
სიფილისი	312 (25.7%)	378 (23.1%)	457 (27.0%)	488 (27.7%)	430 (25.3%)

დიაგრამაზე 2 და ცხრილში 12 კი მოყვანილია კვლევაში მონაწილეთა შორის სიფილისის გამოვლენის მაჩვენებლები ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით. დიაგრამაზე 3 კი ასაკობრივი ჯგუფებში წლების მიხედვით გასაშუალოებული მაჩვენებლები.


დიაგრამა 2. მსმ-პირთა შორის სიფილისის გამოვლენის მაჩვენებლები წლებისა და ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით.



ცხრილი 12. მსმ-პირთა შორის სიფილისის გამოვლენის მაჩვენებლები წლებისა და ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით.

#	ასაკობრივი ჯგუფი	2015 წ.	2016 წ.	2017 წ.	2018 წ.	2019 წ.	სულ
		n (%*)	n (%*)	n (%*)	n (%*)	n (%*)	
1	18-24 წწ.	79 (28.2%)	83 (25.9%)	92 (28.9%)	99 (30.8%)	90 (29.2%)	443 (28.6%)
2	25-29 წწ.	81 (34.6%)	88 (25.8%)	101 (28.9%)	108 (29.8%)	92 (26.7%)	470 (28.8%)
3	30-34 წწ.	53 (27.8%)	73 (25.9%)	99 (31.7%)	105 (30.2%)	93 (28.6%)	423 (29.0%)
4	35-39 წწ.	33 (17.8%)	49 (18.4%)	71 (24.2%)	77 (26.2%)	71 (24.2%)	301 (22.6%)
5	40-44 წწ.	25 (13.6%)	38 (15.9%)	45 (18.7%)	47 (19.3%)	40 (16.3%)	195 (16.9%)
6	45-54 წწ.	38 (29.2%)	42 (25.6%)	44 (27.3%)	46 (26.9%)	40 (24.4%)	210 (25.3%)
7	55-65 წწ.	3 (33.3%)	5 (23.8%)	5 (25.0%)	6 (26.1%)	4 (22.2%)	23 (25.3%)

დიაგრამა 3. მსმ-პირთა შორის ასაკობრივი ჯგუფებში წლების მიხედვით გასაშუალოებული სიფილისის გამოვლენის მაჩვენებლები.




მიღებული შედეგების საფუძველზე სიფილისის ინციდენტობისთვის გამოთვლილმა ASR-მაჩვენებელმა ყოველ 100 000 მოსახლეზე შეადგინა

$$ASR = 20.9 (95\%CI - 20.0-21.8).$$

გონოკოკური ინფექციები

გონოკოკური ინფექციების გავრცელების მაჩვენებლები საქართველოში მსმ-ჯგუფში 2015-2019 წწ. მოყვანილია დიაგრამაზე 4 და ცხრილში 13.

დიაგრამა 4. გონოკოკური ინფექციების გავრცელების მაჩვენებლები საქართველოში მსმ-ჯგუფში 2015-2019 წწ.




ცხრილი 13. გონოკოკური ინფექციების გავრცელების მაჩვენებლები საქართველოში მსმ-ჯგუფში 2015-2019 წწ.

სგდ	2015 წ.	2016 წ.	2017 წ.	2018 წ.	2019 წ.
	n (%)	n (%)	n (%)	n (%)	n (%)
გონოკოკური	209 (17.2%)	303 (18.5%)	323 (19.1%)	351 (19.9%)	313 (18.4%)
ურეთრული	42 (3.5%)	61 (3.7%)	65 (3.8%)	71 (4.0%)	63 (3.7%)
რექტალური	19 (1.6%)	28 (1.7%)	30 (1.8%)	33 (1.9%)	29 (1.7%)
ორივე	148 (12.2%)	214 (13.1%)	228 (13.5%)	247 (14.0%)	221 (13.0%)

დიაგრამაზე 5 და ცხრილში 14 კი მოყვანილია კვლევაში მონაწილეთა შორის გონოკოკური ინფექციების გამოვლენის მაჩვენებლები ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით. დიაგრამაზე 6 კი ასაკობრივ ჯგუფებში წლების მიხედვით გასაშუალოებული მაჩვენებლები.


დიაგრამა 5. მსმ-პირთა შორის გონოკოკური ინფექციების გამოვლენის მაჩვენებლები წლებისა და ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით.



ცხრილი 14. მსმ-პირთა შორის გონოკოკური ინფექციების გამოვლენის მაჩვენებლები წლებისა და ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით.

#	ასაკობრივი ჯგუფი	2015 წ.	2016 წ.	2017 წ.	2018 წ.	2019 წ.	სულ
		n (%*)	n (%*)	n (%*)	n (%*)	n (%*)	
1	18-24 წწ.	59 (21.1%)	77 (24.1%)	77 (24.2%)	88 (27.3%)	76 (24.7%)	377 (24.4%)
2	25-29 წწ.	54 (23.1%)	75 (22.0%)	80 (22.9%)	87 (24.0%)	78 (22.7%)	374 (22.9%)
3	30-34 წწ.	24 (12.6%)	39 (13.8%)	45 (14.4%)	55 (15.8%)	51 (15.7%)	214 (14.7%)
4	35-39 წწ.	26 (14.1%)	43 (16.1%)	52 (17.7%)	52 (17.7%)	48 (16.3%)	221 (16.6%)
5	40-44 წწ.	15 (8.2%)	32 (13.4%)	35 (14.5%)	35 (14.3%)	29 (11.8%)	146 (12.7%)
6	45-54 წწ.	28 (21.5%)	31 (18.9%)	28 (17.4%)	28 (16.4%)	26 (15.9%)	141 (17.8%)
7	55-65 წწ.	3 (33.3%)	6 (28.6%)	6 (30.0%)	6 (26.1%)	5 (27.8%)	26 (28.6%)

დიაგრამა 6. მსმ-პირთა შორის ასაკობრივი ჯგუფებში წლების მიხედვით გასაშუალოებული გონოკოკური ინფექციების გამოვლენის მაჩვენებლები.




მიღებული შედეგების საფუძველზე გონოკოკური ინფექციების ინციდენტობისთვის გამოთვლილმა ASR-მაჩვენებელმა ყოველ 100 000 მოსახლეზე შეადგინა

$$ASR = 16.1 (95\%CI - 15.3-16.9).$$

ქლამიდიური ინფექციები

ქლამიდიური ინფექციების გავრცელების მაჩვენებლები საქართველოში მსმ-ჯგუფში 2015-2019 წწ. მოყვანილია დიაგრამაზე 7 და ცხრილში 15.

დიაგრამა 7. ქლამიდიური ინფექციების გავრცელების მაჩვენებლები საქართველოში მსმ-ჯგუფში 2015-2019 წწ.




ცხრილი 15. ქლამიდიური ინფექციების გავრცელების მაჩვენებლები საქართველოში მსმ-ჯგუფში 2015-2019 წწ.

სგდ	2015 წ.	2016 წ.	2017 წ.	2018 წ.	2019 წ.
	n (%)	n (%)	n (%)	n (%)	n (%)
ქლამიდიური	302 (24.9%)	387 (23.7%)	402 (23.7%)	378 (21.4%)	275 (16.2%)

დიაგრამაზე 8 და ცხრილში 16 კი მოყვანილია კვლევაში მონაწილეთა შორის ქლამიდიური ინფექციების გამოვლენის მაჩვენებლები ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით. დიაგრამაზე 9 კი ასაკობრივ ჯგუფებში წლების მიხედვით გასაშუალოებული მაჩვენებლები.


დიაგრამა 8. მსმ-პირთა შორის ქლამიდიური ინფექციების გამოვლენის მაჩვენებლები წლებისა და ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით.



ცხრილი 16. მსმ-პირთა შორის ქლამიდიური ინფექციების გამოვლენის მაჩვენებლები წლებისა და ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით.

#	ასაკობრივი ჯგუფი	2015 წ.	2016 წ.	2017 წ.	2018 წ.	2019 წ.	სულ
		n (%*)	n (%*)	n (%*)	n (%*)	n (%*)	n (%*)
1	18-24 წწ.	89 (31.8%)	101 (31.6%)	94 (29.6%)	87 (27.0%)	65 (21.1%)	436 (28.2%)
2	25-29 წწ.	72 (30.8%)	95 (27.9%)	97 (27.8%)	89 (24.6%)	64 (18.6%)	417 (25.6%)
3	30-34 წწ.	41 (21.5%)	61 (21.6%)	69 (22.1%)	65 (18.7%)	43 (13.2%)	279 (19.1%)
4	35-39 წწ.	40 (21.6%)	55 (20.6%)	66 (22.5%)	65 (22.1%)	45 (15.3%)	271 (20.3%)
5	40-44 წწ.	25 (13.6%)	36 (15.1%)	40 (16.6%)	39 (16.0%)	31 (12.7%)	171 (14.8%)
6	45-54 წწ.	31 (23.9%)	33 (20.1%)	30 (18.6%)	28 (16.4%)	22 (13.4%)	143 (18.1%)
7	55-65 წწ.	4 (44.4%)	6 (28.6%)	6 (30.0%)	5 (21.7%)	5 (27.8%)	26 (28.6%)

დიაგრამა 9. მსმ-პირთა შორის ასაკობრივი ჯგუფებში წლების მიხედვით გასაშუალოებული ქლამიდიური ინფექციების გამოვლენის მაჩვენებლები.




მიღებული შედეგების საფუძველზე ქლამიდიური ინფექციების ინციდენტობისთვის გამოთვლილმა ASR-მაჩვენებელმა ყოველ 100 000 მოსახლეზე შეადგინა

$$ASR = 17.8 (95\%CI - 16.9-18.7).$$

ტრიქომონიაზი

ტრიქომონიაზის გავრცელების მაჩვენებლები საქართველოში მსმ-ჯგუფში 2015-2019 წწ. მოყვანილია დიაგრამაზე 7 და ცხრილში 15.

დიაგრამა 7. ტრიქომონიაზის გავრცელების მაჩვენებლები საქართველოში მსმ-ჯგუფში 2015-2019 წწ.




ცხრილი 15. ტრიქომონიაზის გავრცელების მაჩვენებლები საქართველოში მსმ-ჯგუფში 2015-2019 წწ.

სგდ	2015 წ.	2016 წ.	2017 წ.	2018 წ.	2019 წ.
	n (%)	n (%)	n (%)	n (%)	n (%)
ტრიქომონიაზი	122(10.1%)	162 (9.9%)	195 (11.5%)	186 (10.5%)	134 (7.9%)

დიაგრამაზე 8 და ცხრილში 16 კი მოყვანილია კვლევაში მონაწილეთა შორის ტრიქომონიაზის გამოვლენის მაჩვენებლები ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით. დიაგრამაზე 9 კი ასაკობრივ ჯგუფებში წლების მიხედვით გასაშუალოებული მაჩვენებლები.


დიაგრამა 8. მსმ-პირთა შორის ტრიქომონიაზის გამოვლენის მაჩვენებლები წლებისა და ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით.



ცხრილი 16. მსმ-პირთა შორის ტრიქომონიაზის გამოვლენის მაჩვენებლები წლებისა და ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით.

#	ასაკობრივი ჯგუფი	2015 წ.	2016 წ.	2017 წ.	2018 წ.	2019 წ.	სულ
		n (%*)	n (%*)	n (%*)	n (%*)	n (%*)	n (%*)
1	18-24 წწ.	35 (12.5%)	36 (11.3%)	45 (14.2%)	44 (13.7%)	32 (10.4%)	192 (12.4%)
2	25-29 წწ.	28 (12.0%)	29 (8.5%)	39 (11.2%)	38 (10.5%)	27 (7.9%)	161 (9.9%)
3	30-34 წწ.	17 (8.9%)	29 (10.3%)	35 (11.2%)	33 (9.5%)	21 (6.5%)	135 (9.3%)
4	35-39 წწ.	16 (8.7%)	29 (10.9%)	34 (11.6%)	33 (11.2%)	22 (7.5%)	134 (10.0%)
5	40-44 წწ.	10 (5.4%)	18 (7.5%)	22 (9.1%)	20 (8.2%)	17 (6.9%)	82 (7.1%)
6	45-54 წწ.	13 (10.0%)	18 (11.0%)	17 (10.6%)	15 (8.8%)	12 (7.3%)	75 (9.5%)
7	55-65 წწ.	3 (33.3%)	3 (14.3%)	3 (15.0%)	3 (13.0%)	3 (16.7%)	15 (16.5%)

დიაგრამა 9. მსმ-პირთა შორის ასაკობრივი ჯგუფებში წლების მიხედვით გასაშუალოებული ტრიქომონიაზის გამოვლენის მაჩვენებლები.



მიღებული შედეგების საფუძველზე ტრიქომონიაზის ინციდენტობისთვის გამოთვლილმა ASR-მაჩვენებელმა ყოველ 100 000 მოსახლეზე შეადგინა

$$ASR = 8.1 (95\%CI - 7.5-8.7).$$

3.2. გამოკითხულთა განათლების დონის ზეგავლენა სგდ-ის ინციდენტობაზე მსმ-ჯგუფში


განათლების დონის მიხედვით კვლევაში მონაწილე და სგდ-ის მქონე პირთა განაწილება 2015-2019 წწ. მოყვანილია ცხრილში #17 და დიაგრამაზე #10-13.

ცხრილი #17. განათლების დონის მიხედვით კვლევაში მონაწილე და სგდ-ის მქონე პირთა განაწილება 2015-2019 წწ. საქართველოში მსმ-ჯგუფში.


#	განათლების დონე	2015 წ.	2016 წ.	2017 წ.	2018 წ.	2019 წ.
		n (%*)	n (%*)	n (%*)	n (%*)	n (%*)
1	არასრული საშუალო	128 (10.6%)	212 (13.0%)	246 (14.5%)	279 (15.8%)	259 (15.3%)
	სიფილისი**	42 (32.8%)	72 (34.0%)	97 (39.4%)	111 (39.5%)	96 (29.2%)
	გონოკოკური **	34 (26.6%)	65 (30.7%)	73 (29.7%)	77 (27.4%)	66 (24.7%)
	ქლამიდიური **	31 (24.2%)	62 (29.3%)	70 (28.5%)	66 (23.5%)	51 (21.1%)
	ტრიქომონიაზი **	12 (9.4%)	30 (14.2%)	41 (16.7%)	40 (14.2%)	31 (10.4%)
	სგდ არ დადგინდა	54 (42.2%)	65 (30.7%)	57 (23.2%)	52 (18.5%)	59 (22.8%)
2	საშუალო	768 (63.3%)	984 (60.2%)	995 (58.7%)	1009 (57.2%)	988 (58.2%)
	სიფილისი**	201 (26.2%)	231 (23.5%)	258 (25.9%)	266 (26.4%)	242 (25.0%)
	გონოკოკური **	141(18.4%)	177 (18.0%)	181 (18.2%)	202 (20.0%)	185 (18.7%)
	ქლამიდიური **	207 (27.0%)	242 (24.6%)	244 (24.5%)	230 (22.8%)	171 (17.3%)
	ტრიქომონიაზი **	78 (10.2%)	88 (8.9%)	95 (9.6%)	91 (9.0%)	68 (6.9%)
	სგდ არ დადგინდა	287 (37.4%)	335 (34.0%)	323 (32.5%)	304 (30.1%)	286 (29.0%)
3	არასრული უმაღლესი	199 (16.4%)	273 (16.7%)	286 (16.9%)	297 (16.8%)	279 (16.4%)
	სიფილისი**	50 (25.1%)	55 (20.2%)	74 (25.9%)	77 (25.9%)	61 (21.9%)
	გონოკოკური **	34 (17.1%)	45 (16.5%)	49 (17.1%)	53 (17.9%)	47 (16.9%)
	ქლამიდიური **	43 (21.6%)	53 (19.4%)	55 (19.2%)	50 (16.8%)	32 (11.5%)
	ტრიქომონიაზი **	23 (11.6%)	28 (10.3%)	35 (12.2%)	32 (10.8%)	20 (7.2%)
	სგდ არ დადგინდა	78 (39.2%)	110 (40.3%)	107 (37.4%)	110 (37.0%)	119 (42.7%)
4	უმაღლესი	118 (9.7%)	165 (10.1%)	168 (9.9%)	179 (10.2%)	172 (10.1%)
	სიფილისი**	19 (16.1%)	20 (12.1%)	28 (16.7%)	34 (19.0%)	26 (15.1%)
	გონოკოკური **	15 (12.7%)	16 (9.7%)	20 (11.9%)	19 (10.6%)	15 (8.7%)
	ქლამიდიური **	21 (17.8%)	30 (18.2%)	33 (19.6%)	32 (17.9%)	21 (12.2%)
	ტრიქომონიაზი **	9 (7.6%)	16 (9.7%)	24 (14.3%)	23 (12.9%)	15 (8.7%)
	სგდ არ დადგინდა	65 (55.1%)	88 (53.3%)	99 (58.9%)	102 (57.0%)	103 (59.9%)

* პროცენტები გამოყვანილია კვლევაში მონაწილეთა საერთო რაოდენობიდან; ** პროცენტები გამოყვანილია განათლების დონის ჯგუფის საერთო რაოდენობიდან.


დიაგრამა #10. სიფილისის ინციდენტობა განათლების დონის მიხედვით საქართველოში მსმ-ჯგუფში 2015-2019 წწ.




დიაგრამა #11. გონოკოკური სეგდ-ის ინციდენტობა განათლების დონის მიხედვით საქართველოში მსმ-ჯგუფში 2015-2019 წწ.



დიაგრამა #12. ქლამიდური სგგდ-ის ინციდენტობა განათლების დონის მიხედვით საქართველოში მსმ-ჯგუფში 2015-2019 წწ.



დიაგრამა #13. ტრიქომონიაზის ინციდენტობა განათლების დონის მიხედვით საქართველოში მსმ-ჯგუფში 2015-2019 წწ.



ცხრილიდან 17 და დიაგრამებიდან 10-13 ნათლად ჩანს, რომ სგდდ-ის სიხშირე უკუკორელაციურ კავშირშია განათლების დონესთან. სიფილისისთვის შანსთა ფარდობა არასრული საშუალო განათლების მქონე გამოკითხულთა ჯგუფში საშუალო განათლების მქონე გამოკითხულთა ჯგუფთან შედარებით შეადგენდა $OR=1.74$ (95%CI – 1.52-2.00, $p<0.0001$); გონოკოკური სგდდ-ის შემთხვევაში შანსთა ფარდობა ამავე ჯგუფებს შორის შეადგენდა $OR=1.70$ (95%CI – 1.46-1.97, $p<0.0001$); ხოლო ტრიქომონიაზის შემთხვევაში - $OR=1.63$ (95%CI – 1.34-1.99, $p<0.0001$). ქლამიდიური სგდდ-ის შემთხვევაში შანსთა ფარდობამ შეადგინა $OR=1.11$ (95%CI – 0.95-1.29), თუმცა ეს მაჩვენებელი არ გამოდგა სტატისტიკურად სარწმუნო.

სიფილისისთვის შანსთა ფარდობა არასრული საშუალო განათლების მქონე გამოკითხულთა ჯგუფში არასრული უმაღლესი განათლების მქონე გამოკითხულთა ჯგუფთან შედარებით შეადგენდა $OR=1.90$ (95%CI – 1.60-2.26, $p<0.0001$); გონოკოკური სგდდ-ის შემთხვევაში შანსთა ფარდობა ამავე ჯგუფებს შორის შეადგენდა $OR=1.89$ (95%CI – 1.56-2.29, $p<0.0001$); ხოლო ტრიქომონიაზის შემთხვევაში - $OR=1.38$ (95%CI – 1.08-1.76, $p=0.005$). ქლამიდიური სგდდ-ის შემთხვევაში შანსთა ფარდობამ შეადგინა $OR=1.57$ (95%CI – 1.29-1.91, $p<0.0001$).

სიფილისისთვის შანსთა ფარდობა არასრული საშუალო განათლების მქონე გამოკითხულთა ჯგუფში უმაღლესი განათლების მქონე გამოკითხულთა ჯგუფთან შედარებით შეადგენდა $OR=3.15$ (95%CI – 2.51-3.94, $p<0.0001$); გონოკოკური სგდდ-ის შემთხვევაში შანსთა ფარდობა ამავე ჯგუფებს შორის შეადგენდა $OR=3.28$ (95%CI – 2.53-4.26, $p<0.0001$); ხოლო ტრიქომონიაზის შემთხვევაში - $OR=1.30$ (95%CI – 0.98-1.73, $p=0.0313$). ქლამიდიური სგდდ-ის შემთხვევაში შანსთა ფარდობამ შეადგინა $OR=1.61$ (95%CI – 1.28-2.02, $p=0.0002$).

სიფილისისთვის შანსთა ფარდობა საშუალო განათლების მქონე გამოკითხულთა ჯგუფში არასრული უმაღლესი განათლების მქონე გამოკითხულთა ჯგუფთან შედარებით შეადგენდა $OR=1.09$ (95%CI – 0.95-1.26, $p=0.177$ NS), თუმცა არასარწმუნოდ; გონოკოკური

სგგდ-ის შემთხვევაში შანსთა ფარდობა ამავე ჯგუფებს შორის შეადგენდა $OR=1.11$ (95%CI – 0.95-1.31, $p=0.093$ NS), თუმცა არასარწმუნოდ; ხოლო ტრიქომონიაზის შემთხვევაში - $OR=0.8418$ (95%CI – 0.69-1.03, $p=0.095$ NS), თუმცა არასარწმუნოდ. მხოლოდ ქლამიდიური სგგდ-ის შემთხვევაში გამოდგა შანსთა ფარდობა სარწმუნო $OR=1.41$ (95%CI – 1.21-1.66, $p<0.0001$).

სიფილისისთვის შანსთა ფარდობა საშუალო განათლების მქონე გამოკითხულთა ჯგუფში უმაღლესი განათლების მქონე გამოკითხულთა ჯგუფთან შედარებით შეადგენდა $OR=1.81$ (95%CI – 1.48-2.21, $p<0.0001$); გონოკოკური სგგდ-ის შემთხვევაში შანსთა ფარდობა ამავე ჯგუფებს შორის შეადგენდა $OR=1.94$ (95%CI – 1.53-2.45, $p<0.0001$); ხოლო ტრიქომონიაზის შემთხვევაში - $OR=0.80$ (95%CI – 0.63-1.02, $p=0.070$ NS), თუმცა არასარწმუნოდ. ქლამიდიური სგგდ-ის შემთხვევაში შანსთა ფარდობა გამოდგა სარწმუნო $OR=1.45$ (95%CI – 1.20-1.77, $p=0.0001$).

და ბოლოს, სიფილისისთვის შანსთა ფარდობა არასრული უმაღლესი განათლების მქონე გამოკითხულთა ჯგუფში უმაღლესი განათლების მქონე გამოკითხულთა ჯგუფთან შედარებით შეადგენდა $OR=1.66$ (95%CI – 1.32-2.08, $p<0.0001$); გონოკოკური სგგდ-ის შემთხვევაში შანსთა ფარდობა ამავე ჯგუფებს შორის შეადგენდა $OR=1.74$ (95%CI – 1.33-2.27, $p<0.0001$); ხოლო ტრიქომონიაზის შემთხვევაში - $OR=0.95$ (95%CI – 0.72-1.26, $p=0.714$ NS), თუმცა არასარწმუნოდ. არც ქლამიდიური სგგდ-ის შემთხვევაში გამოდგა შანსთა ფარდობა სარწმუნო $OR=1.03$ (95%CI – 0.82-1.30, $p=0.820$ NS).

3.3. გამოკითხულთა ეკონომიკური შემოსავლის ზეგავლენა სგგდ-ის ინციდენტობაზე მსმ-ჯგუფში

უმწეო ($n=22$) და მაღალი ($n=6$) შემოსავლის მქონე პაციენტების მცირე რაოდენობის გამო განვიხილავთ მხოლოდ ორ ჯგუფს - დაბალი ($n=911$) და საშუალო ($n=274$) შემოსავლების

მქონე მსმ-პირებს. კვლევაში მონაწილე და სგგდ-ის მქონე პირთა განაწილება 2015-2019 წწ. მოყვანილია ცხრილში #18 და დიაგრამებზე #14-17.


სიფილისისთვის შანსთა ფარდობა დაბალი და მაღალი შემოსავლის ჯგუფებს შორის შეადგენდა $OR=1.18$ (95%CI – 1.02-1.36, $p=0.023$); გონოკოკური სგგდ-ის შემთხვევაში შანსთა ფარდობა ამავე ჯგუფებს შორის შეადგენდა $OR=1.32$ (95%CI – 1.12-1.56, $p=0.0008$); ხოლო ტრიქომონიაზის შემთხვევაში - $OR=1.11$ (95%CI – 0.90-1.37, $p=0.328$ NS), თუმცა არასარწმუნოდ. არც ქლამიდიური სგგდ-ის შემთხვევაში გამოდგა შანსთა ფარდობა სარწმუნო $OR=0.89$ (95%CI – 0.77-1.03, $p=0.118$ NS).

ცხრილი #18. ეკონომიკური შემოსავლის დონის მიხედვით კვლევაში მონაწილე და სგგდ-ის მქონე პირთა განაწილება 2015-2019 წწ. საქართველოში მსმ-ჯგუფში.


#	შემოსავალი	2015 წ.	2016 წ.	2017 წ.	2018 წ.	2019 წ.
		n (%*)	n (%*)	n (%*)	n (%*)	n (%*)
1	დაბალი	911 (75,10%)	1337 (81,8%)	1420 (83,8%)	1495 (84,8%)	1453 (85,6%)
	სიფილისი**	238 (26,13%)	311 (23,26%)	377 (26,55%)	416 (27,83%)	382 (26,29%)
	გონოკოკური **	162 (17,78%)	261 (19,52%)	279 (19,65%)	297 (19,87%)	276 (19,00%)
	ქლამიდიური **	213 (24,04%)	309 (23,11%)	323 (22,75%)	321 (21,47%)	228 (15,69%)
	ტრიქომონიაზი **	93 (10,21%)	132 (9,87%)	152 (10,70%)	152 (10,17%)	117 (8,05%)
	სგგდ არ დადგინდა	364 (39,96%)	515 (38,52%)	489 (34,44%)	521 (34,85%)	471 (32,42%)
2	საშუალო	274 (22,59%)	285 (17,44%)	240 (14,16%)	255 (14,46%)	240 (14,13%)
	სიფილისი**	70 (25,55%)	63 (22,11%)	55 (22,92%)	65 (25,49%)	45 (25,00%)
	გონოკოკური **	43 (15,69%)	37 (12,98%)	35 (14,58%)	48 (20,02%)	35 (18,72%)
	ქლამიდიური **	72 (26,28%)	73 (25,61%)	59 (24,58%)	50 (22,79%)	45 (17,31%)
	ტრიქომონიაზი **	24 (8,76%)	25 (8,77%)	23 (9,58%)	28 (9,02%)	15 (6,88%)
	სგგდ არ დადგინდა	110 (40,15%)	111 (38,95%)	119 (49,58%)	104 (30,13%)	106 (44,17%)

* პროცენტები გამოყვანილია კვლევაში მონაწილეთა საერთო რაოდენობიდან; ** პროცენტები გამოყვანილია შემოსავლის ჯგუფის საერთო რაოდენობიდან


დიაგრამა #14. სიფილისის ინციდენტობა ეკონომიკური შემოსავლის დონის მიხედვით საქართველოში მსმ-ჯგუფში 2015-2019 წწ.




დიაგრამა #15. გონოკოკური სგგდ-ის ინციდენტობა ეკონომიკური შემოსავლის დონის მიხედვით საქართველოში მსმ-ჯგუფში 2015-2019 წწ.



დიაგრამა #16. ქლამიდიური სგდ-ის ინციდენტობა ეკონომიკური შემოსავლის დონის მიხედვით საქართველოში მსმ-ჯგუფში 2015-2019 წწ.



დიაგრამა #17. ტრიქომონიაზის ინციდენტობა ეკონომიკური შემოსავლის დონის მიხედვით საქართველოში მსმ-ჯგუფში 2015-2019 წწ.




3.4. გამოკითხულთა ინფორმირებულობის ზეგავლენა სგდ-ის ინციდენტობაზე და ინფორმაციის სანდო წყაროები მსმ-ჯგუფში

სგდ-ის რისკების შეფასების ნებისმიერ მოდელში განსაკუთრებული ადგილი უკავია მსმ-ჯგუფში შემავალ პირთა სათანადო ინფორმირებულობას. ამ კუთხით კი განსაკუთრებული ადგილი უკავია იმას, თუ რომელი წყარო იღებს თავის თავზე ამ ფუნქციას. სგდ-ის შესახებ ინფორმირებულობის შესახებ კვლევაში მონაწილე პირთა მხოლოდ დიქტომური პასუხების (დიახ/არა) განაწილება მოყვანილია დიაგრამაზე #18. ინფორმირებულ და არაინფორმირებულ მსმ-პირთა განაწილებაში განსხვავება 2015 წელს არ გამოდგა სტატისტიკურად სარწმუნო ($\text{Chi}^2=0.001$, $p=0.977$). 2019 წელს კი განსხვავება ინფორმირებულ და არაინფორმირებულ პირთა შორის გახდა სტატისტიკურად სარწმუნო ($\text{Chi}^2=63.4$, $p<0.001$).

ინფორმირებულობის მიხედვით დაყოფილ ჯგუფებში კი სგდ-ის ინციდენტობის მაჩვენებლები მოცემულია ცხრილში #19 და დიაგრამაზე #19-22.

დიაგრამა #18. სგდ-ის შესახებ კვლევაში მონაწილე პირთა ინფორმირებულობის მაჩვენებლები საქართველოში მსმ-ჯგუფში 2015-2019 წწ.




ცხრილი #19.სგდდ-ის შესახებ ინფორმირებულობის მიხედვით კვლევაში მონაწილე და სგდდ-ის მქონე პირთა განაწილება 2015-2019 წწ, საქართველოში მსმ-ჯგუფში.


#	ინფორმირებულობა	2015 წ.	2016 წ.	2017 წ.	2018 წ.	2019 წ.
		n (%*)	n (%*)	n (%*)	n (%*)	n (%*)
1	დიახ	606 (49,96%)	842 (51,53%)	914 (53,92%)	1028 (58,3%)	1013 (59,7%)
	სიფილისი**	135 (22,28%)	181 (21,50%)	188 (20,57%)	198 (19,26%)	187 (18,46%)
	გონოკოკური**	93 (15,35%)	111 (13,18%)	122 (13,35%)	132 (12,84%)	124 (12,24%)
	ქლამიდიური**	148 (24,42%)	181 (21,50%)	175 (19,15%)	177 (17,22%)	122 (12,04%)
	ტრიქომონიაზი**	54 (8,91%)	65 (7,72%)	61 (6,67%)	77 (7,49%)	56 (5,53%)
	სგდდ არ დადგინდა	274 (45,21%)	392 (46,56%)	459 (50,22%)	521 (50,68%)	471 (46,50%)
2	არა	607 (50,04%)	792 (48,47%)	781 (46,08%)	736 (41,72%)	685 (40,34%)
	სიფილისი**	177 (29,16%)	197 (24,87%)	269 (34,44%)	290 (39,40%)	243 (35,47%)
	გონოკოკური**	116 (19,11%)	192 (24,24%)	201 (25,74%)	219 (29,76%)	189 (27,59%)
	ქლამიდიური**	154 (25,37%)	206 (26,01%)	227 (29,07%)	201 (27,31%)	153 (22,34%)
	ტრიქომონიაზი**	78 (12,85%)	97 (12,25%)	134 (17,16%)	109 (14,81%)	78 (11,39%)
	სგდდ არ დადგინდა	210 (34,60%)	238 (30,05%)	242 (30,99%)	231 (31,39%)	206 (30,07%)

* პროცენტები გამოყვანილია კვლევაში მონაწილეთა საერთო რაოდენობიდან; ** პროცენტები გამოყვანილია ინფორმირებულობის ჯგუფის საერთო რაოდენობიდან


დიაგრამა #19.სიფილისის ინციდენტობა ინფორმირებულობის მიხედვით საქართველოში მსმ-ჯგუფში 2015-2019 წწ.




დიაგრამა #20. გონოკოკური სგგდ-ის ინციდენტობა ინფორმირებულობის მიხედვით საქართველოში მსმ-ჯგუფში 2015-2019 წწ.



დიაგრამა #21. ქლამიდიური სგგდ-ის ინციდენტობა ინფორმირებულობის მიხედვით საქართველოში მსმ-ჯგუფში 2015-2019 წწ.



დიაგრამა #22. ტრიქომონიაზის ინციდენტობა ინფორმირებულობის მიხედვით საქართველოში მსმ-ჯგუფში 2015-2019 წწ.




სიფილისისთვის შანსთა ფარდობა ინფორმირებულ და არაინფორმირებულ ჯგუფებს შორის შეადგენდა $OR=1.92$ (95%CI – 1.02-1.36, $p<0.0001$); გონოკოკური სგგდ-ის შემთხვევაში შანსთა ფარდობა ამავე ჯგუფებს შორის შეადგენდა $OR=2.24$ (95%CI – 2.00-2.52, $p<0.0001$); ტრიქომონიაზის შემთხვევაში - $OR=2.09$ (95%CI – 1.80-2.42, $p<0.0001$), ხოლო ქლამიდიური სგგდ-ის შემთხვევაში - $OR=1.59$ (95%CI – 1.43-1.76, $p<0.0001$).

სგგდ-ის შესახებ ინფორმაციის მიღების ძირითად წყაროებად ჩვენს მიერ შემუშავებულ კითხვარში კვლევის მონაწილეებს მივაწოდეთ:

- სამედიცინო მუშაკი
- ინტერნეტი / მედია
- სქესობრივი პარტნიორი
- ლგბტ თემი ან არასამთავრობო ორგანიზაცია
- სხვა

წლების მიხედვით ინფორმაციის მიღების წყაროებად ამ უკანასკნელთა არჩევის მიხედვით მონაცემთა პროცენტული განაწილება მოყვანილია დიაგრამაზე #23. როგორც ამ დიაგრამიდან ჩანს, 2015 წლიდან 2019 წლამდე სარწმუნოდ მცირდება ინფორმაციის მიღება სოციალური და ელექტრონული მედიიდან (50,5%-დან 38,1%-მდე, $\text{Chi}^2=39.72$, $p<0.0001$) და ლგბტ და არასამთავრობო ორგანიზაციებიდან (24,2%-დან 15,5%-მდე, $\text{Chi}^2=33.69$, $p<0.0001$); ეს კი მოხდა ძირითადად სამედიცინო მუშაკებისაგან კვალიფიციური ინფორმაციის მიღებისა (12,0%-დან 25,0%-მდე, $\text{Chi}^2=75.76$, $p<0.0001$) და სქესობრივი პარტნიორების მიერ ინფორმაციის მიღებაზე სანდოობის ხარისხის მატების გამო (13,2%-დან 21,1%-მდე, $\text{Chi}^2=30.14$, $p<0.0001$).

დიაგრამა #23. სგგდ-ის შესახებ ინფორმაციის წყაროების სანდოობის მაჩვენებელთა დინამიკა საქართველოში მსმ-ჯგუფში 2015-2019 წწ.




იმის გამო, რომ პასუხი „სხვა“ მონაწილეთა ძალზე მცირე რაოდენობამ შემოხაზა შანსთა ფარდობები შევისწავლეთ მხოლოდ ინფორმაციის ზემოთმოყვანილი 4 წყაროსათვის. სგგდ-ის ინციდენტობის პროცენტული მაჩვენებლები წლების მიხედვით და წყაროების მიხედვით დაყოფილი ჯგუფებისათვის მოყვანილია ცხრილში #20 და დიაგრამაზე #24-27.

ცხრილი #20. სგდდ-ის შესახებ ინფორმაციის წყაროს მიხედვით კვლევაში მონაწილე და სგდდ-ის მქონე პირთა განაწილება 2015-2019 წწ, საქართველოში მსმ-ჯგუფში.


#	ინფორმაციის წყარო	2015 წ.	2016 წ.	2017 წ.	2018 წ.	2019 წ.
		n (%*)	n (%*)	n (%*)	n (%*)	n (%*)
1	სამედიცინო მუშაკი	146 (12,04%)	261 (15,97%)	339 (20,00%)	388 (22,00%)	425 (25,03%)
	სიფილისი**	36 (24,66%)	60 (22,99%)	72 (21,24%)	84 (21,65%)	73 (17,18%)
	გონოკოკური **	23 (15,75%)	38 (14,56%)	48 (14,16%)	52 (13,40%)	48 (11,29%)
	ქლამიდიური **	36 (24,66%)	59 (22,61%)	65 (19,17%)	68 (17,53%)	43 (10,12%)
	ტრიქომონიაზი **	14 (9,59%)	22 (8,43%)	31 (9,14%)	41 (10,57%)	29 (6,82%)
	სგდდ არ დადგინდა	72 (49,32%)	128 (49,04%)	168 (49,56%)	197 (50,77%)	231 (54,35%)
2	ინტერნეტი / მედია	606 (50,46%)	719 (44,44%)	712 (42,43%)	773 (41,41%)	643 (38,14%)
	სიფილისი**	173 (28,55%)	181 (25,17%)	248 (34,83%)	266 (36,79%)	236 (36,70%)
	გონოკოკური **	112 (18,48%)	151 (21,00%)	154 (21,63%)	182 (20,02%)	158 (24,57%)
	ქლამიდიური **	147 (24,26%)	164 (22,81%)	170 (23,88%)	147 (22,79%)	111 (17,26%)
	ტრიქომონიაზი **	67 (11,06%)	81 (11,27%)	102 (14,33%)	82 (11,34%)	57 (8,86%)
	სგდდ არ დადგინდა	218 (35,97%)	225 (31,29%)	219 (30,76%)	180 (24,90%)	92 (14,31%)
3	პარტნიორი	158 (13,16%)	278 (17,18%)	305 (18,18%)	335 (16,84%)	356 (21,12%)
	სიფილისი**	36 (22,78%)	65 (23,38%)	74 (24,26%)	79 (23,58%)	83 (23,31%)
	გონოკოკური **	30 (18,99%)	59 (21,22%)	69 (22,62%)	67 (20,00%)	63 (17,70%)
	ქლამიდიური **	43 (27,22%)	78 (28,06%)	87 (28,52%)	89 (26,57%)	75 (21,07%)
	ტრიქომონიაზი **	12 (7,59%)	22 (7,91%)	28 (9,18%)	33 (9,85%)	29 (8,15%)
	სგდდ არ დადგინდა	60 (37,97%)	80 (28,78%)	81 (26,56%)	75 (22,39%)	109 (50,62%)
4	ლგბტ თემი ან ა/ო	291 (24,23%)	360 (22,25%)	322 (19,19%)	300 (17,18%)	262 (15,54%)
	სიფილისი**	64 (21,99%)	69 (19,17%)	58 (18,01%)	52 (17,33%)	36 (13,74%)
	გონოკოკური **	46 (15,81%)	53 (14,72%)	49 (15,22%)	47 (15,67%)	39 (14,89%)
	ქლამიდიური **	70 (24,05%)	83 (23,00%)	77 (23,91%)	70 (23,33%)	43 (16,41%)
	ტრიქომონიაზი **	28 (9,62%)	35 (9,72%)	31 (9,63%)	28 (9,33%)	17 (6,49%)
	სგდდ არ დადგინდა	131 (45,02%)	165 (45,83%)	118 (36,65%)	115 (38,33%)	133 (50,76%)

* პროცენტები გამოყვანილია კვლევაში მონაწილეთა საერთო რაოდენობიდან; ** პროცენტები გამოყვანილია ინფორმაციის წყაროს ჯგუფის საერთო რაოდენობიდან.


დიაგრამა #24. სიფილისის ინციდენტობა ინფორმაციის წყაროს მიხედვით დაყოფილ ჯგუფებში საქართველოში მსმ-ჯგუფში 2015-2019 წწ.




დიაგრამა #25. გონოკოკური სგდ-ის ინციდენტობა ინფორმაციის წყაროს მიხედვით დაყოფილ ჯგუფებში საქართველოში მსმ-ჯგუფში 2015-2019 წწ.



დიაგრამა #26. ქლამიდური სგდ-ის ინციდენტობა ინფორმაციის წყაროს მიხედვით დაყოფილ ჯგუფებში საქართველოში მსმ-ჯგუფში 2015-2019 წწ.



დიაგრამა #27. ტრიქომონიაზის ინციდენტობა ინფორმაციის წყაროს მიხედვით დაყოფილ ჯგუფებში საქართველოში მსმ-ჯგუფში 2015-2019 წწ.



სიფილისისთვის შანსთა ფარდობა ინტერნეტით/ე-მედიითა და სამედიცინო მუშაკებისაგან ინფორმირებულ ჯგუფებს შორის შეადგენდა OR=1.82 (95%CI – 1.58-2.10, p<0.0001); გონორეის შემთხვევაში შანსთა ფარდობა ამავე ჯგუფებს შორის შეადგენდა OR=1.85 (95%CI – 1.56-2.18, p<0.0001); ტრიქომონიაზის შემთხვევაში - OR=1.34 (95%CI – 1.09-1.64, p=0.0051), ხოლო ქლამიდიის შემთხვევაში - OR=1.32 (95%CI – 1.13-1.54, p=0.0004).

სიფილისისთვის შანსთა ფარდობა ინტერნეტით/ე-მედიითა და სქესობრივი პარტნიორებისაგან ინფორმირებულ ჯგუფებს შორის შეადგენდა OR=1.56 (95%CI – 1.35-1.80, p<0.0001); გონორეის შემთხვევაში შანსთა ფარდობა ამავე ჯგუფებს შორის არ აღმოჩნდა სარწმუნო - OR=1.14 (95%CI – 0.98-1.32, p=0.099 NS); ტრიქომონიაზის შემთხვევაში - OR=1.36 (95%CI – 1.10-1.68, p=0.0044), ხოლო ქლამიდიის შემთხვევაში - OR=0.79 (95%CI – 0.68-0.91, p=0.0013).

სიფილისისთვის შანსთა ფარდობა ინტერნეტით/ე-მედიითა და არასამთავრობო ორგანიზაციებისაგან ინფორმირებულ ჯგუფებს შორის შეადგენდა OR=2.16 (95%CI – 1.86-2.51, p<0.0001); გონორეის შემთხვევაში - OR=1.59 (95%CI – 1.35-1.87, p<0.0001); ტრიქომონიაზის შემთხვევაში - OR=1.30 (95%CI – 1.06-1.59, p=0.0126), ხოლო ქლამიდიის შემთხვევაში კი არ აღმოჩნდა სარწმუნო - OR=0.96 (95%CI – 0.83-1.11, p=0.621 NS).

სიფილისისთვის შანსთა ფარდობა სქესობრივი პარტნიორებისაგან და სამედიცინო მუშაკებისაგან ინფორმირებულ ჯგუფებს შორის არ აღმოჩნდა სარწმუნო OR=1.17 (95%CI – 0.98-1.39, p=0.077 NS); ტრიქომონიაზის შემთხვევაშიც იყო არასარწმუნო - OR=0.98 (95%CI – 0.76-1.27, p=0.901), გონორეის შემთხვევაში შანსთა ფარდობა ამავე ჯგუფებს შორის აღმოჩნდა სარწმუნო - OR=1.63 (95%CI – 1.34-1.98, p<0.0001); ხოლო ქლამიდიის შემთხვევაში - OR=1.67 (95%CI – 1.40-1.99, p<0.0001).

სიფილისისთვის შანსთა ფარდობა სქესობრივი პარტნიორებისაგან და არასამთავრობო ორგანიზაციებისაგან ინფორმირებულ ჯგუფებს შორის აღმოჩნდა სარწმუნო OR=1.39 (95%CI – 1.16-1.66, p=0.0003); ტრიქომონიაზის შემთხვევაში აღმოჩნდა არასარწმუნო - OR=0.95 (95%CI – 0.74-1.23, p=0.705), გონორეის შემთხვევაში შანსთა ფარდობა ამავე ჯგუფებს შორის

იყო სარწმუნო - OR=1.40 (95%CI – 1.16-1.69, p=0.0005); ხოლო ქლამიდიის შემთხვევაში - OR=1.22 (95%CI – 1.03-1.44, p=0.0209).

და ბოლოს, შანსთა ფარდობა არასამთავრობო ორგანიზაციებისაგან და სამედიცინო მუშაკებისაგან ინფორმირებულ ჯგუფებს შორის სარწმუნო არ აღმოჩნდა სიფილისისთვის OR=0.84 (95%CI – 0.71-1.01, p=0.061 NS); ტრიქომონიაზისთვის - OR=1.03 (95%CI – 0.81-1.32, p=0.803 NS) და გონორეისთვის - OR=1.16 (95%CI – 0.95-1.42, p=0.145 NS); მხოლოდ ქლამიდიის შემთხვევაში აღმოჩნდა შანსთა ფარდობა სარწმუნო - OR=1.37 (95%CI – 1.15-1.63, p=0.0005).

3.5. სგდდ-ის ინციდენტობა მსმ-ჯგუფში თბილისში და რეგიონებში


როგორც მეთოდებში იყო მოხსენებული, კვლევა ჩატარდა საქართველოს 5 რეგიონის ძირითად ურბანულ დასახლებებში (თბილისი, ბათუმი, ქუთაისი, ზუგდიდი, თელავი). ამ კვლევის 2015-2019 წწ. შედეგები სგდდ-ისა და ამ ურბანულ დასახლებების მიხედვით მოყვანილია ცხრილში #21 და დიაგრამებზე 28-31.

ცხრილი #21. საქართველოს ურბანული დასახლებების მიხედვით კვლევაში მონაწილე და სგდდ-ის მქონე პირთა განაწილება მსმ-ჯგუფში, 2015-2019 წწ.


#	ასაკობრივი ჯგუფი	თბილისი	ბათუმი	ქუთაისი	ზუგდიდი	თელავი	რეგიონები
		n (%*)	n (%*)	n (%*)	n (%*)	n (%*)	ჯამურად n (%*)
1	სიფილისი**	1518 (27.0%)	299 (25.6%)	146 (15.5%)	92 (37.2%)	9 (56.3%)	546 (23.0%)
2	გონოკოკური **	999 (17.7%)	258 (22.1%)	215 (22.9%)	97 (39.3%)	2 (12.5%)	572 (24.1%)
3	ქლამიდიური **	1267 (22.5%)	215 (18.4%)	246 (26.2%)	18 (7.3%)	1 (6.3%)	480 (20.2%)
4	ტრიქომონიაზი **	45 (0.8%)	333 (28.5%)	343 (36.5%)	78 (31.6%)	0 (0.0%)	754 (31.8%)
	გამოკითხულთა რაოდენობა	5632 (70.4%)	940 (11.7%)	1169 (14.6%)	247 (3.1%)	16 (0.2%)	2372 (29.6%)

* პროცენტები გამოყვანილია კვლევაში მონაწილეთა საერთო რაოდენობიდან; ** პროცენტები გამოყვანილია რეგიონული ჯგუფის საერთო რაოდენობიდან


დიაგრამა #28. სიფილისის გასაშუალოებული ინციდენტობა რეგიონების მიხედვით დაყოფილ ჯგუფებში საქართველოში მსმ-ჯგუფში 2015-2019 წწ.




დიაგრამა #29. გონოკოკური სგგდ-ის გასაშუალოებული ინციდენტობა რეგიონების მიხედვით დაყოფილ ჯგუფებში საქართველოში მსმ-ჯგუფში 2015-2019 წწ.



დიაგრამა #30. ქლამიდიური სგდ-ის გასაშუალოებული ინციდენტობა რეგიონების მიხედვით დაყოფილ ჯგუფებში საქართველოში მსმ-ჯგუფში 2015-2019 წწ.



დიაგრამა #31. ტრიქომონიაზის გასაშუალოებული ინციდენტობა რეგიონების მიხედვით დაყოფილ ჯგუფებში საქართველოში მსმ-ჯგუფში 2015-2019 წწ.



განსაზღვრულ იქნა თბილისისა და დანარჩენი 4 ურბანული დასახლების (ჯამურად) მსმ-ჯგუფებში ასაკით სტანდარტიზებული მაჩვენებლები და მათი სანდოობის 95%-იანი ინტერვალები სგდდ-ის მიხედვით მოყვანილია ცხრილში #22.

ცხრილი #22. ASR-მაჩვენებლები და 95%CI სგდდ-ის მიხედვით 2015-2019 წწ. საქართველოში მსმ-ჯგუფში.


#	სგდდ	თბილისი			4 ურბანული დასახლება		
		ASR	95%CI		ASR	95%CI	
1	სიფილისი	51.7	49.1	54.4	8.4	7.7	9.2
2	გონოკოკური	34.1	31.9	36.2	8.8	8.0	9.6
3	ქლამიდიური	43.2	40.8	45.6	8.6	7.9	9.4
4	ტრიქომონიაზი	1.2	0.8	1.6	9.2	8.4	10.0

ამ ანალიზის ჩატარებისას ასაკით სტანდარტიზებული მაჩვენებლების შეფარდების (Sandarrdized Rate Raio – SRR) განსაზღვრამ აჩვენა, რომ:

- თბილისში სიფილისის ინციდენტობა 6.2-ჯერ (95%CI 4.5-8.4) აღემატებოდა დანარჩენ დასახლებებში დადგენილ ინციდენტობას;
- გონოკოკური სგდდ-ისა - 3.9-ჯერ (95%CI 2.6-5.8);
- ქლამიდიური სგდდ-ისა - 5.0-ჯერ (95%CI 3.6-7.1).

ამის საპირისპიროდ, ტრიქომონიაზის ინციდენტობა თბილისში 7.7-ჯერ (95%CI 1.2-50.2) ნაკლებია დანარჩენ დასახლებებში დადგენილი ინციდენტობის მაჩვენებელზე (დიაგრამა 32).

დიაგრამა #32. რეგიონების მიხედვით გამოვლენილი სგდ-ის გასაშუალოებული მაჩვენებლების SRR-შეფარდება საქართველოში მსმ-ჯგუფში 2015-2019 წწ.



თავი IV. მიღებული შედეგების განხილვა

ნაკლებად სავარაუდოა, რომ ქცევითი ტენდენციები, რამაც ხელი შეუწყო მსმ-ებს შორის სგგდ-ის მაჩვენებლების ზრდას, თავისთავად შეიცვალოს. ჩვენ გვჭირდება სტრატეგია მზარდი სგგდ-ის ეპიდემიასთან დასაპირისპირებლად. ჩვენი ძალისხმევა უნდა ეფუძნებოდეს სამ ძირითად სტრატეგიას:

- სგგდ-ის ტესტირების, დიაგნოსტიკისა და სამკურნალო ღონისძიებების გაზრდა;
- პრევენციის გამოყენების გაზრდა; და
- მეცნიერული ინოვაციების ხელშეწყობა.

აქ ჩვენ შემოგთავაზებთ ზომებს, რომლებიც მთავრობასა და ჯანდაცვის პოლიტიკის გამტარებლებს, ჯანდაცვის ორგანიზაციებს და სამედიცინო პროვაიდერებს და დაზარალებული თემის წევრებს შეუძლიათ მიიღონ სგგდ-ის საპირისპიროდ. ეს ზომები შექმნილია იმისთვის, რომ გაიმეოროს ან შეავსოს CDC-ის მიერ შემოთავაზებული და წინა პუბლიკაციებში მოწოდებული ქმედებების ნაბიჯები [182,183].

უნდა გაიზარდოს სგგდ-ის სკრინინგის სიხშირე და სისრულე, ამისათვის უნდა ჩატარდეს შემდეგი ღონისძიებები:

ა) მთავრობისა და ჯანდაცვის პოლიტიკის კუთხით - მკაფიო გაიდლაინები; ყოველკვარტალური სგგდ-ის სკრინინგები; ექსტრაგენიტალური სგგდ-ის ტესტირება მაღალი რისკის მსმ და ტრანსგენდერ პაციენტებში; სექსუალური ჯანმრთელობის/სგგდ კლინიკების ქსელის გაფართოება; მსმ და ტრანსგენდერი პირების მიმართვიანობის გაუმჯობესების ხელშეწყობა; სწრაფი ტესტირების ხელშეწყობა; პრევენციული ღონისძიებები.

ბ) სადაზღვევო კომპანიების კუთხით - აივ/სგგი კვარტალური ტესტირების მოცვა; თანაგადახდების ან გამოქვითვის ამოღება; აივ/სგგდ-ის ტესტირებისას ისეთი ვიზიტების მოცვა, რომელსაც მართავს არალიცენზირებული პროვაიდერი.

გ) გამოკითხვები STI სკრინინგის ინტეგრირების შესახებ; პაციენტების გამოკითხვები დაბადებისას სქესის, მიმდინარე სქესის, სქესობრივი პარტნიორების სქესის შესახებ; საძიებო ელექტრონულ მონაცემთა ველებში სამედიცინო ჩანაწერების (EMR) აღრიცხვა.

დ) სამედიცინო პროვაიდერებია და ჯანდაცვის ორგანიზაციების კუთხით - გენდერული ან სექსუალური უმცირესობის პაციენტების იდენტიფიცირება; მკაფიო გაიდლაინები; მაღალი რისკის ჯგუფებისათვის დაბალი ბარიერის მქონე მომსახურების მოდელის შექმნა; სგგდ-ის რუტინული ტესტირება მაღალი რისკის ჯგუფებისათვის სისხლის საერთო ანალიზების ჩატარების დროსაც;

ე) საზოგადოებისა და თემის კუთხით - აივ/სგგი-ზე ხშირი ტესტირების სიმარტივისა და ხელმისაწვდომობის გაზრდა, მისი ადვოკატირება და გაფართოება (ახალი ტესტირების ცენტრების მოწყობა, სგგდ-ის შესახებ ინფორმირებულობის გაზრდა).

ვ) კონდომის გამოყენების გაზრდა, რამაც შეიძლება გამოიწვიოს პრევენციული სარგებელი.;

ზ) სიფილისის მოვლის გაუმჯობესება სგგდ-სთან დაკავშირებული ავადობის შესამცირებლად;

თ) თვალის, ოტო- და ნეიროსიფილისის შესახებ კითხვების ინტეგრირება კლინიკურ შეფასებებში და პარტნიორული სერვისების შეთავაზება კლინიკის გარეთ ჩატარებულ კვლევებში;

ი) ცნობიერების გაზრდა გაიდლაინების, ინტერნეტ- და სხვა რესურსების შესახებ მაღალი რისკის ჯგუფებისა და პროვაიდერებისთვის, რათა გაეცნონ სგგდ-ის ეტიო-პათოგენეზს, მკურნალობასა და უმცირესობებთან დაკავშირებულ სოციალურ და საზოგადოებრივ პრობლემებს;

კ) საზოგადოების განათლების დონის გაზრდა და ინფორმაციული უზრუნველყოფა სგგი-ს მაჩვენებლების, პრევენციის, გართულებების და მოვლის რესურსების გაზრდის მიზნით.

უფრო მაღალი რისკის მქონე მსმ და ტრანსგენდერმა პირებმა ყოველკვარტალურად უნდა გაიარონ სკრინინგი სგგდ-ზე, მათ შორის აივ-ზე (თუ უკვე არ აქვთ აივ-ის დიაგნოზი). სგგდ-ტესტირება უნდა მოიცავდეს სიფილისის სეროლოგიურ ტესტირებას და გონორეისა და ქლამიდიური ინფექციის ტესტირებას ყველა დაუცველი ანატომიური ადგილიდან. ამჟამინდელი გაიდლაინები მკაფიოდ არ განსაზღვრავს მაღალი რისკის შემცველობას და გვთავაზობს 3-6 თვიან სგგდ-ტესტირებას. ვაშინგტონის შტატის (აშშ), გაერთიანებული სამეფოსა და ავსტრალიის სახელმძღვანელო მითითებები უფრო სპეციფიკურია და უნდა იქნას მიღებული სამედიცინო პროვაიდერების მიერ, ან უნდა იქცეს ადგილობრივი გაიდლაინების ამოსავალ წერტილად [184,185].

იმისათვის, რომ დარწმუნდნენ, რომ ასეთი სახელმძღვანელოები შეიძლება განხორციელდეს, არჩეულმა თანამდებობის პირებმა და სააგენტოებმა, რომლებსაც უფლება აქვთ სადაზღვევო რეგულაციებზე, უნდა უზრუნველყონ, რომ რეკომენდებული სგგდ-ტესტირება დაფარული იყოს სადაზღვევო თანაგადახდების ან გამოქვითვის გარეშე.

ჩვენ ასევე უნდა შევცვალოთ ჩვენი ჯანდაცვის სისტემა, რათა უკეთ ხელი შევუწყოთ გენდერულ და სექსუალურ უმცირესობების სამედიცინო დახმარებას. მათ შორის ცვლილებებია საჭირო როგორც საჯარო, ისე კერძო სამედიცინო დაწესებულებებისთვის, ასევე დასავლეთში ადვოკატირებას უწევენ სგგდ- და სექსუალური ჯანმრთელობის კლინიკების სისტემის ამუშავებას. ჩვენ გვჭირდება ეს კლინიკები უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე, თუ გვსურს წარმატების მიღწევა სგგი-ის ეპიდემიის კონტროლისა და ელიმინაციის საქმეში [186]. სახელმწიფო და ადგილობრივმა მთავრობებმა უნდა გამოყონ თანხები თვისობრივად ახალი, სექსუალური ჯანმრთელობის კლინიკების

შესაქმნელად, მათ მიერ გასაწევი ზრუნვის გასაუმჯობესებლად, დაბალი ბარიერის, სწრაფი მომსახურების უზრუნველსაყოფად.

ნიუ-იორკმა ლიდერობა დაიკავა ამ სფეროში, ყოველწლიურად ახორციელებს 13 მილიონი დოლარის ინვესტიციას მათი სექსუალური ჯანმრთელობის კლინიკების გაფართოებისა და გაუმჯობესებისათვის [187]. ასეთი პროგრამების ინიცირების მრავალი სხვა მაგალითიც არსებობს - მაგ., კლინიკა Dean Street Express ლონდონში, ინგლისში [188] არის დაბალი ბარიერის სექსუალური ჯანმრთელობის კლინიკის მოდელი. პაციენტები იღებენ სწრაფ მომსახურებას - სგგდ-ტესტირებას და მკურნალობას. მობილური ტექნოლოგიისა და სენსორული ეკრანების გამოყენებით, პაციენტები ჯავშნიან ვიზიტს, თვითონ იღებენ ნაცხის ნიმუშს ტესტირებისთვის, ტესტის შედეგებს კი იღებენ ტექსტური შეტყობინების საშუალებით. კლინიკამ 2017 წელს ლონდონში მსმ-ში აივ-ის ყველა შემთხვევის დაახლოებით მესამედის დიაგნოზი დასვა [189]. კლინიკების შეფასებამ აჩვენა, რომ ასეთმა კლინიკებმა დიდი როლი ითამაშეს სგგდ-ის თავიდან აცილებასა და ჯანდაცვის სისტემის ხარჯების შემცირებაში [190].

ფართოპროფილური და დიდი კლინიკების მუშაობაც საჭიროებს ამ კუთხით ცვლილებებს. ამჟამად, გენდერული და სექსუალური უმცირესობები, როგორც წესი, უხილავია ჯანდაცვის სისტემისათვის. არ არსებობს ისეთი სისტემატური გაიდლაინი, რომელიც ხელს უწყობს პრევენციულ ღონისძიებებს და აივ/სგგდ-ტესტირებას იმ პოპულაციაში, რომლის იდენტიფიცირებაც შეუძლებელია. დიდი კლინიკებმა მუდმივად უნდა გამოჰკითხონ პაციენტები მათი დაბადების, ამჟამინდელი სქესის, მათი სქესობრივი პარტნიორების შესახებ და ჩაწერონ ინფორმაცია ელექტრონულ სამედიცინო ჩანაწერებში. ეს მონაცემები შეიძლება გამოყენებულ იქნას იმისთვის, რომ კლინიცისტებმა აიძულონ ჩაატარონ გაიდლაინური რეკომენდებული ტესტები, შესთავაზონ პაციენტებს პრევენციული ღონისძიებები. ჯანდაცვის ხელახალი ორგანიზება ასევე უნდა მოიცავდეს დაბალი ბარიერის მომსახურების იდეას, რაც

საშუალებას მისცემს პაციენტებს ჩაიტარონ ტესტირება აივ/სგგი-ზე სამედიცინო პროვაიდერთან ვიზიტის გარეშე ან მომსახურების საფუძველზე [136,191]. BREE-კოლაბორაციის ჯგუფმა ვაშინგტონის შტატში და ფენვეის ინსტიტუტმა ბოსტონში შეიმუშავეს გაიდლაინები სექსუალური და გენდერული უმცირესობების სამედიცინო დახმარების ასპექტების გასაუმჯობესებლად [192,193], რაც შეიძლება დაეხმაროს ჯანდაცვის პროფესიონალების განათლებას და მომზადებას და წარმართონ დიდი ჰოსპიტლები, როდესაც ისინი ცვლიან მომსახურების ორგანიზაციას.

ჯანდაცვის სისტემის განხილულმა ორგანიზება საჭიროებს განსხვავებულ მოდელს, რომელიც მოიცავს პარტნიორთა ფართო სპექტრს და მომსახურების წყაროებს. ეს მოიცავს აფთიაქებთან მუშაობას პრევენციული მკურნალობის და აივ/სგგდ-ტესტირებაზე წვდომის გაფართოების მიზნით [194], პაციენტის ხელშეწყობა უფრო ხშირი სგგდ-ტესტირების გასაადვილებლად [195], სერვისების ინტეგრაციას სგგდ პარტნიორ-სერვისებში [196] და, შესაძლოა, ონლაინ სერვისების გამოყენება სგგი ტესტირების თვითმომსახურების კომპლექტების სახლში მიწოდებით.

საუკეთესო პრაქტიკის კლინიკური ინტერვენციები ფართოდ უნდა განხორციელდეს სგგდ-ტესტირების გაზრდის მიზნით. სამედიცინო პროვაიდერებს უნდა ჰქონდეთ წვდომა ნუკლეინის მჟავას ამპლიფიკაციის ტესტებზე გონორეისა და ქლამიდიური ინფექციის ექსტრაგენიტალური ტესტირების ჩასატარებლად. იდეალურ შემთხვევაში, ეს მოიცავს თვითშეგროვებულ ნაცხის ნიმუშების გამოყენებას, რომლებიც გამოიყენება სგგდ-ტესტირების გასაფართოებლად, ხოლო კლინიკის ნაკადსა და პროდუქტიულობაზე ზემოქმედების თავიდან ასაცილებლად [136,191,197]. პროვაიდერებმა, რომლებიც ემსახურებიან აივ ინფექციის მქონე მსმ- და ტრანსგენდერ პაციენტებს, რომლებიც არიან სქესობრივად აქტიური და არ არიან მონოგამურ ურთიერთობებში, რეგულარულად უნდა შეუკვეთონ სიფილისის სეროლოგია სხვა მიზნებით ჩატარებული სისხლის აღებისას. ამან გაზარდა უსიმპტომო სიფილისის ინფექციის დიაგნოზები ავსტრალიაში [198] მსმ-პაციენტებში და შესაძლოა ხელი

შეუწყოს სიფილისის გადაცემის შემცირებას [53]. უნდა განიხილებოდეს, სგგდ-ის დიაგნოზის მქონე პირთა ყველა სქესობრივი კონტაქტი, რათა თავიდან იქნას აცილებული სგგდ-გადაცემა და, სიფილისის შემთხვევაში კი, ინკუბაციური, სერონეგატიური ინფექციების კლინიკური პროგრესირება. გარდა ამისა, CDC გაიდლაინების შესაბამისად, ყველა სგგდ-ის მქონე პირმა უნდა გაიაროს ხელახალი ტესტირება საწყისი მკურნალობიდან თორმეტი კვირის შემდეგ [7]. SMS შეხსენებები ზრდის სგგდ-ის ხელახალი ტესტირების სიხშირეს და კლინიცისტებმა და ჰოსპიტლებმა შეძლებისდაგვარად უნდა შესთავაზონ ისინი პაციენტებს [199]. ყოველ შემთხვევაში ჰეტეროსექსუალებში, სახლის ტესტირების კომბინაცია SMS შეხსენებებთან ერთად მაინც უკეთესია [200] და სულ მცირე ერთი კლინიკა დიდ ბრიტანეთში ახლა რეგულარულად სთავაზობს MSM-ს სახლის ტესტირების შესაძლებლობას აივ-ისა და სიფილისის ტესტირებისთვის თითოეულ ადამიანს სისხლის ნიმუშების გამოყენებით [201]. როდესაც SMS შეხსენებები მიუწვდომელია, კლინიცისტებმა წინასწარ უნდა დაგეგმონ ხელახალი ტესტირება და სთხოვონ პაციენტებს გამოიყენონ შეხსენების შეტყობინებები მობილური ტელეფონების კალენდრებში.

მიუხედავად იმისა, რომ ზემოთაღწერილმა ზომებმა შეიძლება მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს მიმდინარე ეპიდემიასთან ბრძოლაში, ალბათ ყველაფერზე მეტად, ჩვენ გვჭირდება მეცნიერული ინოვაცია. გამოირჩევა რამდენიმე პოტენციური ინტერვენცია და პრიორიტეტული სფერო. დოქსიციკლინის სგგდ ექსპოზიციის წინ და შემდგომი პროფილაქტიკის კვლევები ვარაუდობს, რომ ინტერვენცია ამცირებს ქლამიდიის და სიფილისის სიხშირეს მაღალი რისკის მქონე მსმ-ებში [155,156], თუმცა გრძელვადიან უსაფრთხოებასთან და ანტიმიკრობული რეზისტენტობის ხელშეწყობასთან დაკავშირებული შემოფოთება საჭიროებს დამატებით გამოკვლევას. საჭიროა ბაქტერიული სგგდ-ის უფრო მგრძობიარე და სწრაფი დიაგნოსტიკური ტესტები. სიფილისის ტესტირება ეყრდნობა სეროლოგიურ ტესტებს, რომლებიც არასენსიტიურები არიან ადრეული ინფექციის დროს, საჭიროებენ სისხლის აღებას და აქვთ შედარებით ხანგრძლივი რეციდივის დრო. იდეალურ შემთხვევაში, ჩვენ

გვექნებოდა მგრძობიარე სწრაფი ტესტები, რომლებიც აერთიანებს საწყის და დამადასტურებელ ტესტირებას და რომელიც შეიძლება ინტეგრირებული იყოს სახლის ან ლაბორატორიების გარეთ ჩატარებულ ტესტირებასთან. არსებობს ან დამუშავების პროცესშია სიფილისის სწრაფი ტესტები და საჭიროა შემდგომი კვლევა ამ სფეროში და ამ ანალიზის ფართო ხელმისაწვდომობა დაავადების კომპლექსური დიაგნოზისთვის [202,203]. ეფექტური სგდ-ვაქცინები რჩება პრიორიტეტად. ბოლოდროინდელი შემთხვევა-კონტროლის დიზაინით ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ ადამიანები, რომლებმაც მიიღეს B ჯგუფის მენინგოკოკური გარე მემბრანის ბუმტუკოვანი ვაქცინა, ნაკლებად სავარაუდოა, რომ დაესვათ გონორეის დიაგნოზი [204]. საჭიროა დამატებითი მონაცემები ამ ვაქცინის შესახებ, მათ შორის ინფორმაცია იმუნიტეტის კორელატების შესახებ. საჭიროა სგდ-ის მკურნალობის ახალი ოფციები, მათ შორის წამლებისადმი რეზისტენტული N. გონორეისა და გართულებული სიფილისის თერაპია. და ბოლოს, იმისათვის, რომ ვისარგებლოთ როგორც ტექნოლოგიური მიღწევებით, ასევე ჯანდაცვისა და პრევენციის ღონისძიებებით, ჩვენ გვჭირდება დანერგვის მეცნიერული კვლევა, რომელიც ფართოდ განსაზღვრავს პოპულაციის დონეზე ნანახ მიგნებებსა და შედეგებს.

აშშ-ში პირველადი და მეორადი სიფილისის ყველა დიაგნოსტიკურ შემთხვევათა დაახლოებით ორი მესამედი მოდის მსმ ჯგუფზე [205-207]. სიფილისის სკრინინგული პროგრამების რაოდენობის მატებამ ამ ჯგუფში გააორმაგა ადრეული სიფილისის დეტექცია; თუმცა შემთხვევათა 71%-ში სიფილისი დიაგნოსტიკა მაშინ, როცა პაციენტებმა მიმართეს შესაბამის დაწესებულებებს არსებული სიმპტომატიკით [208]. შიდს-ის მწვავე ინფექცია ასოცირებულია გადატანილ ან მიმდინარე სგდ-სთან (სიფილისის ჩათვლით) იმ მამაკაცებში, რომელთაც მიმართეს მუნიციპალურ სგდ კლინიკას [110] და მულტიცენტრულ iPrex კვლევის საიტებს [111]. რამდენიმე კვლევამ კი აჩვენა, რომ მსმ ჯგუფში ადრეული სიფილისი ასოცირებულია შიდს-ით დაინფიცირებასთან [209,210]. სიფილისით დაინფიცირების მაჩვენებლის მატების განმაპირობებელ ფაქტორებს შორისაა ნარკოტიკების (მაგ., მეტამფეტამინი) მოხმარება,

მრავალი ანონიმური პარტნიორი და სექსუალური პარტნიორების ძიება ინტერნეტის მეშვეობით [6,100]. ერთ-ერთი კვლევის მონაცემებით, მსმ ჯგუფში შემთხვევათა 5,9%-ში ადგილი აქვს პირველადი და მეორადი სიფილისის რეინფიცირებას საწყისი დაინფიცირებიდან 2 წლის შემდეგ; ასეთი რეინფიცირების განმაპირობებელ ფაქტორებს მიეკუთვნება შიდს-ის ინფექცია, შავკანიანი რასა და 10-ზე მეტი სექსუალური პარტნიორი [101]. განმეორებითი დაინფიცირების რისკის გამო, ამ კვლევის მონაცემები მხარს უჭერს პრევენციის ისეთ ღონისძიებებს, როგორცაა სეროლოგიური ტესტირება.

კიდევ უფრო შთამბეჭდავია Schmidt და თანაავტ. [211] 2019 წლის პუბლიკაციაში მოყვანილი მონაცემები, რომელიც შეეხება სიფილისის ინციდენტობის მკვეთრ ზრდას. 2000 წელს აშშ-ში დარეგისტრირდა პირველადი და მეორადი სიფილისის 5973 შემთხვევა (2.12 ყოველ 100 000 მოსახლეზე); მაშინ, როცა 2017 წელს ასეთ შემთხვევათა რიცხვმა შეადგინა 30 644 (9.5 ყოველ 100 000 მოსახლეზე); მატებამ შეადგინა 413% [212]. დაავადებათა კონტროლისა და პრევენციის ცენტრების მიერ 2017 წელს მოწოდებული მონაცემების თანახმად, სიფილისის ინციდენტობა მამაკაცებში (16.9 ყოველ 100 000 მოსახლეზე) სარწმუნოდ მაღალია ქალებში დაფიქსირებულ მაჩვენებელთან შედარებით (2.3 ყოველ 100 000 მოსახლეზე) [212]. სიფილისის სიხშირის ასეთი მაღალი მაჩვენებელი ძირითადად განპირობებულია მსმ ჯგუფით, რომელზეც მოდის მამაკაცების სიფილისის შემთხვევათა 82% (!) [213,214]. ამასთან, ამ ჯგუფში დარეგისტრირებულ შემთხვევათა ნახევარში ადგილი აქვს შიდს-ის კოინფექციას.

გონოკოკური ინფექციები მსმ ჯგუფში ასოცირებულია სიფილისის განვითარების ისეთ მსგავს რისკ-ფაქტორებთან, როგორცაა მრავალი ანონიმური პარტნიორი, ნარკოტიკების მიღება (კრისტალური მეტამფეტამინი) [104]. რექტალური გონოკოკური ინფექციის სიხშირე მატულობს, როცა მსმ პაციენტებში ადგილი აქვს შიდს-ის კოინფექციას [215]. ორალური სექსი ასოცირებულია ურეთრული გონორეის შემენასთან [130,131]. ფარინგეალური გონორეისა და ქლამიდიის პრევალენტობა შეადგენს, შესაბამისად, 7.3%-სა და 2.3%-ს [216]. მულტიცენტრული კვლევის მონაცემებით, რექტალური გონორეისა

და ქლამიდიის პრევალენტობა მსმ ჯგუფში შეადგენს. შესაბამისად, 5.4%-სა და 8.9%-ს [217]. რექტალური გონორეა და ქლამიდიის ინფექციები, განსაკუთრებით რეკურენტული ინფექციები, ასოცირებულია შიდს-ის მომატებულ რისკთა მსმ-ჯგუფში [126,128]. ახლადგამოვლენილი შიდს-ით დაინფიცირება მსმ ჯგუფში ზრდის ასიმპტომური გონორეის (25.9% vs. 10.9%, $p<0.001$) და ქლამიდიის (18.5% vs 7.8%, $p<0.001$) რისკს [218]. მაშასადამე, რექტალური გონორეისა და ქლამიდიის სკრინინგი მსმ ჯგუფში შესაძლოა იყოს უფრო ნაკლებ-დანახარჯებიანი ეფექტური ინტერვენცია შესაბამის ურბანულ ადგილებში [137]. მსმ რჩება ყველაზე დისპროპორციულ ჯგუფად შიდს-ის განვითარების და გადაცემის კუთხით, განსაკუთრებით შავკანიან და ლათინური წარმოშობის პაციენტებში. ფაქტორებს, რომლებიც ზრდიან მსმ ჯგუფში შიდს-ით დაინფიცირების რისკს, განეკუთვნება ანალური სექსი პრეზერვატივის გარეშე და სექსუალური აქტის გამახანგრძლივებელი პრეპარატებისა და მეტამფიტამინის მიღება [109].

აქვე უნდა აღინიშნოს ის ფაქტორები, რომლებიც ხელს უწყობს პრევალენტობის მაღალი მაჩვენებლების დაფიქსირებას. სექსუალური უმცირესობის ახალგაზრდათა დაახლოებით 44% ჯერ კიდევ არ ფლობს ინფორმაციას საკუთარი სეროსტატუსის შესახებ [219]. სამწუხაროდ, ანამნეზური მონაცემების შევსებისას არ ფიქსირდება ინფორმაცია სექსუალური პარტნიორების სქესის შესახებ. თუ დგინდება სექსუალური პარტნიორის სქესი, მრავალი მსმ პაციენტი არ გამოიკითხება სექსუალურ ქცევასთან დაკავშირებული ფაქტორების შესახებ (განსაკუთრებით გონორეის ან ქლამიდიის ექსპოზიციის ანატომიური ადგილების შესახებ). ხშირად ამის მიზეზს წარმოადგენს განსახილველი საკითხის სტიგმა [220-222]. კლინიცისტებმა რუტინულად უნდა მიიღონ ინფორმაცია სგგდ-სთან დაკავშირებულ სიმპტომატიკასთან დაკავშირებით - ურეთრული გამონადენი, დიზურია, გენიტალური და პერიანალური წყლულები, რეგიონული ლიმფადენოპათია, კანის გამონაყარი და პროექტიტთან დაკავშირებული ანორექტალური სიმპტომები (მაგ., ტკივილი დეფეკაციის ან ანალური აქტის დროს).

დამატებით, პროვაიდერებმა უნდა ჩაატარონ ფაქტებზე-დაფუძნებული კონსულტაცია უსაფრთხო სექსის შესახებ.

კლინიცისტები უნდა გაეცნონ იმ ლოკალურ სოციალურ და საგანმანათლებლო რესურსებს, რომლებიც უკავშირდება მსმ ჯგუფს, რათა ქცევასთან დაკავშირებული ინტერვენციები იყოს შესაბამისი. უკანასკნელ წლებში, შემუშავდა მრავალი სამედიცინო საგანმანათლებლო მასალა როგორც ბეჭდური [223], ისე ელექტრონული ფორმით (<http://www.lgbthealtheducation.org>). ამ წყაროებმა უნდა გაზარდონ პროვაიდერების ცოდნა და კულტურული კომპეტენცია სგდ-ის დიაგნოსტიკისა და მენეჯმენტის შესახებ ლესბოსელ, გეი, ბისექსუალ და ტრანსგენდერულ პოპულაციაში. ელექტრონული მედია არის ასევე მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი მსმ ჯგუფისაგან ინფორმაციის შეგროვებისა და ანალიზისათვის. მსმ ჯგუფის წევრები პარტნიორებს ეძებენ და ხვდებიან ონ-ლაინ, ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ ინფორმაციას ეძებენ ვებ-გვერდებზე. ამდენად, გამართებული უნდა იყოს ინტერნეტის გამოყენება სგდ-ის პრევენციისათვის. მსმ პაციენტებს შეუძლიათ ინფორმაცია მიიღონ ონ-ლაინ [224] და მათაც მიაწოდონ ინფორმაცია ჯანდაცვის პროვაიდერებს სექსუალური პარტნიორების შესახებ [225].

მსმ ჯგუფში სგდ-ის პრევენციის ღონისძიებები უნდა მოიცავდნენ:

- შიდს-ის სეროლოგიას;

აუცილებელია, თუ შიდს-ის სეროსტატუსი უცნობია ან უარყოფითია და თვით მსმ პაციენტს ან მის პარტნიორს ჰყავდა ერთზე მეტი სექსუალური პარტნიორი უკანასკნელი შიდს-ის ტესტის შემდეგ;

- სიფილისის სეროლოგიას;
- გონორეისა და ქლამიდიის ურეთრული ინფექციის ტესტირება;
- გონორეისა და ქლამიდიის რექტალური ინფექციის ტესტირება;

- გონორეისა ფარინგეალური ინფექციის ტესტირება; ქლამიდიის ფარინგეალური ინფექციის ტესტირება არაა აუცილებელი.

ჩვენი კვლევის მიზანს წარმოადგენდა შეგვესწავლა სგგდ-ის - გონორეა, სიფილისი, ქლამიდიოზი და ტრიქომონიაზის ეპიდემიოლოგია მაღალი რისკის ჯგუფში მსმ-ში, როგორც რეგიონების მიხედვით, ისე მთელი საქართველოს მასშტაბით. რა მდგომარეობაა ამ კუთხით საქართველოში?

თუ შევადარებთ ჩვენს შედეგებს თუ ამ შედეგებს შევადარებთ დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის 2019 წლის სტატისტიკურ ცნობარში მოყვანილ მონაცემებს 2019 წლის მიხედვით [3], დავინახავთ, რომ:

- სიფილისის შემთხვევაში მსმ-ჯგუფის ახალი შემთხვევების მაჩვენებელს ძირითადი წილი აქვს საქართველოს საერთო მაჩვენებელში (მსმ 20.9 - საქართველო 28.5) - $SRR = 0.73$; მაშასადამე, დაახლოებით 73%.
- გონოკოკური სგგდ-ის შემთხვევაში კი (მსმ 16.1 - საქართველო 19.8) - $SRR = 0.81$; მაშასადამე, დაახლოებით 81%.
- შედარებით დაბალია მსმ ჯგუფის წილის ქლამიდიური სგგდ-ის ახალი შემთხვევები (მსმ 17.8 - საქართველო 43.0) - $SRR = 0.41$; მაშასადამე, დაახლოებით 41%;
- და კიდევ უფრო დაბალი ტრიქომონიაზის ახალი შემთხვევები (მსმ 8.1 - საქართველო 118.9) - $SRR = 0.068$; მაშასადამე, დაახლოებით 6.8%.

დგება საინტერესო კითხვა - როგორ გადავლახოთ სტიგმა?...

დასკვნები

მიღებულ შედეგებზე დაყრდნობით წარმოგიდგენთ ჩვენი კვლევის დასკვნებს:

1. მსმ-ჯგუფს წამყვანი ადგილი უკავია სგგდ-ის სტრუქტურაში საქართველოში 2015-2019 წლების ეპიდემიოლოგიურ მაჩვენებლებში;
2. მსმ-ჯგუფში სარწმუნოდ სჭარბობს სიფილისისა და ქლამიდიური სგგდ-ის პრევალენტობის მაჩვენებლები, შემდეგ კი მოდის გონოკოკური სგგდ. თუმცა, თუ შევხედავთ მთლიან სურათს, დავინახავთ ძალზე თვალსაჩინო სავალალო შედეგს - გამოკვლეული მსმ-პირების 70-80%-მდე რაიმე სგგდ-ით არის დაავადებული.
3. ოთხი სგგდ-ის (სიფილისი, გონოკოკური სგგდ, ქლამიდიური სგგდ, ტრიქომონიაზი) გავრცელება სარწმუნოდ მაღალია ყველაზე ახალგაზრდა (18-29 წწ.) და უფროს ასაკობრივ ჯგუფებში (55-65 წწ.). სიფილისის შემთხვევაში წამყვან ასაკობრივ ჯგუფებს ემატება 30-34 წწ. ასაკობრივი ჯგუფიც.
4. სიფილისის შემთხვევაში მსმ-ჯგუფის ახალი შემთხვევების ასაკით სტანდარტიზებულ მაჩვენებელს (20.9 100,000 ადამიანზე) ძირითადი წილი აქვს საქართველოს საერთო ასაკით სტანდარტიზებულ მაჩვენებელში (საქართველო 28.5 100,000 ადამიანზე); იგივე ტენდენციას აქვს ადგილი გონოკოკური სგგდ-ის შემთხვევაშიც კი (მსმ-ჯგუფში 16.1 100,000 ადამიანზე - საქართველოში 19.8 100,000 ადამიანზე). შედარებით დაბალია მსმ ჯგუფის წილი ქლამიდიური სგგდ-ის ახალ შემთხვევებში (მსმ-ჯგუფში 17.8 100,000 ადამიანზე - საქართველოში 43.0 100,000 ადამიანზე); და კიდევ უფრო დაბალი ტრიქომონიაზის ახალ შემთხვევებში (მსმ-ჯგუფში 8.1 100,000 ადამიანზე - საქართველოში 118.9 100,000 ადამიანზე).
5. თბილისში მცხოვრები მსმ-პირები გამოირჩევიან გავრცელებისა და ახალი შემთხვევების უფრო მაღალი მაჩვენებლებით, ვიდრე რეგიონებში მცხოვრებნი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ რეგიონებში ძირითადად გავრცელებულია ტრიქომონიაზი, ხოლო თბილისში - სიფილისი, გონოკოკური და ქლამიდიური

სგდ. ASR-მაჩვენებლების მიხედვით თბილისში სიფილისის ახალი შემთხვევები 6.2-ჯერ (95%CI 4.5-8.4) აღემატებოდა დანარჩენ დასახლებებში დადგენილ ახალ შემთხვევებს; გონორეისა - 3.9-ჯერ (95%CI 2.6-5.8); ქლამიდიისა - 5.0-ჯერ (95%CI 3.6-7.1). ამის საპირისპიროდ, ტრიქომონიაზის ახალი შემთხვევები თბილისში 7.7-ჯერ (95%CI 1.2-50.2) ნაკლებია დანარჩენ რეგიონებში დადგენილი რაოდენობების მაჩვენებელზე.

6. სგდ-ის სიხშირე უკუკორელაციურ კავშირშია განათლების დონესთან. ე.ი. განათლების დონის მატებასთან ერთად კლებულობს სგდ-ის გამოვლენის მაჩვენებლები.
7. ეკონომიკური შემოსავლის დონის მატებასთან ერთად სარწმუნოდ შემცირდა სიფილისისა და გონოკოკური სგდ-ის შანსები. სიფილისისთვის შანსთა ფარდობა დაბალი და მაღალი შემოსავლის ჯგუფებს შორის შეადგენდა $OR=1.18$; გონოკოკური სგდ-ის შემთხვევაში კი - $OR=1.32$.
8. სიფილისისთვის შანსთა ფარდობა არაინფორმირებულ და ინფორმირებულ მსმ-ჯგუფებს შორის შეადგენდა $OR=1.92$ (95%CI – 1.02-1.36, $p<0.001$); გონორეის შემთხვევაში შანსთა ფარდობა ამავე ჯგუფებს შორის შეადგენდა $OR=2.24$ (95%CI – 2.0-2.52, $p<0.001$); ტრიქომონიაზის შემთხვევაში - $OR=2.09$ (95%CI – 1.80-2.42, $p<0.001$), ხოლო ქლამიდიის შემთხვევაში - $OR=1.59$ (95%CI – 1.43-1.76, $p<0.001$).
9. 2015-დან 2019 წწ.-მდე პერიოდში ინფორმაციის სარწმუნო წყაროს სტატუსი შეუმცირდა სოციალურ და ელექტრონულ მედიას (50,5%-დან 38,1%-მდე, $Chi^2=39.7208$ $p<0.0001$) და ლგბტ და არასამთავრობო ორგანიზაციებს (24,2%-დან 15,5%-მდე, $Chi^2=33.6926$ $p<0.0001$); ეს კი მოხდა ძირითადად სამედიცინო მუშაკებისაგან კვალიფიციური ინფორმაციის მიღებისა (12,0%-დან 25,0%-მდე, $Chi^2=75.7564$ $p<0.0001$) და სქესობრივი პარტნიორების მიმართ სანდოობის მაღალი ხარისხის გამო (13,2%-დან 21,1%-მდე, $Chi^2=30.1382$ $p<0.0001$).

პრაქტიკული რეკომენდაციები

- საქართველოში, სადაც განსაკუთრებით მაღალი ხარისხით ვლინდება სიღარიბე, სერვისების არარსებობა ან მიუწვდომლობა, მაღალი დანახარჯები, პოლიტიკური კონტექსტი და პრიორიტეტები, შესაბამისი ინტერვენციების დაფინანსება, განათლება - სტრუქტურულ და ინსტიტუციურ რისკ/ფაქტორებზე მეტად განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სოციუმთან დაკავშირებულ, ინტერპერსონალურ და ინდივიდუალურ რისკ-ფაქტორებს, რომელთა შორის განსაკუთრებით გასათვალისწინებელია სოციუმში არსებული სტიგმის შეფასება და გათვალისწინებაც.
- სგგდ-ის გავრცელებისა და ახალი შემთხვევების პრევენციისა და პროფილაქტიკის ერთ-ერთ მიზეზად შესაძლოა დასახელდეს სგგდ-ის შესახებ ინფორმირებულობის დაბალი ხარისხი და სკრინინგ-პროგრამების მიუწვდომლობა. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ ინფორმაციის მიღების სანდო წყაროს სტატუსი მოემატა სამედიცინო მუშაკებსა და პარტნიორებს, ხოლო ელექტრონულ მედიას ჯერ კიდევ რჩება მაღალი რეიტინგი, საჭიროა ამ რესურსების გამოყენება სკრინინგ-პროგრამების დაგეგმვაში.

გამოყენებული ლიტერატურა

1. WHO. A tool for strengthening STI surveillance at the country level. WHO/RHR/15.06, 2015; 1-27.
2. Zheng Y, Yu Q, Lin Y, Zhou Y, Lan L, Yang S, Wu J. Global burden and trends of sexually transmitted infections from 1990 to 2019: an observational trend study. *Lancet Infect Dis.* 2022; 22(4):541-551.
3. ჯანმრთელობის დაცვა, სტატისტიკურ ცნობარი, საქართველო 2019, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი, თბილისი, 2020, გვ. 61.
4. Mitjà O, Padovese V, Folch C, Rossoni I, Marks M, Arias MARI, Telenti A, Ciuffi A, Blondeel K, Mårdh O, Casabona J. Epidemiology and determinants of reemerging bacterial sexually transmitted infections (STIs) and emerging STIs in Europe. *Lancet Reg Health Eur.* 2023; 34:100742.
5. Rowley J, Vander Hoorn S, Korenromp E, et al. Chlamydia, gonorrhoea, trichomoniasis and syphilis: global prevalence and incidence estimates, 2016. *Bull World Health Organ* 2019; 97: 548–62P.
6. Chew Ng RA, Samuel MC, Lo T, et al. Sex, drugs (methamphetamines), and the internet: increasing syphilis among men who have sex with men in California, 2004–2008. *Am J Public Health* 2013; 103: 1450–56.
7. Workowski KA, Bolan GA, Centers for Disease Control and Prevention. Sexually transmitted diseases treatment guidelines, 2015. *MMWR Recomm Rep* 2015; 64: 1–137.
8. VanBenschoten HM, Woodrow KA. Vaginal delivery of vaccines. *Adv Drug Deliv Rev.* 2021; 178:113956.
9. Tien V, Punjabi C, Holubar MK. Antimicrobial resistance in sexually transmitted infections. *J Travel Med.* 2020; 27(1):taz101.

10. Global health sector strategy on sexually transmitted infections. <https://www.who.int/reproductivehealth/publications/rtis/ghss-stis/en/>.
11. Manavi K. A review on infection with *Chlamydia trachomatis*. *Best Pract Res Clin Obstet Gynaecol.* 2006; 20(6):941–951.
12. Report on global sexually transmitted infection surveillance, 2018. Geneva: World Health Organization; 2018. Licence: CC BY-NC-SA 3.0 IGO. <https://www.who.int/reproductivehealth/publications/stis-surveillance-2018/en/>.
13. Global Burden of Disease Study 2017 (GBD 2017) Results. Seattle, United States: Institute for Health Metrics and Evaluation (IHME); 2018. <http://ghdx.healthdata.org/gbd-results-tool>. Accessed 10 Sept 2021.
14. Du M, Yan W, Jing W, Qin C, Liu Q, Liu M, Liu J. Increasing incidence rates of sexually transmitted infections from 2010 to 2019: an analysis of temporal trends by geographical regions and age groups from the 2019 Global Burden of Disease Study. *BMC Infect Dis.* 2022; 22:574.
15. Swayze EJ, Nielsen-Saines K, Segura ER, Saad E, Yue D, Comulada WS, et al. Failure to recognize low non-treponemal titer syphilis infections in pregnancy may lead to widespread under-treatment. *Int J Infect Dis.* 2021; 104:27–33.
16. Santos MMD, Rosendo T, Lopes AKB, Roncalli AG, Lima KC. Weaknesses in primary health care favor the growth of acquired syphilis. *PLoS Negl Trop Dis.* 2021; 15(2):e0009085.
17. Shaw SY, Elliott LJ, Nowicki DL, Green CG, Ross CP, Reimer JN, et al. Comparing the ecological niches of chlamydial and gonococcal infections in Winnipeg, Canada: 2007–2016. *Sex Transm Dis.* 2021; 48(11):837–843.
18. Yue X, Gong D, Li J, Zhang J. Epidemiological trends and features of syphilis in China, 2014–2019. *Chin J Dermatol.* 2021;54(08):668–672.
19. Wannan NHO, Dossary RA, Obeid OE, Qahtani NHA, Siddiqui ZI, El-Badry AA, et al. Seropositivity of syphilis among individuals screened in a tertiary hospital in the eastern Province of Saudi Arabia. *Ann Saudi Med.* 2021;41(1):8–13.

20. Groos A, Peardon-Freeman S, McFarlane K, Braithwaite S, Gajjar D, Murch P, et al. Free online chlamydia and gonorrhoea urine test request in Queensland, Australia: convenience of home sample collection versus pathology collection centre attendance for faster results. *Sex Health*. 2021; 18(3):254–259.
21. Bouchier L, Malta S, Temple-Smith M, Hocking J. Do we need to worry about sexually transmissible infections (STIs) in older women in Australia? An investigation of STI trends between 2000 and 2018. *Sex Health*. 2020; 17(6):517–524.
22. Righarts A, Gray AR, Morgan J, Saxton PJ, Green JA, Connor JL, et al. Chlamydia testing in New Zealand: analysis of the 2014/2015 national health survey. *Sex Transm Dis*. 2021; 48(7):493–498.
23. Nag S, Sarkar S, Chattopadhyay D, Bhattacharya S, Biswas R, SenGupta M. Seroprevalence of herpes simplex virus infection in HIV coinfecting individuals in eastern India with risk factor analysis. *Adv Virol*. 2015; 2015:537939.
24. Rotermann M, Langlois KA, Severini A, Totten S. Prevalence of Chlamydia trachomatis and herpes simplex virus type 2: results from the 2009 to 2011 Canadian health measures survey. *Health Rep*. 2013; 24(4):10–15.
25. Sharma S, Tiwari S, Paliwal V, Mathur DK, Bhargava P. Study of patterns of sexually transmitted diseases using a syndromic approach in the era of human immunodeficiency virus from a tertiary care hospital of the northern India. *Indian J Sex Transm Dis AIDS*. 2015;36(2):158–161.
26. Sarkar S, Shrimal A, Das J, Choudhury S. Pattern of sexually transmitted infections: a profile from a sexually transmitted infections clinic of a tertiary care hospital of eastern India. *Ann Med Health Sci Res*. 2013;3(2):206–209.
27. Peltzer K, Pengpid S. Health risk behaviours among adolescents in Argentina: trends between 2007, 2012 and 2018 national cross-sectional school surveys. *BMC Pediatr*. 2021;21(1):464.
28. Sharma SK, Vishwakarma D. Transitions in adolescent boys and young men’s high-risk sexual behaviour in India. *BMC Public Health*. 2020;20(1):1089.

29. Szucs LE, Barrios LC, Young E, Robin L, Hunt P, Jayne PE. The CDC's division of adolescent and school health approach to sexual health education in schools: 3 decades in review. *J Sch Health*. 2022;92(2):223–234.
30. Eastman-Mueller H, Fu TC, Dodge BM, Herbenick D. The relationship between college students' campus sexual health resource utilization and self-reported STI testing: findings from an undergraduate probability survey. *J Am Coll Health*. 2022;70(3):843–851.
31. Macharia P, Pérez-Navarro A, Sambai B, et al. An unstructured supplementary service data-based mHealth app providing on-demand sexual reproductive health information for adolescents in Kibra, Kenya: randomized controlled trial. *JMIR Mhealth Uhealth*. 2022; 10(4):e31233.
32. Kakalou C, Polychronidou E, Drosou V, Dimitriadis VK, Dermaris T, Kordonias R, et al. A GDPR-compliant partner notification service. *Stud Health Technol Inform*. 2022; 289:460–464.
33. Jamison CD, Waselewski M, Gogineni V, Bell J, Hadler N, Chaudhry K, et al. Youth knowledge and perspectives on expedited partner therapy. *J Adolesc Health*. 2022;70(1):114–119.
34. Tuddenham S, Hamill MM, Ghanem KG. Diagnosis and treatment of sexually transmitted infections: a review. *JAMA*. 2022;327(2):161–172.
35. Malama K, Price MA, Sagaon-Teyssier L, Parker R, Wall KM, Tichacek A, et al. Evolution of condom use among a 5-year cohort of female sex workers in Zambia. *AIDS Behav*. 2022;26(2):470–477.
36. Zaneva M, Philpott A, Singh A, Larsson G, Gonsalves L. What is the added value of incorporating pleasure in sexual health interventions? A systematic review and meta-analysis. *PLoS ONE*. 2022;17(2):e0261034.
37. Qu Z, Azizi A, Schmidt N, Craig-Kuhn MC, Stoecker C, Hyman JM, et al. Effect of screening young men for *Chlamydia trachomatis* on the rates among women: a network modelling study for high-prevalence communities. *BMJ Open*. 2021;11(1):e040789.

38. Poteat T, White RH, Footer KHA, Park JN, Galai N, Huettner S, et al. Characterising HIV and STIs among transgender female sex workers: a longitudinal analysis. *Sex Transm Infect.* 2021;97(3):226–231.
39. Harvey-Lavoie S, Apelian H, Labbé AC, Cox J, Messier-Peet M, Moodie EEM, et al. Community-based prevalence estimates of *Chlamydia trachomatis* and *Neisseria gonorrhoeae* infections among gay, bisexual, and other men who have sex with men in Montréal, Canada. *Sex Transm Dis.* 2021;48(12):939–944.
40. სქესობრივი გზით გადამდები დაავადებების მართვა ზოგად საექიმო პრაქტიკაში. კლინიკური პრაქტიკის ეროვნული რეკომენდაცია (გაიდლაინი), საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრო, 24.08.2010 წ., ბრძანება 282/ო, 184 გვ.
41. WHO. Global health sector strategy on sexually transmitted infections 2016–2021. 2017. <https://www.who.int/reproductivehealth/publications/rtis/ghss-stis/en/> (accessed Aug 15, 2019).
42. Kirby Institute of the University of New South Wales. Annual surveillance report on HIV, viral hepatitis and STIs in Australia 2017. 2017. <https://kirby.unsw.edu.au/report/annual-surveillance-report-hiv-viral-hepatitis-and-stis-australia-2017> (accessed March 10, 2019).
43. New Zealand Ministry of Health. Rise in syphilis cases prompts calls to practise safe sex. 2018. <https://www.health.govt.nz/news-media/media-releases/rise-syphilis-cases-prompts-calls-practise-safe-sex> (accessed March 10, 2019).
44. WHO, Regional Office for the Western Pacific. Review of national treatment guidelines for sexually transmitted infections in the Western Pacific Region [fact sheet]. 2018. Available at <http://www.who.int/iris/handle/10665/279732> (accessed Aug 15, 2019).
45. Public Health England. Sexually transmitted infections and screening for chlamydia in England, 2019. <https://www.gov.uk/government/statistics/sexually-transmitted-infections-stis-annual-data-tables> (accessed June 6, 2021).

46. Centers for Disease Control and Prevention. Sexually transmitted diseases surveillance 2019. National overview of STDs, 2019. <https://www.cdc.gov/std/statistics/2019/overview.htm#Syphilis> (accessed June 6, 2021).
47. Tsuboi M, Evans J, Davies EP, Rowley J, Korenromp EL, Clayton T, Taylor MM, Mabey D, Chico RM. Prevalence of syphilis among men who have sex with men: a global systematic review and meta-analysis from 2000–20. *Lancet Glob Health*. 2021; 9(8): e1110–e1118.
48. UN. SDG Indicators. Regional groupings used in report and statistical annex. <https://unstats.un.org/sdgs/indicators/regional-groups/> (accessed Aug 13, 2019).
49. UNAIDS. Key populations atlas, data sources. 2017. https://kpatlas.unaids.org/document/kp_data_sources.pdf (accessed May 11, 2020).
50. Kalamar AM, Bayer AM, Hindin MJ. Interventions to prevent sexually transmitted infections, including HIV, among young people in low-and middle-income countries: a systematic review of the published and gray literature. *J Adolesc Health* 2016; 59 (suppl 3): S22–31.
51. Mabey DC, Sollis KA, Kelly HA, et al. Point-of-care tests to strengthen health systems and save newborn lives: the case of syphilis. *PLoS Med* 2012; 9: e1001233.
